ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ორშაბათი, 9 მარტი, 2009 №12 (3505) | ფასი 1 ლარი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## 71 სუპერ ქულა!

### მარკოიშვილმა კალათა ამოავსო



## საქართველო მესამე წრეზე




## შვიდკაცა დუბაის მზემ გააშრო



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პური მეპურეს!
## ანუ როგორია ძალით გარემარბობა




**დღეს** ისევ ადვილია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა, როგორც არასოდეს — ეს სიტყვები პირადად ჩვენთვის ეროვნული გუნდის საუკეთესო, გამოცდილ ფეხბურთელებს უთქვამთ და ძნელია, არ დაეთანხმო, როცა ამ ფეხბურთელს ასეთი მაგალითიც მოჰყავს: სანამ ალექსანდრე იაშვილი ეროვნულ ჩემპიონატში 100 გოლს არ გაიტანდა, ნაკრებში თითქმის არ იძახებდნენ.

ეს იმ წლებზეა ლაპარაკი, როცა „ჯვაროსნების" 7, 8, 9, 10 და 11 ნომრები თითქმის მთლიანად დაკავებული იყო, რადგან ამ პოზიციებზე თამაშობდნენ ფეხბურთელები, რომლებსაც კონკურენტები არ ჰყავდათ.

ჩამოვთვალოთ: გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე.

დღეს საქართველო ღარიბია კარგი ფეხბურთელებით, ამ დონის შემსრულებლები ნამდვილად არ გვყავს, მაგრამ გვაქვს ამბიცია.

დავასაბუთოთ, რისი ამბიცია...

მაშინ თუ შემადგენლობის მხრივ საკამათო დიდი არაფერი იყო და ნაკრების სათამაშო მონახაზიც ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან გამომდინარე ეწყობოდა, ახლა სხვა დრო დაგვიდგა — გაცილებით მაღალია კონკურენცია, მაგრამ უკუპროპორციულად დაბალია ხარისხი.

ექტორ რაულ კუპერმა მკაფიო 4-3-3 აირჩია, ამ სქემაში კი ვერანაირად ვერ ჯდება გამოკვეთილი 10 ნომერი, რის გარეშეც ქართული ფეხბურთი დღემდე წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა.

არ არის აუცილებელი (თუმც, ცხადია, სასურველია), ეს 10 ნომერი მაინცდამაინც დავით ყიფიანის დონისა იყოს, უბრალოდ, ქართული ფეხბურთის თამაშის სპეციფიკაა ასეთი — ყოველთვის მიჩვეულები ვიყავით გამთამაშებელს.

ლევან ყენია, ლევან ცქიტიშვილი, ლევან გვაზავა და თუ გნებავთ, დავით მუჯირიც; ამათ სათითაოდ ყველას შეუძლიათ დირიჟორის ჯოხის დაკავება, თუმც კუპერის ფორმაციაში აქედან მხოლოდ ყენია ხვდება და ისიც ბოლო მატჩებში ტრავმირებული იყო.

არადა, როგორ გვაკლდა სწორედ ასეთი ფეხბურთელი ირლანდიასთან დუბლინურ მატჩში — ბურთის დამჭერი, დროის გამყვანი, პასების გამნაწილებელი.

მაგრამ ეს როლი სხვებზე კარგად შეასრულა გარემარბმა, რომელსაც პირობითად ჰქვია გარემარბი, თორემ არც არიენ რობენია და არც კრიშტიანუ რონალდუ — ალექსანდრე იაშვილზე გვაქვს ლაპარაკი.

სწორედ ბევრჯერ ნათქვამის კიდევ ერთხელ გამეორება გვიწევს. სამწუხაროდ, კუპერი აქამდე მისთვის უცნობ 4-3-3-ს საქართველოში იყენებს, არადა, ეს სქემა (წარსულიც გვიჩვენებს და აწმყოც) არაადეკვატურია ქართული ფეხბურთისთვის.

დღევანდელი დღითაც რომ ავიღოთ, საქართველოში გარემარბები თითზე ჩამოსათვლელია და ისინიც, ძნელად რომ სანაკრებო კლასის მქონე ფეხბურთელებად ჩავთვალოთ.

იაშვილიც და ყენიაც გაცილებით ეფექტურნი არიან ცენტრში, სირბილ-ჯირითი მათი სტიქია არ არის. ბექა გოცირიძეც უფრო ტიპიური მეორე თავდამსხმელია.

ესეც არ იყოს, წამყვანი ქართული კლუბებიდან მხოლოდ „ზესტაფონი" თამაშობს სამფორვარდიანი სქემით, „ვიტ ჯორჯია" უმეტესად რომბული მონახაზის შეტევებს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო „დინამო" — 4-4-2-ს.

პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, ნათქვამია: ჩვენი ნაკრების შემტევ ხაზში კი ასე არ ხდება.

მგონი, ბევრი ფილოსოფია არც სჭირდება, რომ ნაკრების მონახაზი ფეხბურთელთა კონტინგენტით, მათი საუკეთესო თვისებების მიხედვით უნდა დგებოდეს.

დღეს ბევრს აკრიტიკებენ დავით სირაძეს, ინერტულია თავდასხმაშიო, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ მას მეწყვილე არ ჰყავდა იგივე ირლანდიასთან მატჩში. იგივე ხდებოდა რატი ალექსიძის შემთხვევაშიც იმავ ირლანდიასთან მაინცურ შეხვედრაში, სადაც რატი უკაცრიელი კუნძულივით იყო.

ვიცით, შეგვეკამათებით, სად გვყავს ორი თავდამსხმელი, ამ ხაზში ხომ გვიჭირსო. კი მაგრამ, ორი არ გვყავს და სამი გვყავს?!

**ილია ნანობაშვილი**

GEORGIAN SPORT GROUP
ოფიციალური დილერი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში
hummel
სპორტული ეკიპირება და აქსესუარები
arena
საწყლოსნო სახეობების ინვენტარი
EPSAN
POOL SPORTS & TECHNICS
ინდივიდუალური სკამები სტადიონებისთვის
polytan
ხელოვნური საფარი კორტებისთვის და ფეხბურთის მოედნებისთვის, სარბენი ბილიკები
daplast
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა მე-3 სართული
899 92 46 76, tagi85@mail.ru

## გიორგი დავითნიძე სომხეთს უმიზნებს

**თბილისის** „ამერის" ყოფილი კაპიტანი გიორგი დავითნიძე კარიერას ალბათ სომხეთში გააგრძელებს.

ჯერჯერობით ვერ შევიტყვეთ, რომელ გუნდში აპირებს დავითნიძე გადასვლას, თუმცა ის კი ვიცით, რომ ეს ტრანსფერი დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს.

შეგახსენებთ, რომ დავითნიძე ბოლოს ისრაელის პირველ ლიგაში თამაშობდა...

**ოთარ მხეიძე**

## გეფერიძე თავშია

**ისრაელის** ჩემპიონატის პირველი ლიგის პირველი ეტაპი ლიდერად დაასრულა ირაკლი გეფერიძის ჰაიფას „ჰაპოელმა".

პირველი ეტაპის ბოლო ტურში ჰაიფელებმა 0:0 ითამაშეს და ქართველი თავდამსხმელი მწვრთნელმა 65-ე წუთზე შეიყვანა მოედანზე.

„ჰაპოელს" 22 ტურში 42 ქულა აქვს და ალბათ უმაღლეს ლიგაში გადასვლა აღარ გაუჭირდება.

**ქახა ფალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართველები უცხოეთში

# გოლები? კანდელაკი-მუჯირი



ლევან კობიაშვილი „შალკეში“ სტაბილურად თამაშობს



თემურ ქეცბაია



ამირან მუჯირი აზერბაიჯანში გოლაობს

## ქეცბაია ჩემპიონობას გამოემშვიდობა?!

**ავსტრია:** ილია კანდელაკმა „შტურმში“ პირველი გოლი მიითვალა. მისთანებმა სტუმრად ლიდერ „ზალცბურგთან“ 1:2 დათმეს და კანდელაკმა 72-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა შეამცირა, სხვაობა ანგარიშში შემცირდა, თორემ ქულებში გაიზარდა — გრაცელები ახლა 8 ქულას აგებენ „ზალცბურგთან“, მეოთხეზე არიან, თუმც დაკარგული ქულების მიხედვით მეორეადგილოსანთან თანაბრად არიან.

კანდელაკმა სრულად ითამაშა, გიორგი შაშიაშვილი კი ბოლო წუთზე შეცვალეს.

**გერმანია:** „შალკემ“ ზედიზედ მეორედ მოიგო, რაც ამ სეზონში იშვიათად ხდება. „ხუმარებმა“ „კიოლნს“ შინ 1:0 სძლიეს. ლევან კობიაშვილი შეუცვლელად იყო მინდორზე და სტაბილურად ჩაათამაშა მატჩი. რაც შეეხება ლევან ყენიას, ის კვლავ ტრავმირებულია და განაცხადშიც არ ყოფილა.

„კარლსრუემ“ „ვოლფსბურგთან“ გასვლაზე 0:1 დათმო.

ალექსანდრე იაშვილი განაცხადშიც არ ყოფილა.

მეორებუნდესლიგელი ქართველებიდან მხოლოდ დავით თარგამაძემ ითამაშა და ისიც ბოლო 4 წუთი: მისმა „ფრაიბურგმა“ შინ 2:1 სძლია „ალემანიას“ და კვლავაც პირველ ადგილზეა.

ასე რომ, სავარაუდოდ, თარგამაძეს მომდევნო სეზონიდან ბუნდესლიგაში ვნახავთ.

„აუგსბურგის“ **ოთარ ხიზანეიშვილი** („მანცთან“ 1:1) და „მიუნხენ 1860“-ის **მათე ღვინიანიძე** („ინგოლშტადტთან“ 3:2) განაცხადშიც არ ყოფილან. ხიზანეიშვილს მწვრთნელი არ ენდობა, ღვინიანიძე კი ტრავმირებულია.

„ვეენს“ კი **ლევან ცქიტიშვილი** ვერაფერს შველის — ამ გუნდმა ამჯერად „ალენთან“ 0:1 წააგო და ცხრილის ბოლოში პოზიცია „გაიმაგრა“. „ცქიტო“ 90 წუთი მინდორზე იყო.

**უკრაინა:** კიევის „დინამომ“ შინ 4:1 მოუგო „ვორსკლას“, **მალხაზ ასათიანი** კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

ლვოვის „კარპატიმ“ სტუმრად „ილიჩევეცი“ 5:1 მიანგრია. **სანდრო გურული** ბევრს ეცადა გოლის გატანას, მაგრამ...

ჩვენიანი ძირითადში იყო და 76-ე წუთზე შეცვალეს.

შედგა **ბექა გოცირიძის** დნიპროული დებიუტი, თანაც, „შახტართან“ მატჩში (0:1). 20 წლის ქართველი ფორვარდი 53-ე წუთზე შეიყვანეს მინდორზე და ერთხელ ოდნავ ააცილა საჯარიმოს მისადგომებიდან, ხოლო 87-ე წუთზე „შახტარის“ მეკარე ანდრეი პიატოვმა გაამწარა — თავური აუღო.

**ჯაბა კანკავამ** „შახტართან“ 81 წუთი ითამაშა და რამდენჯერმე შორიდან სცადა გატანა, თუმც არ გამოუვიდა.

მესამე დნიპროელი ქართველი **სანდრო კობახიძე** კი განაცხადში არ ყოფილა.

**გიორგი ციმაკურიძის** „ზარიამ“ 0:1 წააგო კიევის „არსენალთან“, თუმც მოგებულთაგან **ლაშა ჯაკობიას** არ უთამაშია. ციმაკურიძე კი მინდორზე შეუცვლელად იყო და გაფრთხილებაც მიიღო.

**რუსეთი:** ყაზანის „რუბინმა“ რუსეთის სუპერთასი წააგო ცსკა-სთან — 1:2. **ლაშა სალუქვაძემ** და **დავით კვირკველიამ** დაცვის ფლანგებზე სრული, 120-120 წუთი ითამაშეს — მატჩის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, დამატებითში კი ზიკოს გუნდმა გადამწყვეტი შეაგდო.

თითქმის მთელი შეხვედრა არმიელთა უპირატესობით წარიმართა და „რუბინის“ მცველებს დიდი ჯაფა ადგათ, თუმც ამას ხელი არ შეუშლია კვირკველიასთვის, საგოლე პასი გაეკეთებინა — რომან შაროხოვს გაატანინა.

**ჩეხეთი:** „პლზენმა“ სტუმრად 0:3 დათმო „ტეპლიცესთან“ და **დიმიტრი ტატანაშვილი** კვლავ უთამაშებელი დარჩა. აი, ესაა მწვრთნელის სიჯიუტე — უცნაურია, ფეხბურთელს ტესტ-მატჩებში გოლი გოლზე გაჰქონდეს, ოფიციალურ შეხვედრაში კი მინდორს არ გააკარო.

**უნგრეთი:** დავით იმედაშვილმა სრულად ითამაშა „ნირეძიჰაზაში“, მისიანებმა შინ 0:2 წააგეს „ჰალადაშთან“ და მე-7 ადგილზე დარჩნენ.

„დიორ ეტომ“ შინ სძლია „კეშკემეტს“. **დავით ოდიკაძემ** მატჩი სრულად ჩაატარა, **რატი ალექსიძე** კი 79-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

„ოდო“ მარჯვენა მცველად ათამაშეს.

**აზერბაიჯანი:** „ბაქომ“ შინ 2:0 აჯობა „ყარაბახს“ და ანგარიშის გამხსნელი გოლი **ამირან მუჯირმა** შეაგდო. ეს მუჯირის მე-11 გოლია ამ სეზონში.

**მწვრთნელები:** შოთა არველაძე წლეულს ალბათ „ვერსად გაექცევა“ ჰოლანდიის ჩემპიონობას. „ალკმაარმა“ სტუმრად 1:0 სძლია „ნაიმეგენს“ და იმხელა უპირატესობით უსწრებს მდევრებს, ამის გაბათილება სასწაული იქნება.

შოთას მსგავსად, მეორე მწვრთნელად მომუშავე **გიორგი დარასელიას** გუნდსაც მშვენიერად მისდის საქმე. დარასელიას ჰაიფას „მაკაბიმ“ 1:0 მოუგო ფეთაჰ-თიკვას „ჰაპოელს“, ისევ ლიდერობს ისრაელის ჩემპიონატს და ლოთარ მათეუსის „მაკაბი ნეთანიას“ 4 ქულით უსწრებს, თუმც ნეთანიელებს თამაშით ნაკლები აქვთ.

აი, თემურ ქეცბაიას „ანორთოსისმა“ კი გუშინ ისეთი მატჩი წააგო, ჩემპიონობას რომ გამოასალმებს. გასული წლის ევროპის სენსაცია-კლუბმა შინ აპოელ-თან 1:2 დათმო და მესამე ადგილზე კი დარჩა, მაგრამ ლიდერს შვიდი, მეორეადგილოსანს კი ხუთი ქულით ჩამორჩება.

სავარაუდოდ, ქეცბაია ზაფხულიდან ძლიერ კლუბში გადავა სამუშაოდ... ეს თვითონ თემურმაც გვითხრა, თუმც გულით უნდოდა, რომ კვიროსის ჩემპიონობა კიდევ ერთხელ ეზეიმა.

**ილია ნანობაშვილი**



# მჟავანაძე თითქმის დაჩიელია

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი კახა მჟავანაძე ცოტა ხნის წინ რუსულ „როსტოვში“ ისინჯებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა, ახლა კი მჟავანაძემ მოლდოვურ „დაჩიას“ მიაკითხა, სადაც ორი ქართველი ირიცხება — ჯაბა დვალი და ლევან კორლალიძე.

როგორც შევიტყვეთ, მჟავანაძის „დაჩიაში“ დარჩენა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

**ნუგზარი ლოლაძე**

# ფანგაგუცი დნეპრის პირას იყო

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების თავკაც ჰექტორ რაულ კუპერის თანაშემწე ხოსე ფანტაგუცი დნეპროპეტროვსკში იყო და „დნიპროს“ ქართველები ნახა საქმეში.

ბექა გოცირიძე სისტემატურად ხვდება ეროვნულ ნაკრებში, ჯაბა კანკავასა და სანდრო კობახიძეს კი კუპერის ხელში ჯერ არ უთამაშიათ.

გადაწყვეტილია, რომ კანკავას ნაკრების უახლოეს მატჩებში არგენტინელი სპეციალისტი გამოიძახებს.

**ილია ნანობაშვილი**



ხოსე ფანტაგუცი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## 22 ტური

# გელაშვილი+გელაშვილი



ნიკა გელაშვილი დუბლით გამოირჩა

www.uefa.com

**ანგარიშმა** ვერა, მაგრამ თამაშმა გამოხატა, რომ „ზესტაფონი“ ბევრად ძლიერია თბილისის „ლოკომოტივზე“ და ვაკელები მეკარე გიორგი ლომაიას უნდა უმადლოდნენ, დიდი ანგარიშით რომ არ წააგეს.

გასაკვირი არც არის — „ლოკომოტივს“ და „ზესტაფონს“ სხვადასხვა მიზნები და ამბიციები აქვთ. თბილისელები ვერა და ვერ ახერხებენ სტაბილური შემადგენლობის შევსებას და მართალია, დროდადრო ძლიერ ფეხბურთელებს იმატებენ, მაგრამ ცოტა ხანში ისინი კლუბს ტოვებენ, ახალგაზრდები კი მათი სრულფასოვანი შემცვლელები ვერ გახდებიან.

„ლოკომოტივი“ თითქოს ახლა უფრო გუნდურ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ ხარისხი იმდენად დაბალია, რომ „ზესტაფონს“ ვერ ეტოლება.

რაც შეეხება ფეროელებს, თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ, ნახევარდაცვაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და, შესაბამისად, ბევრი საგოლე შანსი შეექმნათ. ეს მიუხედავად იმისა, რომ გია გეგუჩაძის გუნდს საყრდენი მურთაზ დაუშვილი აკლდა — საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი „ზესტაფონის“ ფან-კლუბის თავკაც ნიკა ქავთარაძესთან ერთად ტრიბუნებიდან ქომაგობდა თავისიანებს, ხარდახან ბარაბანსაც გამოართმევდა ხოლმე ცნობილ შოუმენს.

დაუშვილი არ იყო, მაგრამ ირაკლი ძარიამ და ალექსი ბენაშვილმა ძალიან ბევრი იმუშავეს. ბენაშვილმა რამდენჯერმე შორიდან დაურტყა ლომაიას და ნაკრების მეკარესაც საქმე არ ელეოდა — რთული ბურთები მოიგერია...

ერთიცაა, „ლოკომოტივის“ მცველები სისწრაფეში აშკარად იჩაგრებოდნენ სტუმართა ფორვარდებთან, განსაკუთრებით კი ისინი ნიკა გელაშვილმა გააწამა, ვინაც პირველ ტაიმში თავისივე მონადირებული პენალტი გაიტანა.

სხვათა შორის, გელაშვილი ლომაიამ წააქცია, თუმც ვაკელთა მცველი ნიკა გუშარაშვილი იმ მომენტში უფრო ფხიზლად რომ ყოფილიყო, ლომაიას წესების დარღვევა არ დასჭირდებოდა.

მეორე ნახევარში რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა ძალთა სხვაობა.

გეგუჩაძის გუნდმა ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო მეორის გატანა — გელაშვილი გუშარაშვილს კვლავ გასცდა, მერე ლომაია მოატყუა და ცარიელ კარში შეაგდო. ასე გახდა 0:2.

ვაკელებს მანამდე იმდენად დასამახსოვრებელი ხიფათი არ შეუქმნიათ, ეგაა, ერთხელ შალვა კვანტალიანმა ვერ იხეირა ახლო მანძილიდან. მატჩის მიწურულს კი მაინც ეწივნენ მასპინძლები გოლს: მეკარე ზურაბ მამალაძე კარიდან გამოვიდა ბურთზე, მაგრამ ვერ მიუსწრო და გიორგი მოდებაძეს ეუხეშა.

პენალტი გიორგი კახელიშვილმა გაიტანა — მართალია, მეკარემ მიმართულება გამოიცნო, მაგრამ ვერ მისწვდა.

დრო კიდევ რჩებოდა, თუმც ზაალ ელიავასა და გიორგი ლომაიას საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთებს ალარაფერი მოჰყოლია.

**ილია ნანობაშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 20 | 13 | 6 | 1 | 34:12 | 22 | 45 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:7 | 11 | 21 | 10 | 7 | 3 | 0 | 16:5 | 11 | 24 |
| 2 დინამო | 20 | 14 | 2 | 4 | 45:15 | 30 | 44 | 10 | 9 | 1 | 0 | 30:7 | 23 | 28 | 10 | 5 | 1 | 4 | 15:8 | 7 | 16 |
| 3 ზესტაფონი | 20 | 12 | 3 | 5 | 26:14 | 12 | 39 | 10 | 7 | 0 | 3 | 15:6 | 9 | 21 | 10 | 5 | 3 | 2 | 11:8 | 3 | 18 |
| 4 ოლიმპი | 20 | 9 | 9 | 2 | 23:11 | 12 | 36 | 10 | 5 | 5 | 0 | 12:2 | 10 | 20 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | 2 | 16 |
| 5 სიონი | 20 | 7 | 8 | 5 | 22:17 | 5 | 29 | 10 | 3 | 4 | 3 | 12:10 | 2 | 13 | 10 | 4 | 4 | 2 | 10:7 | 3 | 16 |
| 6 ლოკომოტივი | 20 | 8 | 3 | 9 | 24:21 | 3 | 27 | 10 | 5 | 0 | 5 | 12:8 | 4 | 15 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | -1 | 12 |
| 7 მესხეთი | 20 | 5 | 7 | 8 | 15:25 | -10 | 22 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 5:15 | -10 | 9 |
| 8 მგლები | 20 | 5 | 4 | 11 | 17:27 | -10 | 19 | 10 | 4 | 1 | 5 | 10:9 | 1 | 13 | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 6 |
| 9 გაგრა | 20 | 4 | 4 | 12 | 14:34 | -20 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 15 | 10 | 0 | 1 | 9 | 3:22 | -19 | 1 |
| 10 სპარტაკი | 20 | 3 | 4 | 13 | 18:45 | -17 | 13 | 10 | 1 | 3 | 6 | 10:18 | -8 | 6 | 10 | 2 | 1 | 7 | 8:17 | -9 | 7 |
| 11 ბორჯომი | 20 | 2 | 6 | 12 | 16:43 | -27 | 12 | 10 | 1 | 4 | 5 | 8:17 | -9 | 7 | 10 | 1 | 2 | 7 | 8:26 | -18 | 5 |

---

6 მარტი. 15 საათი

**მგლები ზუგდიდი**
**ვიტ ჯორჯია თბილისი 0:2**

ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 600 მაყურებელი

0:1 ლიპარტია (9), 0:2 რაზმაძე (64)

მგლები: სომხიშვილი, ჯოჯუა (ბაკარანძე 66), აქუბარდია, ხუხია, რაქვიაშვილი, ა. ბაჯელიძე, გ. გულორდავა (მალიჩავა 71), გ. თოდუა, ჭკადუა (ინჯგია 71), დ. ქირია, გ. ჭედია

*სათადარიგონი:* ქალდანი, ხურციძე, ქითანავა, ჟიჟკარიანი

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, დ. ლომაია, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, ბექვაია, რაზმაძე, გ. მელქაძე, კლიმიაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ლიპარტია (მგელაძე 69), ვ. კვარაცხელია (ბერიაშვილი 60; ზაქრაძე 75)

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ყველაშვილი, კვალინიძე, დ. ხურცილავა

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ჯოჯუა, ბაჯელიძე, გულორდავა, ხუხია, ჯაფარიძე

მსაჯები: ო. ხეცაძე; კ. გაბრიაძე, კ. ბერაძე; გ. დოგრაშვილი

---

6 მარტი. 15 საათი

**სპარტაკი ცხინვალი**
**მესხეთი ახალციხე 1:1**

გორი. ქართლი. 100 მაყურებელი

0:1 ლეკიშვილი (72), 1:1 მაისურაძე (80)

სპარტაკი: კოდალაევი, ქურასბედიანი (კ. ავალიანი 84), გ. კვახაძე, შ. ლონლაძე, ვ. ქორიძე, გ. თურმანიძე, ჯანგიძე, შ. ჯიქია, გ. ჩივაძე, ზ. მეტრეველი (კობახიძე 14; მაისურაძე 46), სირბილაძე

*სათადარიგონი:* გ. იაშვილი, მგალობლიშვილი, გ. ოქროპირიძე. გ. გაბელაია

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

მესხეთი: დათიაშვილი, ზ. ჩხეტიანი, თ. ფარულავა (ლ. ვაშაკიძე 84), ლ. მერებაშვილი, ვ. ხორგუაშვილი, ლეკიშვილი, გაბიდაური, მემარნიშვილი, ლ. თედიაშვილი, ლ. ქებაძე (სუდაძე 90), სამადაშვილი (ბეჟანიძე 90)

*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, პ. ხორგუაშვილი, ქოჩორაშვილი, გვირჯიშვილი

მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: ჩხეტიანი, სამადაშვილი, მემარნიშვილი, ჯიქია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; ი. კაკაბაძე, დ. კურტანიძე, ი. ურუშაძე

---

6 მარტი. 15 საათი

**სკ ბორჯომი**
**დინამო თბილისი 0:4**

ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 100 მაყურებელი

0:1 გველესიანი (9), 0:2, 0:3 მერებაშვილი (33, 35), 0:4 ნერგაძე (51)

ბორჯომი: შეყრილაძე, ნ. ლომიძე, ხითარიშვილი, მენთესაშვილი, ლ. დათუნაშვილი (გოგსაძე 65), შ. ლობჟანიძე (მანთიძე 74), პაპლიაშვილი, ბ. ბაქრაძე, ი. კიკნაძე, ტუხაშვილი (გ. გოგიჩაიშვილი 53), ნ. დევიძე

*სათადარიგონი:* ოქრომელიძე, გ. ლაბაძე, ვ. ხაჩიძე, ქათამაძე

მწვრთნელ-კონსულტანტი: ოთარ გაბელია

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ხმალაძე, შ. კაშია (ჯიოსი 78), დილმელაშვილი, ნერგაძე, გველესიანი (ლომია 46), გ. მერებაშვილი (კოშკაძე 63), სპასოევიჩი

*სათადარიგონი:* გ. ლორია, კაკუბავა, ტომიჩი, ვ. ნემსაძე

მწვრთნელი: რაინელ ცობელი

მსაჯები: ვ. გუმბერიძე, ო. მოლოდინაშვილი, ა. გუნთაძე, ხ. გაგნიძე

---

7 მარტი. 14 საათი

**ლოკომოტივი თბილისი**
**სკ ზესტაფონი 1:2**

თბილისი. მ. მესხი. 200 მაყურებელი

0:1, 0:2 გელაშვილი (28პ, 80), 1:2 კახელიშვილი (86პ)

ლოკომოტივი: გ. ლომაია, მ. ლომიძე, გუშარაშვილი, ელიავა, დ. ფოფხაძე, ჩირიკაშვილი (გ. მოდებაძე 58), კ. მახარაძე, ბარბაქაძე, კახელიშვილი, ი. გილაური (დ. ჩაგელიშვილი 67), შ. კვანტალიანი

*სათადარიგონი:* ბელელური, ხუმარაშვილი, გ. კვანტალიანი, ა. კობიაშვილი, გ. სოსელია

მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

ზესტაფონი: მამალაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, გ. ხიდეშელი, გორგიაშვილი (კვესიეშვილი 75), ბენაშვილი, ძარია, გ. ჭელიძე, შ. გრიგალაშვილი (ნ. კვასხვაძე 58), გელაშვილი, ლ. მელქაძე (იონანიძე 82)

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, კაკალაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

გაფრთხილება: ფოფხაძე, კვესიეშვილი, ჭელიძე

მსაჯები: ლ. სილაგავა, შ. ქუხილავა, დ. სანოძე, გ. ვადაჭკორია

---

7 მარტი. 15 საათი

**სიონი ბოლნისი**
**ოლიმპი რუსთავი 0:1**

ბოლნისი. თ. სტეფანია. 300 მაყურებელი

0:1 რეხვიაშვილი (33)

სიონი: ჭანტურია, კაკაშვილი, სვანიძე, დიდავა, ორბელაძე, ლ. ბაჯელიძე, შალამბერიძე, გ. ხიდეშელი, ალადაშვილი (ბობოხიძე 46; ზ. ჩხეტიანი 60), რ. გოცირიძე, დავითაშვილი (ოქროპირიძე 46)

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, უგულავა, რუსეიშვილი

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

ოლიმპი: სტურუა, თ. ლონლაძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, ჩიკვილაძე, ხუბუა, ბაბუნაშვილი, დეკანოსიძე (კაკულია 57), გ. სეთურიძე, გ. ჭელიძე (გორდეზიანი 65), ფიფია (დობროვოლსკი 57)

*სათადარიგო:* აკუასაგა

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, ზ. ბერულავა, ა. კოკაია, ლ. კვარაცხელია

საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

22 ტური

# გიყვარდეს სტუმარი

## ვიტ ჯორჯია მეორეშიც ჩემპიონია




რუსთავის „ოლიმპმა“ წაუგებელი მატჩების სერია 17-მდე გაზარდა და კვლავაც მშვენიერი შანსი აქვს სამეულში შესასვლელად. ეს გრძელი სერია ვარლამ კილასონიას გამწვრთნელებიდან გრძელდება, რომელიც არც ბოლნისის „სიონთან“ გასვლით შეხვედრაში შეფერხებულა — რუსთაველებმა გიორგი რეხვიაშვილის 33-ე წუთზე გატანილით 1:0 იმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ რეხვიაშვილმა ამ სეზონში ორი სხვადასხვა გუნდის მაისურით გაუტანა ბოლნისელებს — ახალ წლამდე ხომ ზუგდიდის „მგლებში“ იყო განათხოვრებული.

ამ მოგებით „ოლიმპი“ ისევ სამი ქულის სიშორეზეა „ზესტაფონთან“ და მომდევნო ტურში ეს გუნდები ხვდებიან ერთმანეთს რუსთავში.

ქვემოქართლურმა დერბიმ კიდევ ის გაარკვია, რომ „სიონი“ სადღეისოდ „ოლიმპზე“ ნაკლებად ამბიციური კლუბია...

ცხინვალის „სპარტაკს“ ძალიან სჭირდებოდა ახალციხის „მესხეთთან“ მოგება, მაგრამ პირიქით გაუხდა თავის დაძვრენა — დიმიტრი ლეკიშვილის გოლს ნიკა მაისურაძემ უპასუხა, მეტი კი ცხინვალელებმა ვერ შეძლეს და მესამე წრეში ბლომად ქულების დაგროვება მოუწევთ, რათა გავარდნას თავი დააღწიონ.

ტურის ანონსში ვწერდით, „დინამოს“ ბორჯომში არაფერი გაუჭირდებაო და ისე აგიხდათ ყველაფერი კარგი. ოთხი უპასუხო გოლი კურორტელებს, რომელთაგან ნახევარი გიორგი მერებაშვილმა მიითვალა და ისევ ორბურთიანი ფორით ლიდერობს ბომბარდირთა მარაქას.

„მერებას“ თითო გოლით ექს-ბორჯომელი გია ნერგაძე და ოლეგ გველესიანი „შეეხიდნენ“, თუმცა „დინამო“ მაინც ვერ გალიდერდა, რადგან...

„ვიტ ჯორჯიამ“ თავისი ულუფა (3 ქულა) სამეგრელოდან წამოიღო. ჯაბა ლიპარტიასა და ლუკა რაზმაძის გოლებმა ცხრილის სათავეში კვლავაც ვიტელები დატოვა.

პირველის მსგავსად, „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე წრის ჩემპიონობაც დაიბევა, თუმც ახლა მდევართან სხვაობა შემცირებულია და ძალიან დაძაბული ფინიში გველის — ჯერ სადაა, მთავარი მატჩები წინაა.

სტუმრების ტური იყო: ხუთი შეხვედრიდან ოთხში მათ მოიგეს და ჯამში 10 გოლიც გაიტანეს. საერთოდ, მომხვდურების ამხელა უპირატესობა მოულოდნელობათ ითვლება, მაგრამ არცერთი მატჩის შედეგი არ გაგვკვირვებია — რასაც ველოდით, ის მოხდა, ძლიერებმა მოიგეს.

**ილია ნანობაშვილი**




# ჩემი ოცნება ნაკრებია!

**ზამთრის პაუზისას „ვიტ ჯორჯიას“ მცველი დავით ლომაია უკრაინულ „ზარიაში“ ცდილობდა გადასვლას, თუმცა უკან დაბრუნდა და თავის გუნდთან ერთად ჩემპიონობისთვის იბრძვის. ლომაია ერთ-ერთი საუკეთესო მცველია ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში და მოდით, ის უფრო ახლოს გავიცნოთ...**

— გაიხსენე შენი პირველი ნაბიჯები ფეხბურთში...

— 9 წლის ვიყავი, როცა თამაში დავიწყე. საფეხბურთო სკოლა „მთვარის გლობუსში“ ვვარჯიშობდი. ჩვენი მწვრთნელი ზურაბ გოგრიჭიანი გახლდათ. სწორედ ამ კლუბის დამსახურებაა ჩემი და ჩემი ძმის ფეხბურთელად ჩამოყალიბება. ალბათ, „მთვარის გლობუსში“ გიორგის ყოფნამ განაპირობა ამ სკოლაში ჩემი მისვლაც.

— გავრცელებული აზრია: თუ რაიმეს მიღწევა გსურს, უცხოეთში უნდა წახვიდე. რამდენად ეთანხმები ამ მოსაზრებას?

— კარგ უცხოურ ჩემპიონატში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა და მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ. რასაკვირველია, ძალიან მინდა უცხოეთში დამკვიდრება, მაგრამ ჩემთვის წარმატებაში მხოლოდ საქართველოდან წასვლა არ იგულისხმება. ყველა ფეხბურთელის ოცნებაა, ნაკრების მაისურა ერთხელ მაინც მოირგოს. ეროვნულ ნაკრებში თამაშიბევრს ნიშნავს თითოეული ჩვენგანისთვის და ჩემი მიზანიც ეს უფრო არის.

— ისე, ასაკობრივ ნაკრებში კი გითამაშია...

— 16-წლამდელთა ნაკრებში ვიყავი. კლაუს ტოპმიოლერის დროს კი ეროვნულ გუნდშიც ჩავატარე ერთი მატჩი — ამხანაგურში აზერბაიჯანს შევხვდით და მეორე ტაიმში ვითამაშე. ვფიქრობ, თავი არ შემირცხვენია, მაგრამ მერე აღარავის გამოვუძახებივარ.

— რას გვეტყვი „ვიტ ჯორჯიაზე“?

— 16 წლიდან „ვიტ ჯორჯიაში“ ვარ. ეს გუნდი ძალიან ძვირფასია ჩემთვის და მიხარია, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. ჯერჯერობით პირველ ადგილს ვინარჩუნებთ და ვიმედოვნებ, ჩემპიონატის დასრულებამდე ასეც იქნება, თუმც გვყავს ღირსეული კონკურენტები „დინამოს“, „ზესტაფონისა“ და „ოლიმპის“ სახით. მათთან რთული მატჩები გველის. ჩვენი გუნდის სიძლიერე ჩვენს მონდომებაშია. ყველანი ბოლომდე ვიხარჯებით მოედანზე.

— რამდენად წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს შენთვის შენი ძმა, გიორგი?

— გიორგი ჩემთვის საუკეთესოა. ძალიან მინდა, მასავით ბევრი მატჩი ჩავატარო საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ვნახოთ, რამდენად გამომივა...

— საქართველოში მტკივნეული თემაა ცარიელი სტადიონები. რამდენად ეტყობა ეს გუნდების თამაშის ხარისხს?

— სავსე ტრიბუნა და აქტიური გულშემატკივარი, მართლაც ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. ცუდია, რომ ბევრი ხალხი არ დადის თამაშებზე, მაგრამ ეს ალბათ გამოსწორდება. ჩვენ უკვე გვყავს ახლად შექმნილი ფან-კლუბი, სადაც უმეტესობა გოგონაა და ისინი სტიმულს გვმატებენ. მართალია, მოედანზე ყოფნისას ვერავის ვამჩნევ, მაგრამ გულშემატკივართა მხარდაჭერა უთუოდ იგრძნობა.

— რეალური შემოთავაზებები თუ გქონია უცხოური კლუბებიდან?

— რამდენიმე შემოთავაზება იყო. კარგი იქნებოდა, ზამთარში უკრაინაში დავრჩენილიყავი, მაგრამ არ გამოვიდა. ჯერჯერობით „ვიტ ჯორჯიაში“ ვთამაშობ, რითიც კმაყოფილი ვარ. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

— გართობასა და განტვირთვას რამდენად ერიდები?

— მიყვარს მეგობრების გარემოცვაში, წყნარ სიტუაციაში დასვენება, ბილიარდის თამაში... ღამის ცხოვრების დიდი მოყვარული. არ ვარ, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში არც ამას გამოვრიცხავ.

**ანი მახარაშვილი**

# ცვლილება

საქართველოს მე-20 ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის 24-ე ტურში ერთი ცვლილება მოხდა: თბილისის „დინამოს“ და ცხინვალის „სპარტაკის“ შეხვედრა 14 მარტის ნაცვლად ერთი დღით გვიან ჩატარდება. ამის მიზეზი ის არის, რომ 14 მარტს „ეროვნულზე“ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.

**ნუკრი ლოლაძე**

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 13 | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| 11 | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 9 | ილია სასხოევიჩი | დინამო |
| 8 | მათე ვაწაძე | დინამო |
| | ვახტანგ კვარაცხელია | ვიტ ჯორჯია |
| | გურამ სამადაშვილი | მესხეთი |

### XXIII ტური

| | |
|---|---|
| 10 მარტი. სამშაბათი | ოლიმპი – ზესტაფონი |
| ბორჯომი – ვიტ ჯორჯია | მგლები – სიონი |
| გაგრა – დინამო | ლოკომოტივი – მესხეთი |
| 11 მარტი. ოთხშაბათი | სპარტაკი ისვენებს |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხაჩიძეს ვინმე კაშჩეი აუგორდა

## გაგრამ მწვრთნელის მოხსნა უარყო



სარბიელის არქივიდან

ვლადიმერ ხაჩიძე

„გაგრას“ მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე მოხსნეს და მის ნაცვლად უკრაინელი ვიქტორ კაშჩეი დანიშნესო — რამდენიმე დღის წინ ეს ინფორმაცია უეჭველად ჟღერდა და ახალი უცხოელი მწვრთნელის დებიუტს მომავალ ტურშივე ველოდით, მაგრამ...

„ვლადიმერ ხაჩიძე რჩება დაკავებულ თანამდებობაზე, ატარებს ვარჯიშებს, გუნდს მომავალი შეხვედრებისთვის ამზადებს და გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება“ — ასეთი განცხადება გაავრცელა გუშინ გაგრელთა ოფიციალურმა ვებგვერდმა.

ცოტა არ იყოს, უცნაურია, საიდან გაჩნდა ვიქტორ კაშჩეის გვარი, თუმცა ვერც იმას დავიჟინებთ, რომ ხაჩიძე „გაგრაში“ მაინც ხელშეუხებელია.

როგორც ჩანს, ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა კლუბის ხელმძღვანელობა რეალურად დააფიქრა მწვრთნელის შეცვლაზე და...

ვნახოთ, რომელი გამართლდება: ხაჩიძის მოხსნა თუ ხაჩიძის დატოვება...

**ბაჩა ფალამბერიძე**

# მჭედლიძე სამშაბათს სრულად დაიწყებს

**ლევან მჭედლიძე** სამშაბათს გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს, მანამდე კი კვლავ ინდივიდუალურად ემზადება.

სიცილიურ კლუბს ბევრი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული და დიდწილად ამიტომაც იყო, სერია A-ში წაგებებს წაგებები რომ მიაყოლა.

თანაც, პალერმოელებს თავდასხმაში ნამეტნავად უჭირთ და ეს კიდევ ერთი შანსია ლევანისთვის,

იხაგძეც

რათა ძირითად შემადგენლობაში ხშირად გამოჩნდეს.

საეჭვოა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მჭედლიძემ სერია A-ს მომდევნო ტურშიც კი ითამაშოს.

და რაც შეეხება სანაკრებო თამაშებს, თუ რაიმე ახალი ფათერაკი არ გამოვარდება, 18 წლის ქართველი ჩერნოგორიასთან და კვიპროსთან სათამაშოდ მზად იქნება.

**ილია ნანობაშვილი**

# ვალერი აბრამიძე ამკარში ისინჯება



**რუსულპასპორტიანი** ქართველი მცველი ვალერი აბრამიძე პერმის „ამკარში“ ისინჯება.

გეცოდინებათ, „ანჟიდან“ წასვლის შემდეგ აბრამიძე „ხიმკიში“ იყო მისული, თუმცა იქ მისი დარჩენა არ გამოვიდა.

ახლა კი, ვნახოთ, რას გადაწყვეტს „ამკარი“, რომელმაც წინა სეზონი რუსულ პრემიერლიგაში მშვენიერად ჩაატარა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

**ილია ნანობაშვილი**

# ხაცკევიჩს დემეტრაძესთან მუშტებიც სჭირდებოდა?!



**კიევის** „დინამოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა, ბელარუსმა ნახევარმცველმა ალექსანდრ ხაცკევიჩმა უკრაინული ვებგვერდთან ინტერვიუში გიორგი დემეტრაძეზეც ილაპარაკა...

„ის ძალიან კარგი ადამიანია, თუმცა ვარჯიშებზე ზოგჯერ ისე იქცეოდა, რომ მასთან მუშტების ამუშავებაც კი მიხდებოდა“.

ხაცკევიჩი და „დემე“ ერთად თამაშობდნენ კიევის „დინამოში“, სადაც ბელარუსმა გაცილებით დიდი კვალი დატოვა, ვიდრე ქართველმა — ის ანდრეი შევჩენკო-კახა კალაძე-სერგეი რებროვის შემდეგ ვალერი ლობანოვსკის დროინდელი „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ.

საინტერესოა, მაინც რით აბრაზებდა დემეტრაძე ბელარუს თანაგუნდელს, რომ მას თურმე მუშტების გაქნევის სურვილი უჩნდებოდა?!

**ილია ნანობაშვილი**



სარბიელის არქივიდან

# მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავალთ

## გელა შეყილაძე: მთავარია, ახლა ტრავმები ავიცილოთ

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ლუქსემბურგში გაემგზავრა, სადაც 11 მარტს მასპინძლებს გაეჯიბრება ამხანაგურად. შეგახსენებთ, რომ ქართველები ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში გავიდნენ და ავსტრიაშიც თუ წარმატებით ითამაშეს, ევროპის ჩემპიონატზეც მოხვდებიან, რომელიც მაისში გერმანიაში ჩატარდება. ელიტ-რაუნდში ჩვენი მეტოქეები არიან იტალია, შოტლანდია და ავსტრია. 17-წლამდელთა მთავარ მწვრთნელ გელა შეყილაძეს ლუქსემბურგში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ...

**— 18-კაციანი სია რამდენიმე დღის წინ გამოაცხადეთ და რამდენად ოპტიმალურია შემადგენლობა?**

— ღღეისთვის ვინც გვსურდა, ყველა ფეხბურთელი ვნახეთ საქმეში. მადლობა ღმერთს, ტრავმები აგვცდა და იმედი მაქვს, ელიტ-რაუნდამდე უდანაკარგოდ მივალთ.

**— როგორ ფიქრობთ, დღევანდელი გუნდი იმაზე უკეთესია, რომელმაც ელიტ-რაუნდის საგზური მოიპოვა?**

— იმის შემდეგ ამ გუნდმა კიდევ ექვსი საერთაშორისო თამაში ჩაატარა და ამით დიდი გამოცდილება შეიძინა. ისეთ გუნდებს ვეთამაშეთ, რომლებსაც ელიტ-რაუნდის საგზური აქვთ — ხორვატია, სლოვენია და აზერბაიჯანი ხელწამოსაკრავი გუნდები არ არიან. მათთან სპარინგი აუცილებლად სასიკეთოდ წაგვადგება.

**— მეტოქეებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

— იტალიელთა ხუთი თამაში ვნახე ფირზე, ავსტრიელების ორი თამაშის ნახვა მოვახერხეთ, აი, შოტლანდიელთა მატჩები, სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა ლუქსემბურგში მომაწვდიან მათი ბოლო შეხვედრის ფირს, რომელიც 18 თებერვალს გერმანიის ნაკრებთან გამართეს და მათაც დავაკვირდებით. ვფიქრობ, სერიოზული მეტოქეები გვყავს.

**— რამდენად აქვს საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი?**

— ძალიან იმედიანად ვართ და მჯერა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავალთ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ვხედავ, როგორ მომზადებულები და შემართულები არიან ბიჭები. ახლა მთავარია, ტრავმებმა არ შეგვიშალოს ხელი.

**ნუკრი ლოლაძე**

# თოთაძის კვიპროსი მორჩა

**კვიპროსული** შეკრების ბოლო ამხანაგურ მატჩში კიევის „დინამო 2“-მა 3:0 მოუგო შვეიცარიულ „სიებნენს“.

ლაშა თოთაძემ პირველი ტაიმი ითამაშა.

საწყისი 45 წუთი გაატარა მოედანზე კიდევ ერთმა ქართველმა, უკრაინის მოქალაქე თემურ ფარცვანიამ.

**ოთარ მხეიძე**

**ფული ფეხბურთში — საქართველოში ეს საკითხი დღემდე ძალიან პრობლემურია. ცხადია, ერთი საგაზეთო სტატია ამ თავსატეხს ვერ მოაგვარებს, თუმცა „სარბიელი“ ყოველთვის გააშუქებს ამ თემას და ბოლომდე ეცდება თავისი სათქმელის თქმას. იმის მაქსიმუმის გაკეთებას, რაც ერთ სპორტულ გაზეთს შეუძლია. ამ ამბებზე სასაუბროდ თბილისის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელ ლექსო თოფურიას შევხვდით. გეცოდინებათ, ის მედიაკომპანია „კოლხიდას“ მფლობელიცაა და აქტიურადაა ჩართული ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში... თუმცა ჩვენი საუბარი სხვა თემით დაიწყო. „სარბიელის“ ერთ-ერთ წინა ნომერში გავიდა ინფორმაცია ვებგვერდ www.goli.ge-ს თაობაზე. კერძოდ, ამ ვებგვერდის ცნობით, საქართველოს თასის ნახევარფინალური წყვილები უკვე შედგენილი იყო, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა — წილისყრა ჯერ არც ჩატარებულა. მოკლედ, „სარბიელმა“ მაშინ ვებგვერდი გააკრიტიკა და...**



# ლექსო თოფურია: ასეთ პირობებში საქმიანობის გაგრძელებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია!

## ქართულ ფეხბურთს საპრიზო ფონდი თუ გადაარჩენს

— ეს ვებგვერდი ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის შევქმენით და გვიხარია, რომ დღითიდღე მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება. ამიტომ ტყუილის დაწერა ჩვენს ინტერესებში არანაირად არ შედის — გვითხრა ლექსო თოფურიამ, ვისაც „ლოკომოტივ“ — „ზესტაფონის“ გუშინწინდელი მატჩის დაწყებამდე სტადიონზე შევხვდით — ეს იყო შეცდომა, რომელსაც, ცხადია, გამოვასწორებთ. უბრალოდ, თქვენმა გაზეთმა ზედმეტად მწვავედ შეაფასა ეს ლაფსუსი, რასაც ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ კრიტიკა მივიღოთ და თუ საჭირო იქნება, ბოდიშის მოხდისაც არ გვრცხვენია. ყველანაირ ჯანსაღ რჩევას თუ მითითებას გავითვალისწინებთ. ჩათვალეთ, რომ ეს ვებგვერდი თქვენიცაა და ყველამ ერთად უნდა ვეცადოთ, რომ ის უფრო და უფრო უკეთესი გახდეს.

**— კეთილი. ქართული ფეხბურთის პოპულარიზაცია მართლაც მნიშვნელოვანი საკითხია, რაც დღითიდღე მტკივნეული ხდება...**

— სამწუხაროდ, ასეა. აი, თქვენც ხედავთ, წუთი-წუთზე ტურის ერთ-ერთი მთავარი მატჩი იწყება და სტადიონი ცარიელია. ესაა ჩვენი რეალობა და უნდა ვეცადოთ, როგორმე აქედან გამოვძვრეთ. ისევ იმ ვებგვერდს დავუბრუნდები. ძალიან სასიამოვნოა, რომ ნელ-ნელა ამ ვებგვერდის დამთვალიერებელთა რაოდენობა იზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ინტერესი იზრდება. ახლა ეს ინტერესი ტრიბუნებზე უნდა გადმოვიტანოთ, რაც არც ისე იოლი ამბავია. რაც უფრო მეტად მოძლიერდებიან გაზეთები, ტელევიზია, ვებგვერდები, მით უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდება ქართული ფეხბურთით. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტი ფული გაჩნდება, რადგან სპონსორები გამოჩნდებიან... ეს რთული საკითხია, მაგრამ იმის ძახილი, რომ ეს რთულია და არაფერი ვაკეთოთ, დანაშაული იქნება.

**— თქვენ ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი ხართ, ვინც ფეხბურთში თავის ფულს ხარჯავს. როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოხდეს, რომ უფრო მეტის დახარჯვის სურვილი გაგიჩნდეთ?**

— ამაზე აქამდეც ბევრი გვიმსჯელია და ყველაზე მთავარი, რაც ახლა ქართულ ფეხბურთს სჭირდება, კომერციალიზაციაა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ფეხბურთის კომერციალიზაციას და მჯერა, ეს მნიშვნელოვნად წაგვწევს წინ.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ კომერციალიზაციაში?**

— საპრიზო ფონდის არსებობას. სახელმწიფომ რომ სტაბილურად გამოგვიყოს საპრიზო ფონდი გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კარგი იქნებოდა. ეს კაცს სურვილს გაუჩენდა, რომ ფეხბურთში ფული დააბანდოს და იქიდან რაღაც სარგებელი მიიღოს. და კიდევ: მარტო სახელმწიფოს როლსაც არ ვგულისხმობ კომერციალიზაციაში. აქ კერძო სექტორმაც უნდა იაქტიუროს და მეტი ყურადღება დაუთმოს ფეხბურთს. რაც უნდა იყოს, დღეს ქართული ფეხბურთი უკვე არის პროდუქტი. ახლა მთავარია, ამ პროდუქტმა მოიტანოს ფული. კერძო სექტორიც ამიტომ ვახსენე — ცოტა ძნელი ასახსნელია, რატომ ფინანსდება სხვადასხვა სახის გადაცემები და რატომ არ არის ბიზნესმენებისთვის საინტერესო, მაგალითად, გადაცემა „გოლი“. ესეც ხომ სახელმწიფოს ბრალი არ არის?!

**— გასაგებია, მაგრამ იქნებ სხვა რამეშია საქმე? იქნებ ბიზნესმენებს არ სჯერათ, რომ „გოლი“ რეიტინგული გადაცემაა?!**

— მე აქ სხვა პრობლემას ვხედავ — ეს პროექტი ცუდ დროს დავიწყეთ. უფრო სწორად, ცუდი მოვლენები დაემთხვა. ერთი წლის წინ, როცა ამ საქმეს მოვკიდეთ ხელი, მალევე რუსეთთან ომი დაიწყო, რასაც მერე ფინანსური კრიზისი დაემატა. ამან კომპანიებს გაუჩინა შიში, რამაც შეამცირა მათი სარეკლამო ბიუჯეტები. ბევრმა თავი შეიკავა ასეთი გაჭირვების გამო რეკლამაში ფულის გადახდისგან.

**— ანუ კერძო სექტორის იმედიც უნდა გვქონდეს?**

— ვთვლი, რომ იმის ლოდინი, როდის ათამაშდებიან ჩვენი ფეხბურთელები მაღალ დონეზე, არასწორია. ეს თანხვედრი პროცესია და ათამაშებაც და ფულის დაბანდებაც ერთდროულად უნდა მოხდეს.

**— პოპულარული მოსაზრებაა სახელმწიფოს მიერ ფეხბურთში დასაქმებული ბიზნესმენებისთვის გადასახადების შემცირება. როგორ და რა მექანიზმით შეიძლება, სახელმწიფოსგან ასეთი შეღავათის მიღება?**

— ამის გაკეთება თეორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ რამდენად ხელმისაწვდომია პრაქტიკულად, ამას ვერ გეტყვით. დავუშვათ, მიიღო ფეხბურთმა ეს შეღავათი, მაგრამ მერე ავტომატურად გაჩნდება სხვა დარგების სამართლიანი მოთხოვნაც იგივე საკითხზე — მათი მხრიდან რომ შევხედოთ, რა დააშავა კულტურამ, კინომ, თეატრმა... ხომ ლოგიკურია? სახელმწიფოს ვერ დავუკარგავთ იმას, რაც მინი-მოედნების აშენებით და ნაკრებისთვის მწვრთნელის, ჰექტორ რაულ კუპერის ჩამოყვანით გააკეთა.

**— გასაგებია, მაგრამ მინი-მოედნების აშენებით და კუპერის ჩამოყვანით საქართველოს ჩემპიონატზე მაყურებელთა რაოდენობა არ გაიზრდება...**

— გეთანხმებით, ეს არ არის საკმარისი და პირდაპირი დახმარება იქნება სწორედ ის საპრიზო ფონდი, რაზეც უკვე ვთქვი.

**— და ეს საპრიზო ფონდი მოაგვარებს ისეთი კლუბების პრობლემებს, როგორიც „ბორჯომია“?**

— ასეთი კლუბების პრობლემა სხვაა. ამ კლუბებს სხვა სახის პრობლემა აქვთ. სახელმწიფოს ყოველთვის არ აქვს თანხა, რომ „ბორჯომი“ თუ სხვა ნებისმიერი კლუბი შეინახოს. აქ საქმე არის გამგებელში. რომელიმე რაიონში ერთ გამგებელს უყვარს ფეხბურთი და ინახავს გუნდს, მაგრამ თუ ის შეიცვალა და მომდევნო გამგებელს ფეხბურთის ნაცვლად უყვარს, ვთქვათ, ფრენბურთი, იქმნება პრობლემა. ეს არის არაჯანმრთელი სტრუქტურა და სანამ კერძო სექტორი არ მოჰკიდებს ყველა კლუბს ხელს, ყოველთვის გვექნება ასეთი შემთხვევები. გავიხსენოთ ქუთაისის „ტორპედოს“, ფოთის „კოლხეთის“, „ბათუმის“ მაგალითები... ასეთ ტრადიციულ და ძლიერ ქართულ კლუბებსაც კი შეექმნათ მსგავსი პრობლემები, რაც ძალიან სამწუხაროა. ამიტომ გვჭირდება სერიოზული საპრიზო ფონდი. ეს თანხა შედეგების მიხედვით გადანაწილდება უმაღლესი ლიგის ყველა კლუბზე და ბიზნესმენებსაც ინტერესი გაუჩნდებათ, რადგან თუ მათ გუნდს კარგი შედეგი ექნება, მსუყე თანხას მიიღებს. პარალელურად, თუ გუნდს კარგი სპონსორი ეყოლება, კარგად მოემზადება, შემადგენლობას გააძლიერებს და ხელფასები სანატრელი არ გაუხდება, ეს ბუნებრივად გამოიწვევს გულშემატკივრების დაინტერესებას...

**— საპრიზო ფონდის აუცილებლობაში, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, მაგრამ საიდან უნდა მოიტანოს ეს თანხა სახელმწიფომ? ანუ რისი თქმა მსურს — სწორედ აქ ხომ არ არის საჭირო შეღავათების დაწესება ბიზნესმენებისთვის, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებშია? ევროპულ ქვეყნებს თუ შევხედავთ, ფეხბურთში ფულის ჩადების შემთხვევაში, ბიზნესმენებს მნიშვნელოვნად უმცირდებათ გადასახადები, რაც ჩვენთან დღემდე სანატრელია...**

— სხვათა შორის, იყო პროექტი, რომ სახელმწიფოს 2 მილიონი ლარი უნდა გამოეყო, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ეს საკითხი შეჩერდა. ბიზნესის წახალისება, რა თქმა უნდა, სასურველია, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა გადასახადების შემცირების სპეციფიკაზე ლაპარაკი მიჭირს. ფაქტი ისაა, რომ საპრიზო ფონდი ახლა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქართული ფეხბურთისთვის. ესაა დონის ამაღლების წინაპირობა.

**— ბოლოს ერთი კითხვაც: გიღირთ ფეხბურთში ფულის ხარჯვა?**

— როგორ გითხრათ... გარკვეულ პერიოდამდე მიღირს, რადგან ფეხბურთი მიყვარს და მინდა, მის განვითარებაში ჩემი წვლილიც შევიტანო, მაგრამ ასეთ პირობებში საქმიანობის გაგრძელებაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. თუ სპონსორები არ გამოჩნდნენ, გუნდის შენახვა ძალიან გამიჭირდება...

**კახა შალამბერიძე**

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში



სარბიელის არქივიდან

# მჭედლიძე სტალინის მუზეუმში და იტალიურ შავ ზღვაზე

**რუსულმა** ჟურნალმა „პროსპორტმაგაზინმა" საინტერესო ჩანახატი გააკეთა ლევან მჭედლიძეზე. 18 წლის ქართველი ფორვარდი თვითონაც საუბრობს საინტერესო თემებზე. ჟურნალისტი აღნიშნავს, ქართველებს, მართალია, მთლად არ ეფეხბურთებათ, ომმა ბევრი დააკარგვინათ და მანამდეც ვერ ცხოვრობდნენ მდიდრულად, მაგრამ იქ ნიჭიერი ფეხბურთელები ყოველთვის არიანო.

„თუნდაც მჭედლიძისა და ზოგიერთი მისი თანატოლის მაგალითი ნათლად ცხადჰყოფს, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა" — წერს „პროსპორტმაგაზინი".

ახლა კი მივყვეთ...

„ქართველი ფორვარდი ევროპულ ფეხბურთში, ფაქტობრივად, არაფრისგან მოხვდა, დღეს კი მისი სახელი უკვე იციან, მან ხომ ტურინის „იუვენტუსს" გადამწყვეტი გოლი გაუტანა ამ სეზონში. აქამდე მჭედლიძეს მსოფლიოს 100 საუკეთესო ტალანტთა სიაში თუ იპოვიდით, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა. ეს კლაუს ტოპმიოლერის დამსახურებაა, რომელმაც საქართველოს ნაკრებში ბიჭი ჯერ კიდევ მაშინ მიიწვია, როცა ის „ემპოლის" 18-კაციან განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდა. „ემპოლიში" მან მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ არ გამტყდარა და აკი შოტლანდიის ნაკრებს ბრწყინვალე თავურიც გაუტანა, რითაც იტალიას დაეხმარა ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე გასვლაში. ახლა საქართველოს ნაკრებს არა ტოპმიოლერი, არამედ ჰექტორ რაულ კუპერი წვრთნის, თუმც ჭაბუკს, რომელიც „პალერმოში" სათადარიგო ფეხბურთელია, მაინც იძახებენ ქვეყნის მთავარ გუნდში. მისი გზა ძალიან ჰგავს ჰოლანდიელი რაფაელ ვან დერ ვაარტისას — ხშირი ტრავმები, მაგრამ მაინც საკმაოდ ბევრი მატჩი ეროვნულ ნაკრებში სიჭაბუკის წლებშივე.

...„პალერმოში" ლევანი იმდენად მოსწონთ, რომ „ემპოლის" უკვე მოელაპარაკნენ მის საბოლოო გამოსყიდვაზე. სიცილიელთა ემოციურმა პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ ზაფხულში ზედ სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ შეიძინა ქართველი, მერე კი... „იუვენტუსთან" გატანილ გოლამდე ლევანს სერია A-ში ოდენ 42 წუთი ჰქონდა ნათამაშევი...

...მჭედლიძემ ქართული კარიერა გორის „დილაში" დაიწყო, თუმც იქ მხოლოდ დუბლებში გამოიჩინა თავი.

„ერთხელ, ვარჯიშის შემდეგ სტალინის სახლ-მუზეუმში წაგვიყვანეს. გორი ხომ მისი მშობლიური ქალაქია. სახლში იყო ვაგონი, რომლითაც სტალინი ომის დროს დადიოდა. ჩემი პატარა ბიჭობის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი სწორედ მაშინ იყო" — ამბობს ლევანი.

...მჭედლიძეს იტალიაში გადასვლაში ვლადიმერ გუცაევი დაეხმარა. საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილმა ვარსკვლავმა ბიჭის თბილისის „დინამოში" მოწყობა მოიწადინა, თუმც ბედად, იმ დროს თბილისში სამი იტალიური კლუბის სკაუტები იყვნენ ჩამოსულნი — „ემპოლის", სიენასა" და „ატალანტასი". მჭედლიძეს დააკვირდნენ, ეს ბიჭიც გამოირჩეოდა და „ემპოლიმ" დანარჩენ ორ იტალიურ კლუბს აჯობა — ლევანი თავისთან წაიყვანა.

...„დინამოს" სხვა ფეხბურთელები შოკში იყვნენ — როგორია, მათ ნაცვლად იტალიელებმა აიყვანეს უკომპლექსო პროვინციელი. სკაუტებს ბიჭის სისწრაფე და თავითყოჩაღად თამაში მოეწონათ. ლევანი ყველაზე მაღლა ხტებოდა და 4-5 წლით უფროსებზე სწრაფადაც დარბოდა. ის ასევე გამორჩეული იყო „ემპოლის" დუბლებში, თუმც დიდ გუნდში გადასვლაში ტრავმები ხელს უშლიდა. მეტოქეები ლევანს ვერ ეწეოდნენ და ფეხებში ურტყამდნენ, ისიც, ახალგამოჯანმრთელებული ზოგჯერ იმავე დღეს ახალი ტრავმით „საჩუქრდებოდა".

„მომწონს „პალერმო", ეს გუნდი მალე შევა იტალიურ საკლუბო ელიტაში. ჩვენ ბევრი ფული გვაქვს და ერთი-ორი სეზონის მერე სერია A-ს წამყვან ადგილებზე სტაბილურად გვნახავთ. თვითონ ქალაქი პალერმო საკმაოდ პროვინციულია და შავი ზღვის კურორტს წააგავს, თუმც მეგაპოლისში ცხოვრებას მაინც არ ვარ მიჩვეული" — ესეც ლევანის სიტყვებია.

მართლაც, ტრავმები რომ არ დასდევდეს ამ ბიჭს, ნამდვილი მარგალიტი იქნებოდა...

**ილია ნანოგაშვილი**

# ჯორჯიას მეტოქეები გაირკვა

**საქართველოს** 1997 წელს დაბადებულ ბავშვთა ნაკრები 16-17 მაისს ჩემპიონთა ლიგად წოდებულ ტურნირზე რომ ითამაშებს, აქამდეც გამცნეთ.

„ფონდი არველაძის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გაირკვა ამ ტურნირის მონაწილეთა ვინაობა — „ინტერი" (იტალია), „აიაქსი" (ჰოლანდია), „ალკმაარი" (ჰოლანდია), „რაპი" (ჰოლანდია), „ჩელსი" (ინგლისი), „ანდერლეხტი" (ბელგია), „კაშიმა" (იაპონია) და „ჯორჯია" (საქართველო).

ჩვენების მწვრთნელი ნოდარ აკობია იქნება.

# ძმები ჭილლაძეები ტაურასში გამოჩნდნენ

**საბჭოეთის** დროის ცნობილი შავ-თეთრი ტელევიზორი „ტაურასი" აქ არაფერს შუაშია... ძმები, ბესიკ და დავით ჭილლაძეები ქალაქ ტაურასის „ტაურაგეში" გადავიდნენ.

ცნობისთვის, ეს კლუბი ლიტვის უმაღლეს ლიგაში წლეულს გადავიდა, თუმც ქვეყნის მასშტაბით ტიტულოვანი გუნდია და წლეულსვე სამეულში შესვლას აპირებს.

ბესიკ და დავით ჭილლაძეებმა ლიტვური კარიერა მარიაპოლის „სუდუვაში" დაიწყეს. შემდეგ ბესიკი „ინტერისში" გადავიდა, დავითი კი „ვეტრაში" — ბოლოს სწორედ ამ გუნდებში იყვნენ.

ბესიკი საყრდენი ნახევარმცველია, დავითი კი მარჯვენა მცველი...

დავით ჭილლაძე 2005 წელს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც თამაშობდა, როცა გუნდს გოჩა ტყებუჩავა წვრთნიდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ხუბუტიას 90 პოლონელებთან
## მანჩხავა უკვე თავისუფალია

**ლიტვურმა** „კაუნასმა" პოლონურ შეკრებაზე ადგილობრივ ქვედალიგელ „შჩარნის" 2:1 სძლია. მოგებულთაგან აკაკი ხუბუტიამ სრულად ითამაშა.

ხუბუტია ერთადერთი ქართველი დარჩა „კაუნასში", რაკიღა ნუკრი მანჩხავამ უკვე დატოვა კლუბი.

შეგახსენებთ, რომ კაუნასელები ძალიან ცუდად მოექცნენ მანჩხავას: იანვრიდან ახალი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინათ, თუმც კონტრაქტი ოფიციალურად არ დაარეგისტრირეს და ფეხბურთელი მოატყუეს. მანჩხავამაც კლუბთან შეთანხმების შემდეგ ხელშეკრულება გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ცხადაძის სპარინგები



სარბიელის არქივიდან

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ ახალგაზრდული ნაკრებისთვის სამი ამხანაგური მატჩი დაგეგმა.

კახა ცხადაძის დებიუტი 27 მარტს კვიპროსთან საგარეო მატჩში შედგება; 1 აპრილს ჩვენები თბილისში ბელარუსს დაუხვდებიან, 6 ივნისს კი მოლდოვასთან ასევე თბილისში მოსინჯავენ ძალებს.

როგორც შევიტყვეთ, კახა ცხადაძეს საკვიპროს-საბელარუსო შემადგენლობა თითქმის შერჩეული ჰყავს და დღე-დღეზე გამოაცხადებს კიდეც.

**კახა შალამბერიძე**

# შუშაკმა ზენიტთან წაიფორხილა

**სომხურმა** „მიკამ" ამხანაგური მატჩი ჩაატარა რუსულ „ზენიტთან" და 1:2 დამარცხდა.

ჩვენთვის კარგად ნაცნობი ივო შუშაკის გუნდმა სანკტპეტერბურგელებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, თუმც მაინც წააგო.

„მიკაში" პირველი ტაიმი ითამაშა ექსბათუმელმა ირაკლი ცანავამ.

**ოთარ მხეიძე**

# მენთეშაშვილი და სამი ქართველი

**ლატვიური** „ვენტსპილსი" სომხურ „განძასარს" შეხვდა და 3:0 მოუგო.

ზურაბ მენთეშაშვილმა 71 წუთი ითამაშა და ორ გოლში დაიდო წვლილი.

სომხურ გუნდში სამივე ქართველმა, ლევან ბუბუტეიშვილმა, დავით ხანიშვილმა და მიხეილ თაყაძემ ითამაშა.

# იტალია თბილისში ბაზელის გავლით

**2010 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქე იტალია ამხანაგურ მატჩს გამართავს შვეიცარიასთან.

შეხვედრა 12 აგვისტოს ბაზელში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ იტალია საქართველოს თბილისში 5 სექტემბერს გაეჯიბრება და შვეიცარიასთან სპარინგიც საამმატჩო რეპეტიცია იქნება.

**კახა შალამბერიძე**

# ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა

LG

## ფინალი

**სეუ 8:6 იბერია ბ/ჯ**

გოლები: გოგოლაძე (3), რევაზიშვილი (3), გუნია, ჩალაძე; არველაძე (3), ლიბრაძე (2), ნემსაძე

სეუ: გვარამაძე, ვერულაშვილი, გოგოლაძე, რევაზიშვილი, გუნია, ჩალაძე, მჭედლიშვილი, გორდელაძე, ახობაძე, ცოცოლაშვილი

იბერია: შარაშიძე, ნემსაძე, არველაძე, ჯამარაული, ლუდუშაური, ლიბრაძე, თოთაძე, ხეჩიკაშვილი, ხუჯაძე, როსტიაშვილი

მსაჯები: შ. ქუხილავა, ა. ნონიკაშვილი

# ბიზნესის თასი სეუ-ს დარჩა

**ბიზნესის** ჩემპიონთა თასის ფინალში სეუ-მ „იბერიას" 8:6 მოუგო.

რა შეხსენება უნდა, რომ „იბერიაში" საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები თამაშობენ — გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, არჩილ არველაძე და გიორგი ლუდუშაური, თუმცა ფინალში სეუ-მ სრულიად დამსახურებულად იმარჯვა.

სეუ-მ პირველი წუთებიდან აქტიურად დაიწყო თამაში და მალევე ორი ბურთით დაწინაურდნენ. არჩილ არველაძემ ერთი გაქვითა, თუმც ნიკა ჩალაძის და დავით გოგოლაძის კარგ გარჯას კიდევ ორი გოლი მოჰყვა „იბერიას" კარში და ტაიმიც 4:1 დასრულდა.

მეორე ნახევარი კარგად დაიწყო „იბერიამ" და მალე ანგარიში 4:2 გახდა — ისევ არველაძემ იყოჩაღა. სეუ-მ ისევ იპოვა თავისი თამაში და „იბერიას" კარშიც პანტა-პუნტით შეყარეს გოლები.

8:2-ის შემდეგ მატჩმა თითქოს ინტრიგა დაკარგა, თანაც არველაძემ ტრავმა მიიღო. მიუხედავად ამისა, „იბერიამ" ბოლომდე იბრძოლა და საბოლოოდ მატჩი 8:6 დამთავრდა.

ფინალის საუკეთესო მოთამაშედ ნიკა ჩალაძე დასახელდა, სეუ-ს კი გარდამავალი თასი და სიგელები გადაეცა.

**ნუკრი ლოლაძე**

# კოზკომ რევიშვილი ოდნავ დააწინაურა

**შანსი** იმისა, რომ ნუკრი რევიშვილს „რუბინში" წლეულს ბევრი თამაში მოუწევს, ძალიან მცირეა, თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით, ვინძლო, ჩვენიანი რუსეთის ჩემპიონის მეორე მეკარე იყოს.

საქმე ისაა, რომ ყაზანელებს ვეტერანი მეკარე სერგეი კოზკო კარგა ხნით დაუშავდათ და მართალია, ახალი გოლკიპერის მოყვანა სურდათ, მაგრამ გაუჭირდებათ — ფინანსური კრიზისი „ჩაერია" საქმეში.

„რუბინის" ძირითად მეკარედ კი სერგეი რიჟიკოვი ითვლება და ამ ეტაპზე უკონკურენციოცაა.

**ილია ნანობაშვილი**

# ანჟელ ქართველებს გრიპმა შეუშალა

**მახაჩყალის** „ანჟიმ" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა და ბრესტის „დინამოს" 1:1-ზე გაეყარა.

დაღესტნურ გუნდში კახა ალადაშვილი, ედიკ საჯაია და სანდრო იაშვილი 75-ე წუთზე შეცვალეს, გიორგი ნავალოვსკი კი 85-ეზე.

გოჩა ხოჯავამ, ზურაბ არზიანმა და ოთარ მარცვალაძემ გრიპის ვირუსის გამო ვერ ითამაშეს.

**ოთარ მხეიძე**

# ტომმა სირაძე იუარა



**რუსულმა** „ტომმა" დავით სირაძეზე უარი თქვა.

გეცოდინებათ, ტომსკელთა თავკაცმა ვალერი ნეპომნიაშჩიმ რუსულ პრესას განუცხადა, რომ კარგ თავდამსხმელს ვეძებთ და სირაძის კანდიდატურა შემომთავაზესო.

ახლა კი „სპორტ-ექსპრესმა" დაწერა, რომ „ტომმა" სირაძე აღარ ისურვა და ტრანსფერიც უკვე ჩაიშალა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ჯერჯერობით თბილისის „ლოკომოტივში" ვარჯიშობს და არის შანსი, სეზონის ბოლომდე ამ გუნდში დარჩეს.

**კახა შალამბერიძე**

# ფოფხაძის ორი ტესტი

**გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგმა" ესპანურ შეკრებაზე ორი ტესტ-მატჩი გამართა. დანიის პირველი ლიგის ლიდერმა ესპანურ „ანტეკუერასთან" 2:0 მოიგო, რუსულ „ზენიტთან" კი 0:4 დამარცხდა.

ქართველმა მარცხენა მცველმა პირველ შეხვედრაში მეორე ტაიმი ითამაშა, „ზენიტთან" კი ბოლო 15 წუთი იბურთავა.

ფოფხაძე მცირე ტრავმის გამო რამდენიმე დღე ვერ ვარჯიშობდა და მისი სათადარიგოობა ამით იყო გამოწვეული.

**ილია ნანობაშვილი**

# ჭაბუკთა ლიგა

## 1993-94-წლიანები

სპარტაკი — გაგრა 0:0; ოლიმპი — მგლები 1:1; ლოკომოტივი — ბორჯომი 1:0; ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია 1:1; მესხეთი — დინამო 0:8; ამერი — სიონი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 16 | 1 | 0 | 64:2 | 49 |
| ამერი | 17 | 12 | 2 | 3 | 46:17 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 11 | 4 | 2 | 34:15 | 37 |
| ზესტაფონი | 17 | 8 | 3 | 6 | 24:22 | 27 |
| მგლები | 17 | 7 | 5 | 5 | 36:22 | 26 |
| სპარტაკი | 16 | 6 | 4 | 6 | 18:23 | 22 |
| ლოკომოტივი | 17 | 6 | 3 | 8 | 26:18 | 21 |
| გაგრა | 17 | 5 | 6 | 6 | 23:24 | 21 |
| ოლიმპი | 17 | 4 | 5 | 8 | 22:32 | 17 |
| ბორჯომი | 16 | 3 | 5 | 8 | 12:31 | 14 |
| სიონი | 17 | 1 | 2 | 14 | 8:41 | 5 |
| მესხეთი | 17 | 1 | 2 | 14 | 7:75 | 5 |

## 1995-96-წლიანები

სპარტაკი — გაგრა 0:1; ოლიმპი — მგლები 1:0; ლოკომოტივი — ბორჯომი 2:1; ზესტაფონი — ვიტ ჯორჯია 2:2; მესხეთი — დინამო 2:3; ამერი — სიონი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 48:8 | 43 |
| გაგრა | 17 | 11 | 2 | 4 | 35:9 | 35 |
| ოლიმპი | 17 | 9 | 3 | 5 | 27:20 | 30 |
| ზესტაფონი | 17 | 8 | 5 | 4 | 33:22 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 8 | 3 | 6 | 24:23 | 27 |
| მგლები | 17 | 7 | 4 | 6 | 26:19 | 25 |
| დინამო | 17 | 6 | 7 | 4 | 14:18 | 25 |
| ამერი | 17 | 6 | 5 | 6 | 19:22 | 23 |
| ბორჯომი | 17 | 7 | 1 | 9 | 20:17 | 22 |
| სიონი | 17 | 3 | 3 | 11 | 15:36 | 12 |
| სპარტაკი | 17 | 2 | 5 | 10 | 8:30 | 11 |
| მესხეთი | 17 | 0 | 3 | 14 | 4:49 | 3 |

# ელიტ-ლიგა

## 1992-წლიანები

ოლიმპიკი 2:1 გარეჯი
აკადემია 92 3:2 ამერი
აკადემია 0:0 35-ე სკოლა
ქართლი — ავაზა
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 10 | 1 | 0 | 46:4 | 31 |
| ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 27:12 | 25 |
| ქართლი | 10 | 7 | 3 | 0 | 21:10 | 24 |
| ნ. დინამო | 11 | 7 | 1 | 3 | 29:19 | 22 |
| ოლიმპიკი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | 20 |
| თბილისი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:16 | 17 |
| იმედი | 11 | 5 | 2 | 4 | 18:19 | 17 |
| 35-ე სკოლა | 11 | 5 | 1 | 5 | 20:13 | 16 |
| შევარდენი | 11 | 4 | 2 | 5 | 18:17 | 14 |
| გარეჯი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:30 | 11 |
| ავაზა | 9 | 3 | 1 | 5 | 14:17 | 10 |
| აკადემია 92 | 12 | 3 | 1 | 8 | 14:28 | 10 |
| ამერი 2 | 11 | 1 | 0 | 10 | 12:43 | 3 |
| აკადემია | 12 | 0 | 1 | 11 | 5:42 | 1 |

## 1993-წლიანები

ქუთაისი 1:5 ავაზა
ოლიმპიკი 0:2 ნ. დინამო 1
35-ე სკოლა 1 1:3 აკადემია 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია 1 | 11 | 10 | 0 | 1 | 42:18 | 30 |
| ნ. დინამო 1 | 11 | 9 | 1 | 1 | 51:5 | 28 |
| 35-ე სკოლა 1 | 10 | 9 | 0 | 1 | 34:11 | 27 |
| შევარდენი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:10 | 25 |
| ავაზა | 10 | 8 | 0 | 2 | 33:12 | 24 |
| მთ. გლობუსი | 11 | 6 | 2 | 3 | 32:16 | 20 |
| ნ. დინამო 2 | 11 | 5 | 3 | 3 | 24:14 | 18 |
| საბურთალო | 10 | 5 | 2 | 3 | 29:15 | 17 |
| ოლიმპიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 21:16 | 13 |
| ქუთაისი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:23 | 11 |
| ამერი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:20 | 11 |
| 35-ე სკოლა 2 | 11 | 3 | 2 | 6 | 23:33 | 11 |
| ვეფხვები | 11 | 3 | 1 | 7 | 15:29 | 10 |
| აკადემია 2 | 11 | 3 | 1 | 7 | 16:38 | 10 |
| ვეფხვები 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:19 | 8 |
| 35-ე სკოლა 4 | 11 | 1 | 2 | 8 | 7:25 | 5 |
| იმედი | 11 | 1 | 2 | 8 | 12:44 | 5 |
| 35-ე სკოლა 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 9:61 | 1 |

## 1994-წლიანები

### I ჯგუფი

აკადემია 0:4 ლოკომოტივი
თბილისი 2 4:0 35-ე სკოლა 3
აკადემია 1 — ერთობა
გადაიდო
საბურთალო — 35-ე სკოლა
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 11 | 10 | 1 | 0 | 55:3 | 31 |
| 35-ე სკოლა 1 | 10 | 9 | 1 | 0 | 36:5 | 28 |
| ამერი | 11 | 7 | 0 | 4 | 27:15 | 21 |
| საბურთალო | 9 | 6 | 1 | 2 | 28:13 | 19 |
| ნ. დინამო 1 | 10 | 6 | 1 | 3 | 22:9 | 19 |
| თბილისი 2 | 10 | 5 | 1 | 4 | 22:21 | 16 |
| ვეფხვები | 11 | 4 | 2 | 5 | 14:30 | 14 |
| აკადემია | 11 | 3 | 5 | 3 | 13:18 | 14 |
| 35-ე სკოლა 3 | 11 | 3 | 1 | 7 | 18:27 | 10 |
| ავაზა | 9 | 1 | 0 | 8 | 9:36 | 3 |
| ერთობა | 9 | 0 | 1 | 8 | 5:28 | 1 |
| აკადემია 1 | 10 | 0 | 0 | 10 | 1:45 | 0 |

### II ჯგუფი

აკადემია 94 1:0 იმედი
35-მეტეხი 4:1 ამერი 2
ნ. დინამო 2 1:3 თბილისი 1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმედი (თბ) | 11 | 8 | 1 | 2 | 35:10 | 25 |
| შევარდენი | 9 | 8 | 0 | 1 | 23:5 | 24 |
| თბილისი 1 | 10 | 7 | 2 | 1 | 34:10 | 23 |
| აკადემია 94 | 10 | 7 | 2 | 1 | 28:9 | 23 |
| ოლიმპიკი | 10 | 6 | 2 | 2 | 18:10 | 20 |
| 35-მეტეხი | 10 | 5 | 0 | 5 | 24:21 | 15 |
| ვეფხვები 2 | 10 | 4 | 2 | 4 | 16:22 | 14 |
| გორი | 10 | 3 | 2 | 5 | 15:21 | 11 |
| მთ. გლობუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:19 | 11 |
| 35-ე სკოლა 2 | 11 | 3 | 0 | 8 | 16:29 | 9 |
| ამერი 2 | 10 | 1 | 2 | 7 | 13:23 | 5 |
| თბილისი 3 | 10 | 1 | 2 | 7 | 10:30 | 5 |
| ნ. დინამო 2 | 11 | 1 | 1 | 9 | 7:33 | 4 |

## 1995-წლიანები

ავაზა 1 0:3 საბურთალო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 40:4 | 24 |
| აკადემია 95 | 9 | 7 | 1 | 1 | 32:6 | 22 |
| ჰერეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 18:10 | 19 |
| საბურთალო | 9 | 5 | 1 | 3 | 27:21 | 16 |
| აკადემია 1 | 9 | 5 | 0 | 4 | 12:9 | 15 |
| 35-ე სკოლა 1 | 9 | 4 | 1 | 4 | 26:21 | 13 |
| ავაზა 2 | 9 | 4 | 0 | 5 | 16:24 | 12 |
| ავაზა 1 | 9 | 3 | 0 | 6 | 18:21 | 9 |
| 35-ე სკოლა 3 | 9 | 0 | 1 | 8 | 9:41 | 1 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 0 | 1 | 8 | 4:45 | 1 |

## 1996-წლიანები

იმედი 5:0 ნ. დინამო 2
ჩემპიონი 5:1 ამერი
35-ე სკოლა 10:0 ვეფხვები 2
შევარდენი 1:2 ვეფხვები 1
თბილისი 1:0 ოლიმპიკი
ავაზა 0:2 ლოკომოტივი
საბურთალო 3:2 აკადემია 2
ნ. დინამო 1 7:2 აკადემია 1
გორი 2:0 ოლიმპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 12 | 10 | 2 | 0 | 63:11 | 32 |
| გორი | 12 | 10 | 1 | 1 | 43:19 | 31 |
| ჩემპიონი | 12 | 9 | 2 | 1 | 52:18 | 29 |
| შევარდენი | 12 | 8 | 1 | 3 | 34:11 | 25 |
| ნ. დინამო 1 | 12 | 7 | 1 | 4 | 48:36 | 22 |
| ოლიმპი | 12 | 7 | 0 | 5 | 42:15 | 21 |
| ამერი | 12 | 6 | 3 | 3 | 32:28 | 21 |
| აკადემია 1 | 12 | 6 | 2 | 4 | 28:25 | 20 |
| ოლიმპიკი | 11 | 6 | 1 | 4 | 27:13 | 19 |
| ვეფხვები 1 | 11 | 5 | 1 | 5 | 34:20 | 16 |
| თბილისი | 12 | 5 | 1 | 6 | 26:29 | 16 |
| აკადემია 2 | 12 | 4 | 3 | 5 | 24:26 | 15 |
| საბურთალო | 12 | 4 | 2 | 6 | 31:43 | 14 |
| იმედი | 12 | 4 | 0 | 8 | 21:24 | 12 |
| ავაზა | 12 | 2 | 0 | 10 | 19:58 | 6 |
| ვეფხვები 2 | 12 | 2 | 0 | 10 | 5:65 | 6 |
| ლოკომოტივი | 12 | 1 | 1 | 10 | 9:37 | 4 |
| ნ. დინამო 2 | 12 | 0 | 1 | 11 | 16:76 | 1 |

## 1997-წლიანები

ლოკომოტივი 4:1 ნ. დინამო 1
35-ე სკოლა 2 2:0 საბურთალო
თბილისი 2 1:0 იმედი
თბილისი 1 5:0 35-ე სკოლა 1
ავაზა 2:1 ნ. დინამო 3
ნ. დინამო 2 2:1 აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი 1 | 9 | 9 | 0 | 0 | 44:8 | 27 |
| 35-ე სკოლა 2 | 9 | 7 | 1 | 1 | 24:5 | 22 |
| ლოკომოტივი | 10 | 5 | 2 | 3 | 30:21 | 17 |
| საბურთალო | 9 | 5 | 0 | 4 | 29:18 | 15 |
| იმედი (თბ) | 9 | 4 | 2 | 3 | 24:18 | 14 |
| ავაზა | 9 | 4 | 2 | 3 | 16:17 | 14 |
| ნ. დინამო 1 | 9 | 5 | 1 | 4 | 25:30 | 13 |
| თბილისი 2 | 9 | 3 | 4 | 2 | 17:17 | 13 |
| 35-ე სკოლა 1 | 9 | 4 | 0 | 5 | 17:28 | 12 |
| ამერი | 9 | 3 | 2 | 4 | 16:18 | 11 |
| აკადემია | 10 | 1 | 3 | 6 | 21:29 | 6 |
| ნ. დინამო 3 | 9 | 1 | 1 | 7 | 13:25 | 4 |
| ნ. დინამო 2 | 10 | 1 | 0 | 9 | 14:57 | 3 |

## 1998-წლიანები

ნ. დინამო 2 0:3 ნ. დინამო 1
ამერი 2:2 ლოკომოტივი
ავაზა 0:1 შევარდენი
ნ. დინამო 3 2:2 აკადემია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. დინამო 1 | 8 | 5 | 2 | 1 | 22:14 | 17 |
| გორი | 7 | 5 | 1 | 1 | 22:14 | 16 |
| აკადემია | 8 | 5 | 1 | 2 | 18:11 | 16 |
| ლოკომოტივი | 7 | 4 | 1 | 2 | 18:12 | 13 |
| ავაზა | 8 | 4 | 0 | 4 | 27:22 | 12 |
| ამერი | 8 | 3 | 1 | 4 | 22:19 | 10 |
| შევარდენი | 8 | 3 | 0 | 5 | 16:20 | 9 |
| ნ. დინამო 3 | 7 | 1 | 1 | 5 | 14:26 | 4 |
| ნ. დინამო 2 | 7 | 0 | 1 | 6 | 3:24 | 1 |

# მეორე ლიგა

## აღმოსავლეთი

სპარტაკი 2 0:0 ალაზანი
იმედი 3:0 ერთობა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუშეთი | 17 | 12 | 2 | 3 | 38:15 | 38 |
| სპარტაკი 2 | 18 | 12 | 3 | 4 | 48:22 | 36 |
| ამერი 2 | 17 | 11 | 2 | 4 | 34:11 | 35 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 10 | 3 | 3 | 34:18 | 33 |
| გარეჯი | 17 | 9 | 2 | 6 | 27:18 | 29 |
| იმედი (რ) | 18 | 7 | 5 | 6 | 25:25 | 26 |
| ჰერეთი 2 | 17 | 8 | 1 | 8 | 36:27 | 25 |
| იბსუ | 17 | 8 | 1 | 8 | 31:32 | 25 |
| 35-ე სკოლა | 16 | 7 | 4 | 5 | 28:26 | 25 |
| სამგორი | 16 | 6 | 6 | 4 | 29:24 | 24 |
| ერთობა | 18 | 7 | 2 | 9 | 24:41 | 23 |
| ბორჯომი 2 | 16 | 7 | 1 | 8 | 20:27 | 22 |
| ლიახვი | 17 | 6 | 4 | 7 | 27:29 | 22 |
| ალგეთი | 16 | 5 | 2 | 9 | 19:35 | 17 |
| არაგველები | 16 | 4 | 4 | 8 | 17:23 | 16 |
| ზოოვეტი | 17 | 4 | 2 | 11 | 21:35 | 14 |
| ალაზანი | 18 | 3 | 3 | 12 | 11:33 | 12 |
| ნ. დინამო 2 | 17 | 2 | 3 | 12 | 12:40 | 9 |



# საქართველოს 20 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა — 19 ტური

### აღმოსავლეთი

**კახეთი 0:0 ჰერეთი**

**კახეთი:** კობრიაშვილი, ხამხაძე (ხერხელაური 80), მ. ხიდეშელი, ტარუღაშვილი, ბ. მჭედლიშვილი, ლ. აბდულაევი, ბიძინაშვილი, ძამუკაშვილი, ლ. ტეტიაშვილი, იმერლიშვილი, კეკლიშვილი
*სათადარიგონი:* ნინიკელაშვილი, ზუროშვილი, ბორჩაშვილი
მწვრთნელი: გივი კობაიძე
**ჰერეთი:** ჯალიაშვილი, მაჭარაშვილი, აბაშიძე, ტაკაშვილი, ხარაიშვილი, კობერიძე, ყორღანაშვილი, ვ. კურტანიძე (თ. ყაველაშვილი 56), ი. ტაბატაძე, თანდაშვილი, გ. ოქრუაშვილი (კ. წვერავა 56)
*სათადარიგო:* კ. კურტანიძე, თაბუკაშვილი, ლ. ნადირაძე, გვარაძე
მწვრთნელი: კარლო წვერავა
გაფრთხილება: მჭედლიშვილი, ტეტიაშვილი, ხარაიშვილი, ტეტიაშვილი, კობრიაშვილი, მაჭარაშვილი
გაძევება: ტეტიაშვილი (54)
მსაჯი: ა. ნონიკაშვილი
100 მაყურებელი

**ამერი 2:0 თბილისი**

1:0 ჯანელიძე (16), 2:0 გვაძაბია (57)
**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, დ. მჭედლიშვილი (ნ. ქებაძე 55), გ. ნადირაშვილი, ბენდელიანი (ლაფერაშვილი 46), ცხოვრებაშვილი, დ. ჯანელიძე (ბოჯგუა 81)
*სათადარიგონი:* გვენცაძე, ლვინიაშვილი, მელიქიშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე
**თბილისი:** გიორგობიანი, სარაჯიშვილი, ოდიშარია (დ. ამისულაშვილი 68), ჭაფოძე, ხოხონიშვილი, გურეშიძე, კორინფაძე, ჯაში (კბილცეცხლაშვილი 68), ზვიადაძე (ბროლაძე 80), ტორონჯაძე, ნ. გოგოხია
*სათადარიგონი:* პ. ოთარაშვილი, ი. დევდარიანი, სებისკვერაძე, ბ. ბაბუნაშვილი
მწვრთნელი: გელა გომელაური
გაფრთხილება: გურეშიძე
მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი
200 მაყურებელი

**გაგრა 2 1:1 ნორჩი დინამო**

1:0 ფილია (35), 1:1 ღვთისავრიშვილი (65)
**გაგრა 2:** ხომერიკი, ჭანკვეტაძე, კილაძე, ბ. ტეტუნაშვილი, ბედენიძე, ჯარმელაშვილი, ნავერიანი (ხართანია), ფილია, მოსიაშვილი, თუხარელი (ნ. ფანცხავა), დ. ჩხაიძე (ოქრიაშვილი)
მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე
**ნორჩი დინამო:** სეფიაშვილი, დაბრუნდაშვილი, ა. კალაძე, ტოსტიაშვილი, ხიზანიშვილი, გურაბანიძე, გ. დარასელია, ღვთისავრიშვილი, ჩუთლაშვილი (მათნაძე 60), მიქელაძე (ქემუხტაშვილი 76), ლაბარტყავა (კობახიძე 73)
*სათადარიგონი:* ედიშერაშვილი, სეხნიაშვილი, ავაქოვი, გაბრიჩიძე
მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე
გაფრთხილება: ხიზანიშვილი
გაძევება: ხიზანიშვილი (52)
100 მაყურებელი

**დილა 2:1 ჩიხურა**

1:0 ბარამიძე (5), 2:0 ფაილოძე (30), 2:1 მიქაძე (46)
**დილა:** კეჩხუაშვილი, ცოცხალაშვილი, შარანგია, მინდიაშვილი, გ. ჩიხრაძე, სორდია, ქარდავა (ც. ცერცვაძე 53), ბეგლარიშვილი, ბარამიძე, ფაილოძე (ანდღულაძე 65), იჩქითი (გ. მეტრეველი 78)
*სათადარიგონი:* გ. მაისურაძე, ი. თოდუა, მაჭავარიანი, დაჩანიძე
მწვრთნელი: პაატა მეტრეველი
**ჩიხურა:** დოლაძე, როგავა, ბარაბაძე, დოლონაძე, ი. ტყებუჩავა, ზაბახიძე, ქამუშაძე (ი. ჭილაძე 69), ჩიკვაიძე (პეტრიაშვილი 60), ზ. ნოზაძე (ივანიშვილი 69), მ. მიქაძე, ლ. კობახიძე
*სათადარიგონი:* მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, გ. ენუქიძე, გ. ცერცვაძე
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
გაფრთხილება: როგავა, დოლონაძე, მიქაძე, ჩიხრაძე, სორდია, ფაილოძე, ანდღულაძე
მსაჯი: გ. კიკაჩეიშვილი
200 მაყურებელი

**სიონი 2 0:1 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 სვანიძე (14)
**ვიტ ჯორჯია 2:** ა. მიქაბერიძე, ვაკუა, გოგიაშვილი (ცხოვრებაძე 3), კასრაძე, ადამაძე, გამრეკლიძე, იოსელიანი, ვასაძე, ზ. დათუნაშვილი, სვანიძე, როსტიაშვილი (ხოკერაშვილი 77)
*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი, გუგა ლობჟანიძე, გურამ ლობჟანიძე, ბერაძე, მალრაძე
მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 18 | 13 | 2 | 3 | 37:12 | 41 |
| ამერი | 18 | 12 | 4 | 2 | 30:7 | 40 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 17 | 10 | 5 | 2 | 27:6 | 35 |
| დინამო 2 | 17 | 9 | 6 | 2 | 26:12 | 33 |
| დილა | 17 | 7 | 5 | 5 | 23:14 | 26 |
| სიონი 2 | 17 | 5 | 4 | 8 | 22:40 | 19 |
| თბილისი | 17 | 5 | 3 | 9 | 25:28 | 18 |
| გაგრა 2 | 18 | 5 | 3 | 10 | 27:39 | 18 |
| კახეთი | 17 | 2 | 5 | 10 | 9:28 | 11 |
| ნორჩი დინამო | 17 | 1 | 7 | 9 | 17:31 | 10 |
| ჰერეთი | 17 | 1 | 6 | 10 | 12:38 | 9 |

**XX ტური**

11 მარტი
თბილისი – გაგრა 2
12 მარტი
ვიტ ჯორჯია 2 – კახეთი
ჰერეთი – დილა
ჩიხურა – დინამო 2
ნორჩი დინამო – სიონი 2
*ამერი ისვენებს*

### დასავლეთი

**სამტრედია 2:1 ბაია**

0:1 ჟვანია (18), 1:1 ჯიქიძე (77), 2:1 ტყემალაძე (85)
**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, კირთაძე, კ. ძაგანია, თ. შალიკაშვილი, ი. შალიკაშვილი (ვ. ტყემალაძე 46), ნინუა, ადეიშვილი (ეცადეიშვილი 58), ბაკურაძე, ბეგოიძე (ჯიქიძე 64), ზ. ხაჭიპერაძე
*სათადარიგონი:* ბანძავა, ი. ჟღენტი, თელია, გუბელაძე
მწვრთნელი: ვალერიან ჩხარტიშვილი
**ბაია:** ივარდავა, ზ. ექონია (ჩანგელია 59), პაჭკორია, ჟვანია, ქვარცხავა (სიხარულია 88), წურწუმია, გუგუჩია (ძალამიძე 46), ებვაია, ვართაგავა, გ. ქირია, სვირავა
*სათადარიგონი:* ზარქუა, ნ. შონია, კ. შონია, კაკუშაძე
მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი
გაფრთხილება: ჟვანია, კირთაძე, სვირავა
მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი
1 600 მაყურებელი

**ჭიათურა 1:2 ხობი**

1:0 სევასტოპულო (23პ), 1:1 ლომაია (59), 1:2 გაგუა (73)
**ჭიათურა:** ბადურაშვილი, გაფრინდაშვილი, მ. სამხარაძე, გ. ბრეგვაძე, თემირ მიშველიძე, ნ. ტყემალაძე (ასანიძე 46), ი. სარალიძე, ვაშაძე (რობაქიძე 46), ცერცვაძე (ლაშხი 75), სევასტოპულო, გოგბერაშვილი
*სათადარიგონი:* თემურ მიშველიძე, აბესაძე, ბარათაშვილი, დარბაიძე
მწვრთნელი: დავით იობაშვილი
**ხობი:** ჭურღულია, ჩაჩიბაია, გ. გოგენია, ა. კვირკველია, მ. შონია, ალანია, კ. გოგენია, ლეფსაია, ო. შენგელია (ფირცხელავა 74), გ. გაგუა, გ. ლომაია (გრიგოლია 90)
*სათადარიგონი:* ზ. გელაშვილი, ლ. გოგენია
მწვრთნელი: ლევან ნოდია
გაფრთხილება: სევასტოპულო, ლეფსაია
მსაჯი: გ. ვადაჭკორია
100 მაყურებელი

**გურია 2:0 ზესტაფონი 2**

1:0 გოგიბერიძე (36პ), 2:0 კილაძე (87)
*კუკულაძემ ვერ გაიტანა პენალტი (76)*
**გურია:** კეკელიძე, გოგიბერიძე, ბრეგაძე, ცინცაძე, ა. იმნაიშვილი, შენირული (ლ. ციკოლია 60), უგლავა, ი. კილაძე, ტ. კუკულაძე (ურუშაძე 77), ჯაყელი, კვირენჩხილაძე
*სათადარიგონი:* გოგუაძე, იმნაძე, ქურიძე, სულაბერიძე
მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი
**ზესტაფონი 2:** მიშველიანი, ბერუაშვილი, ჯულელი, კენჭოშვილი, ჭანტურიაძე, ა. ლაბაძე (კვიკვინია 80), ი. ხვადაგიანი (დ. ჭელიძე 73), ბუკია, ხიხაძე, ბერიძე (ნ. კირკიტაძე 46), კაჭკაჭიშვილი
*სათადარიგონი:* დოგრაშვილი, ვ. ტაბატაძე, გ. გაბუნია, ხაჩიძე
მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე
გაფრთხილება: ბერუაშვილი, კაჭკაჭიშვილი, უგლავა, მიშველიანი, ბუკია
მსაჯი: ჯ. ბეიშვილი
300 მაყურებელი

**კოლხეთი 1:1 მერანი (მ)**

1:0 გოგნაძე (4), 1:1 ციცხვაია (57)
**კოლხეთი:** ჩემია, ლუსტა, სიჭინავა, ლვანია, გელაჭეიშვილი, აბურჯანია (გვიჩია 78), გვალია, გოგნაძე (ლემონჯავა 68), გოგონაია, გ. ციკოლია, წიქარიშვილი (ქანდავაძე 82)
*სათადარიგონი:* გ. შენგელია, გულუა, გეგელია, მ. რუსია
მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე
**მერანი (მ):** ქვილითაია, ჩხიკვაძე (ბერიშვილი 58), ფარცვანია, ვ. იობაშვილი, კვიტატიანი, გ. ილურიძე, წონორია (პაპადოპულოსი 46), ლ. ტორაძე (ა. ნოზაძე 79), ჩალაძე, ჩომახიძე, ციცხვაია
*სათადარიგონი:* ლომაძე, დ. თოდუა, ჯ. შეროზია
მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია
გაფრთხილება: გოგნაძე, სიჭინავა, წიქარიშვილი, ჩალაძე
მსაჯი: მ. ურუშაძე
300 მაყურებელი

**მეშახტე — ბათუმი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 18 | 12 | 2 | 4 | 32:15 | 38 |
| ბაია | 17 | 11 | 4 | 2 | 29:8 | 37 |
| მერანი (მ) | 17 | 10 | 5 | 2 | 28:15 | 35 |
| კოლხეთი | 17 | 8 | 4 | 5 | 21:16 | 28 |
| ხობი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:27 | 24 |
| ჭიათურა | 18 | 7 | 2 | 9 | 26:25 | 23 |
| ტორპედო 2008 | 17 | 7 | 1 | 9 | 16:13 | 22 |
| გურია | 17 | 6 | 3 | 8 | 26:28 | 21 |
| ზესტაფონი 2 | 17 | 4 | 4 | 9 | 16:25 | 16 |
| ბათუმი | 17 | 4 | 4 | 9 | 20:31 | 16 |
| მეშახტე | 16 | 1 | 2 | 13 | 9:40 | 5 |

**XX ტური**

12 მარტი
ბაია – ჭიათურა
ხობი – გურია
ზესტაფონი 2 – კოლხეთი
მერანი (მ) – მეშახტე
ბათუმი – ტორპედო 2008
*სამტრედია ისვენებს*



# მოვემზადებით და მერე გადავალთ

## სოსო ფრუიძე საჩხერეში დაკარგულ თაობებს ეძებს

**ნინა „სარბიელში“ გამცნეთ, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონის ლიდერმა საჩხერის „ჩიხურამ“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტს წერილობით მიმართა, რომ წლეულს უმაღლეს ლიგაში გადასვლას არ გეგმავს. რა თქმა უნდა, ამის მიზეზით დავინტერესდით და „ჩიხურას“ მთავარ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს დავუკავშირდით...**

— კლუბის სტრატეგია იქითაა მიმართული, რომ გუნდში ადგილობრივმა კადრებმა ითამაშონ. ამ ეტაპზე ვთვლით: ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში რომც გადავიდეს, იქ ღირსეულ ბრძოლას ვერ გამართავს. ჩვენ არ გვინდა, სხვაგვარად უმაღლესში ვიყოთ. ვთვლი, რომ სწორი გზა გვაქვს არჩეული — განვავითარებთ ინფრასტრუქტურას, მოვაძლიერებთ საფეხბურთო სკოლას და...

**— ინფრასტრუქტურის ხსენებაზე, საჩხერეში მაღალი დონის ხელოვნურსაფარიანი მოედანი გაკეთდა, სადაც გუნდმა უკვე ითამაშა კიდეც. კიდევ რა იგეგმება?**

— საფეხბურთო სკოლა სწორედ ხელოვნურსაფარიან სტადიონზე ფუნქციონირებს. გვყავს 1995-2001 წლებში დაბადებულთა ჯგუფები. სოფელ მერჯევში უკვე მზადაა ბალახისსაფარიანი მოედანი, სადაც 500-კაციანი ტრიბუნა და თანამედროვე დონის გასახდელი და საშხაპეებიც გაკეთდა. ამინდები რომ გამოსწორდება, უკვე იქ გადავალთ. შესაძლოა, მომავალში იქ „ჩიხურას“ ბაზაც აშენდეს.

**— ბალახი უცხოეთიდან ჩამოიტანეთ?**

— არა, კარგი ხარისხის ქართული ბალახი დაიგო.

**— „ჩიხურას“ საფეხბურთო სკოლაში რამდენი მწვრთნელია დასაქმებული?**

— ამჟამად თოთხმეტი მწვრთნელია და, რა თქმა უნდა, მათ გააჩნიათ B და C ლიცენზიები. 16 მარტს კიდევ იწყება C ლიცენზირების მორიგი კურსები, რასაც რამდენიმე ჩვენი მწვრთნელი გაივლის.

**— თქვენი გათვლით, უმაღლესი ლიგისთვის როდის იქნება მზად „ჩიხურა“?**

— ზუსტი დროის თქმა ჯერ ძნელია. არ გვყავს 1993-94 წლებში დაბადებულთა თაობა — ასეთი ასაკის ფეხბურთელები, ფაქტობრივად, არ არიან საჩხერეში. 1995 წელს დაბადებულებიც ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ ნელ-ნელა უნდა მივიდეთ მიზნამდე.

**— თუმცა ამჟამად „ჩიხურა“ პირველი ლიგის აღმოსავლეთ ზონას ლიდერობს და ალბათ მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესში თამაში არ გსურთ, მაინც პირველ ადგილს უმიზნებთ...**

— ყველა თამაშზე ფეხბურთელებს მაქსიმუმს ვთხოვ და, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი მაინც პირველ ადგილზე გასვლაა.

**ნუკრი ლოლაძე**

# გიორგი დევდარიანი: ჯერ აიაქსი, მერე როტ ვაისი

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრები მარტის ბოლოს ჰოლანდიაში გაემგზავრება და 31 მარტს ამსტერდამის „აიაქსის“ ასაკობრივ გუნდთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს, 2 აპრილს კი გერმანულ „როტ ვაისს“ გაეჯიბრება.

ეს გიორგი დევდარიანის პირველი ტესტ-მატჩები იქნება 17-წლამდელთა ნაკრებში მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ.

ერთიც: „აიაქს“-„როტ ვაისთან“ სპარინგები „ფონდი არველაძეს“ ხელშეწყობით დაიგეგმა.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## ქართული ლეგიონი

# როკმა ქართველებს 38 არ დაუფასა



ვიქტორ სანიკიძემ (№13) კი იყოჩაღა, მაგრამ გუნდს ვერ უშველა

**ქართული** ლეგიონის ამბების მოყოლა ტრადიციულად ზაზა ფაჩულიათი დავიწყოთ.

„ატლანტას" თავკაცი მაიკ ვუდსონი ჩვენებურს აღარ სწყალობს და ძალიან ცოტა დროს აძლევს. ჯორჯიელებმა კი „ნიუ იორკ ნიქსთან" სტუმრად 105:109 წააგეს.

ზაზა მოედანზე 8 წუთი იყო და 3 ქულის, 3 მოხსნის და 1 პასის გაჩარხვა მოახერხა.

მომდევნო, საშუალო სიძლიერის „დეტროიტთან" შინ 87:83 მოგებულ მატჩში, ფაჩულიას უფრო მეტი დრო კი დაუთმეს, მაგრამ გემრიელი ლუკმა მაინც არ ეთქმოდა. ქართველმა ცენტრმა 12 წუთში 5 ქულა და 4 მოხსნა გაჩარხა. ჯორჯიელთაგან საუკეთესო ჯოშ სმიტი იყო 19 ქულით, ფაჩულიას კონკურენტმა ალ ჰორფორდმა კი 18 ქულას 12 მოხსნა დაუმატა.

ევროჩელენჯის გათამაშებაში ესპანურ „კახასოლს" როსტოვის „ლოკომოტივი" შემოემარცხა 74:61 და ჯგუფიდან გასვლის შანსი დაუტოვა. ტაისონ ელისმა 29 წუთი ითამაშა და 8 ქულას 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიაყოლა. ესპანელები F ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და 10 მარტს კიდევ ერთ რუსულ გუნდს, „ურალ გრეიტს" ეთამაშებიან.

„ბკ კიევს" მანუჩარ მარკოიშვილი რომ არ ჰყავდეს, წყალიც არ წაიღებდა. ფინანსური კრიზისის გამო დაცლილი გუნდი მარკოიშვილის იმედადაა. ამათ შინაურ ჩემპიონატში „სუხიმპრომს" უმასპინძლეს და 72:67 მოუგეს. მანუჩარმა შეუცვლელად ითამაშა, 19 ქულა ჩააგდო და 8 მოხსნა და 5 პასიც გაჩარხა. კიეველებს 19 მოგება აქვთ „აზოვმაშის" მსგავსად და პირველ ადგილსაც უყოფენ.

ესტონეთის ჩემპიონატში როკერებმა „ნარვას" 88:74 აჯობეს. როგორც ყოველთვის, ქართველებმა თავისი სიტყვა თქვეს. გიორგი ცინცაძემ 23 წუთში 17 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ვიქტორ სანიკიძემ 22 წუთში 14 ქულას, 8 მოხსნას, 2 პასს, 2 ჩაჭრას და 2 დაფარებას მოუყარა თავი.

როკერებს ხასიათი მე-17 ტურში წაუხდინეს. მდევარმა „კალევმა" ქართველების გუნდი საკუთარ მოედანზე გამოიჭირა და მძიმე ბრძოლაში გამარჯვებაც დასტყუა — 83:80. ჩვენებმა მაგრად კი ითამაშეს და ჯამში 38 ქულაც გაჩარხეს, თუმც რად გინდა, გუნდი წაგებისგან მაინც ვერ იხსნეს.

ცინცაძემ 37 წუთში 17 ქულა, 3 მოხსნა, 6 პასი და 1 ჩაჭრა გააკეთა. სანიკიძემ კი 32 წუთში 21 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა გაჩარხა. ქართველების გუნდი, წაგების მიუხედავად, პირველ ადგილს მყარად ინარჩუნებს.

**ნიკა ძოწაძე**

ჭიდაობა



ლექსო მოდებაძე

# ირანს კუბა ვეგონეთ

**თეირანში** თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს გუნდური თასი თამაშდება.

რვა საუკეთესო ნაკრებს შორის საქართველოს ნაკრებიც იყო, მაგრამ უკვე პირველი დღის მერე ჩვენებს საჩემპიონო შანსი დაკარგული ჰქონდათ. ის კი არა, სამეულისთვის ბრძოლაც ველარ ხერხდებოდა.

საქართველო ჯგუფში ირანთან, რუსეთთან და კუბასთან ერთად იყო. მეორე ჯგუფში უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი და აზერბაიჯანი მოხვდნენ.

პირველ ტურში ჩვენებმა 3:4 წააგეს რუსეთთან. გიორგი ედიშერაშვილმა (55კგ) მაგომედ მაგომედოვთან წააგო. მალხაზ ზარქუამ (60კგ) ახმედ ჩარკაევს აჯობა. კობა კაკალაძე (66კგ) რასულ ჯუკაევთან დამარცხდა და რუსები 2:1 დაწინაურდნენ. გოჩა ლომთათიძემ (74კგ) საკმაოდ ძლიერი მურთაზ მურთაზალიევი წააქცია — 2:2. ნიკოლოზ გაგნიძემ (84კგ) დმიტრი კირილოვთან წააგო, ბელდუხ გავაშელიშვილი (96კგ) ალენ ძასეევთან დამარცხდა და ყველაფერი აქ დამთავრდა. ლექსო მოდებაძის გამარჯვება პრესტიჟისა იყო. მოდებაძემ ანზორ ბოლტუკაევს მოუგო.

მასპინძლებმა კუბას უმოწყალოდ, 7:0 მოუგეს.

მეორე ტურში საქართველომ კუბა 5:2 დაამარცხა. ზარქუამ, კაკალაძემ, გაგნიძემ, გავაშელიშვილმა და მოდებაძემ გაიმარჯვეს. ედიშერაშვილმა და ლომთათიძემ წააგეს.

რუსეთ-ირანის დაპირისპირებაში მასპინძლებმა იძლიეს. არადა, რუსები ოთხი შეხვედრის შემდეგ 3:1 იგებდნენ და ერთი მოგებაღა უნდოდათ...

ჩვენებს ირანის დამარცხება ჯგუფში პირველ ადგილს აძლევდა, მაგრამ... მასპინძლებმა კუბელების დღე გვაყარეს — 0:7. რუსეთმა კი კუბას 6:1 მოუგო და მეორე ადგილზე გავიდა.

ჩვენები მეხუთე ადგილისთვის უზბეკეთს დაეჭიდებიან. ჩემპიონის ვინაობას კი ირანი და აზერბაიჯანი გაარკვევენ. აზერბაიჯანელებმა ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგეს.

**ოთარ მხეიძე**

ჭადრაკი

# მოჭადრაკეებმა საფრანგეთიდან ევროები წამოიღეს

**საფრანგეთის** ქალაქ კაპელ და გრანდეში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ჭადრაკში. ქართველთაგან დავით ჯოჯუა და თამაზ გელაშვილი გამოირჩნენ. ამათ 9 ტურში 6,5-6,5 ქულას მოუყარეს თავი. ჯოჯუა მეხუთე, ხოლო გელაშვილი მეშვიდე ადგილზე გავიდა.

თორნიკე სანიკიძე საფრანგეთში კი თამაშობდა და ხუთი ტურის შემდეგ ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ბუდვაში დაწყებულ ევროპის ჩემპიონატზე გადაინაცვლა და 4 ქულით 456-ე ადგილზე გავიდა 611 მოჭადრაკეს შორის. ტურნირის გამარჯვებული უკრაინელი იური ვოვკი გახდა, რომელმაც საპრიზო ფონდის 30 ათასი ევროდან 3 ათასი ჩაიხუტა.

ფრანგულ ტურნირში კიდევ 7 ქართველი მოჭადრაკე თამაშობდა, რომელთაც ასეთი შედეგები აჩვენეს: 41. დავით არუთინიანი — 6; 61. ბელა ხოტენაშვილი — 6; 81. მალხაზ სულაშვილი — 5.5; 163. ნინო ბაციაშვილი — 5; 169. ინგა ჭარხალაშვილი — 5.

ჯოჯუამ 900 ევრო მიიღო, ხოლო გელაშვილი 800 ევროთი დაჯილდოვდება.



თორნიკე სანიკიძე

ბელა ხოტენაშვილს, რომელმაც ქალთა შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა, საპრიზო ფონდიდან 600 ევრო გადაეცა.

**ოთარ მხეიძე**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილმა იღბალს უგანა

**ქართველი** ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი ბოლო დროს ვერ ყოჩაღობს. აშშ-ს ქალაქ ფორტ უოლტონ ბიჩის 25 000-დოლარიან ტურნირზე სერბ ანა იოვანოვიჩთან დამარცხდა და ჩემოდნის ჩალაგება უწევდა, მაგრამ ერთ-ერთმა ჩოგბურთელმა თამაშზე უარი თქვა და ჩახნაშვილიც ტურნირზე მის მაგიერ დარჩა.



ქართველის მომდევნო მეტოქე იაპონელი ტომოკო იონემურა იყო. მაკამ ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა და აზიელთან 2:6 0:6 დამარცხდა.

**ოთარ მხეიძე**

# ბასილაშვილი რუსს გასცდა და ვერ გასცდა

**ტეხასის** შტატის ქალაქი მაკალენი 15 ათას დოლარიან ტურნირს მასპინძლობდა. ნიკოლოზ ბასილაშვილმა თამაში კვალიფიკაციიდან დაიწყო და ნახევარფინალში გავიდა. ჯერ ავსტრალიელ ჯეიმს კრაბს მოუგო 7:5 4:6 6:4. მერე მე-7 ნომრად ვანთესილ ამერიკელ სტივენ ბაკს 6:4 7:5 აჯობა და არც რუსი ბირიუკოვი დაინდო 7:6 6:2.

ნახევარფინალში ქართველი ჩოგბურთელი კიდევ ერთ რუსს, კუმანცოვს გადაეყარა და 4:6 2:5 წააგო.

**ოთარ მხეიძე**

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ვლადიმერ რუსიამ რუმინული „დინამოდან" წამოსვლის შემდეგ ლიბანურ „ბეირუთში" ერთი თვე ითამაშა, ხელშეკრულების გასვლის შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა და ჯერჯერობით ისვენებს. რუსია ახალი გუნდის ძებნას არ ჩქარობს. ახლა ევროპაში გახურებული სეზონია და ადვილი არც არის გუნდის მონახვა. ჩემპიონატების დამთავრების შემდეგ კი ევროპულ გუნდში ეცდება მოწყობას.
რუსიასთან ინტერვიუ ლიბანური ამბებით დავიწყეთ...



# რუსია ისვენებს და ევროპაზე ფიქრობს

— „ბეირუთმა" ჩემს გარდა ერთი უკრაინელი მოთამაშე და ხორვატი მწვრთნელი დაიმატა. აზიის ჩემპიონთა ლიგა ვითამაშეთ. დაბალი დონე ნამდვილად არ არის. პირიქით, საკმაოდ კარგ გუნდებს დავუპირისპირდით. პირველი ეტაპი დავძლიეთ და ოთხგუნდა ჯგუფში მოვხვდით, საიდანაც უკვე ნახევარფინალში გადიოდი. სამწუხაროდ, გადამწყვეტი შეხვედრა წავაგეთ.

**— თამაში მარტო ლიგაში გიწევდა თუ ჩემპიონატშიც?**

— არა, მარტო ლიგაში, რადგან იქ სეზონი გვიან იწყება. „ბეირუთი" საკმაოდ ძლიერ გუნდად ითვლება, ჩემპიონატს და თასს ისედაც უპრობლემოდ იგებს. ჩვენ მხოლოდ ლიგის სათამაშოდ დაგვიმატეს.

**— „ბეირუთში" დარჩენის სურვილი არ გქონდა? რატომ წამოხვედი?**

— კი მქონდა და თვითონაც სურდათ ჩემი დატოვება, მაგრამ მე ვთქვი უარი. ჩემპიონატის დონე არ აქვთ ისეთი კარგი, დარჩენად რომ ღირდეს. გუნდის მოძებნა ევროპაში მომიწევს, თუმცა ჯერ უნდა დავისვენო.

**— ლიბანში გარემოს როგორ შეეწყვე. რუმინეთით კმაყოფილი არ იყავი, ცივი ხალხიაო, ამბობდი...**

— რუმინელები ევროპელები არიან, ურთიერთობაში სხვანაირები. ამ მხრივ ბეირუთში ძალიან კარგი სიტუაცია იყო. თბილი, სტუმართმოყვარე ხალხია და თავს კარგადაც ვგრძნობდი.

**— ისე, რუმინელებს როგორ დაშორდი, პრობლემა ხომ არ გქონდა?**

— ფინანსური კრიზისის გამო ხელფასს ველარ იხდიდნენ და იძულებული გავხდი, გუნდი დამეტოვებინა. კონტრაქტი სეზონის ბოლოს მიმთავრდებოდა, მაგრამ რუმინეთის ფედერაციას მივმართე თხოვნით და მათაც 10 დღე ითხოვეს საქმეში გასარკვევად. 10 დღის მერე გათავისუფლების ფურცელი მივიღე და ლიბანში წავედი. გუნდს ძალიან კარგად დავშორდი, ყველამ გაიგო ჩემი მდგომარეობა. მწვრთნელიც მესაუბრა და მითხრა, თუ მდგომარეობა გამოსწორდება, იქნებ დაბრუნებულიყავიო.

**— სხვებიც წავიდნენ გუნდიდან?**

— ერთი ლეგიონერი წავიდა, დანარჩენები დარჩნენ. იქ ძირითადად რუმინელები ჰყავთ, ისიც ვეტერანები და მათთვის არ არის რთული „დინამოში" დარჩენა. მუშაობენ და თან თამაშობენ, სამშობლოში არიან. მე კიდევ განსხვავებულ მდგომარეობაში ვიყავი...

**— ახლა რას აპირებ?**

— ცოტა დავისვენებ და მერე ვარჯიშს დავიწყებ. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ ტრენაჟორებზე და დავრბივარ. სტუ-სთანაც ვიქნები, ბურთით თამაშიც მჭირდება. 2-3 თვე მიწევს აქ ყოფნა, მერე კი ევროპაში სეზონი მთავრდება და გუნდიც გამოჩნდება.

**— ახლა არ გაქვს რამე ვარიანტი?**

— რაღაცეები არის, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერი. არ ვჩქარობ, სეზონი დამთავრდეს და გუნდს ვიშოვი. მთავარია, პირობები შემომთავაზონ და ჩემპიონატის დონეც ნორმალური უნდა იყოს. „ბეირუთში" დაბალი დონის ჩემპიონატის გამო არ დავრჩი-თქო, ზემოთაც გითხარით. ასე სუსტი ჩემპიონატი არ მაწყობს.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. დიდი ხანია, არ შეკრებილხართ...**

— ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა დოლიძე მელაპარაკა. როგორც ვიცი, უნდათ, რომ მსოფლიოს შესარჩევი ვითამაშოთ. მაისში შეკრება იგეგმება და მოსამზადებელ ეტაპებს თურქეთსა და ბულგარეთში გავივლით. კარგი იქნება, ეს თუ მოხერხდება, მით უმეტეს, მსოფლიოს შესარჩევზე თამაშსაც თუ შევძლებთ. „ჩელენჯ ტროფი" აღარ გვინდა. მოვიგეთ და სიმართლე გითხრათ, მოტივაციის ნაკლებობას განვიცდით.

ლევსო მაისურაძე

# ეგებ ვინმეს ვეთამაშოთ...

**ხელბურთელთა** ახალგაზრდული ნაკრები ორკვირიან შეკრებაზეა. ჯემალ ბარამიძის ხელმძღვანელობით ბიჭები გლდანში ჯემალ ცერცვაძის სახელობის დარბაზში ვარჯიშობენ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინ.

ნაკრებმა აქამდე ერთი მოსამზადებელი ეტაპი უკვე გაიარა და ახლა დასკვნით სამზადისს გადის, თუმცა პორტუგალიაში წასვლამდე ამხანაგური მატჩებიც იგეგმება. ახალგაზრდული გუნდი თავად ეწვევა სომხეთს ან აზერბაიჯანს და 2-3 მატჩს ჩაატარებს. არ არის გამორიცხული, მეტოქემ თვითონ ჩამოგვაკითხოს. ყოველ შემთხვევაში ფედერაციას სურს ნაკრებმა პორტუგალიაში წასვლამდე ამხანაგური ითამაშოს, თუმც რამდენად გამოვა, ჯერ გარკვეული არ არის.

ჯემალ ბარამიძეს ვარჯიშების ჩატარებაში ირაკლი კეკელიძე და ბექა ორჯონიკიძე ეხმარებიან. საერთო შემადგენლობას მხოლოდ რამდენიმე ლეგიონერი აკლია. შეკრების დასრულების შემდეგ ხელბურთელებს საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატებში მოუწევთ თამაში.



ბექა ორჯონიკიძე

ნაკრები პორტუგალიაში 9 აპრილს წავა და ჯგუფიდან გამსვლელი ერთი ადგილისთვის მასპინძლებთან, თურქ და ბელგიელ თანატოლებთან იბრძოლებს.

ნიკა კოპაძე

# პატარა ხელბურთელებს თბილისი დარჩათ

**საქართველოს** 18-წლამდელ ხელბურთელთა ჩემპიონატმა ყვარელში აღმოსავლეთის ზონის მატჩებს უმასპინძლა და ჩემპიონის გამოსავლენად ერთი ეტაპიღა დარჩა. ფინალურ ეტაპს, მარტის შუა რიცხვებში, თბილისი უმასპინძლებს.

ჩემპიონატში მონაწილე რვა გუნდი ზონური პრინციპით თამაშობდა. დასავლეთის ოთხი გუნდის თამაშებს ბოლოს ქუთაისმა უმასპინძლა, აღმოსავლეთისას — ყვარელმა და თბილისში უკვე რვავე გუნდი მოიყრის თავს.

გადამწყვეტი მატჩების წინ ლიდერი „ფოთია" 18 ქულით. ამდენივე ქულა აქვს „რუსთავს", მაგრამ ზღვისპირელებს ბურთების უკეთესი მაჩვენებლით ჩამორჩება. ბომბარდირიც ფოთელია: ჯუმბერ ხუნჯუამ 142 გოლი დააგროვა. მეორე ადგილზე ქუთაისელი გიორგი ადამიაა 95 ზუსტი დარტყმით, მესამეზე კი ასევე ქუთაისელი ანზორ თუთბერიძე, მან 73-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

**ძარიშხალა 16:33 რუსთავი**
**ყვარელი 35:22 გორი**
**რუსთავი 25:21 ყვარელი**
**გორი 19:27 ძარიშხალა**
**გორი 19:32 რუსთავი**
**ყვარელი 20:22 ძარიშხალა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთი | 8 | 2 | 0 | +91 | 18 |
| რუსთავი | 9 | 0 | 1 | +69 | 18 |
| სამტრედია | 6 | 1 | 3 | +46 | 13 |
| ყვარელი | 5 | 2 | 3 | +33 | 12 |
| ძარიშხალა | 5 | 1 | 4 | +3 | 11 |
| ქუთაისი | 3 | 0 | 7 | -45 | 6 |
| გორი | 4 | 0 | 6 | -97 | 2 |
| ბათუმი | 0 | 0 | 10 | -100 | 0 |

სამბო

# თედიაშვილს სამბო ჩააბარეს

**სამბოს** ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ლევან თედიაშვილი სამბისტებმა ერთხმად აირჩიეს. ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს კონკურენტი არც ჰყოლია. 88 დელეგატმა თედიაშვილს დაუჭირა მხარი, რომელიც გიორგი გოგუაძის ადგილს დაიკავებს. პარლამენტარი და „სახალხო ბანკის" ყოფილი პრეზიდენტი სამბისტებს ორი წელი მფარველობდა და არც დაფინანსებას აკლებდა. გოგუაძის წასვლის შემდეგ სამბისტები ახალი პრეზიდენტის ძებნას შეუდგნენ. ნაკრების თავკაცმა ოლეგ იაძემ თქვა კიდეც, ბიზნესმენს ვეძებთ, რომელიც ფედერაციის პრეზიდენტად მოვაო. სამბისტებმა არჩევანი საბოლოოდ ლევან თედიაშვილზე შეაჩერეს. ლევან თედიაშვილმა გაპრეზიდენტების შემდეგ ეს თქვა: „ოლეგ იაძის შემოთავაზებას, კენჭი მეყარა პრეზიდენტობაზე, იმიტომ დავთანხმდი, რომ აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგაც სპორტზე ვფიქრობ. სამბო არაოლიმპიური სხეობა კი არის, მაგრამ მაინც ახლოს დგას ჭიდაობის სხვა სახეობებთან."

ოთარ მხეიძე



წყალში ხტომა

# ქართველები მსოფლიოს ათეულში გადახტნენ

**წყალში** ხტომის მსოფლიო ფედერაციამ ოლიმპიურ დისციპლინებში ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. რეიტინგები ჩინეთის და გერმანიის გრან პრის ჩატარების მერე განახლდა.

შოთა კორახაშვილი და ჭოლა ჭანტურია 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში 29 ქულით მე-9-10 ადგილებს იყოფენ საფრანგეთის ნაკრებთან.

ინდივიდუალურ მაჩვენებლში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებში შოთა კორახაშვილი 85 სპორტსმენს შორის 31-ე ადგილზეა, ხოლო ჭოლა ჭანტურიას 33-ე ადგილი უკავია.

ოთარ მხეიძე



ვიქტორ კოლელიშვილმა ფიჯელი მორაგბე ვერ შეაჩერა

# უელსი აქაც ძლიერია

## საქართველო კი მშრალი მოდის

**საქართველოს** მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრებმა დუბაიში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი მატჩი ჩაატარა და სამწუხაროდ, გამარჯვების გემო ვერ გაიგო. არადა, თავიდან ქართველებს ცუდად არ დაუწყიათ.

პირველი მეტოქე მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ფიჯი იყო. ბუნებრივია, ჩვენებს გამარჯვებას ვერავინ მოსთხოვდა: პატარა „ლელოები" მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებს ეთამაშებოდნენ.

კახა ალანიას გაწვრთნილებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს. მართალია, 10:26 დამარცხდნენ, მაგრამ ეს უფრო გამოუცდელობის ბრალია. ფიჯელებმა ქართველების მიერ დაშვებული შეცდომები მაქსიმალურად გამოიყენეს.

საწყისი წუთები მათი უპირატესობით მიილია. სანამ ჩვენებმა მღელვარება დაძლიეს, ფიჯელებს უკვე ორი ლელო ჰქონდათ დადებული.

ქართველები გამოფხიზლდნენ და კვირიკაშვილის ლელოთი უპასუხეს. „მეკომ" გარდასახვა გააცუდა.

ამას ისევ ქართველების შეტევები მოჰყვა, ფიჯელმა ბურთი ჩაჭრა, მაგრამ წინ გაუვარდა და შერკინება დაინიშნა. მოგებულ შერკინებას კვირიკაშვილის განავარდება მოჰყვა, ამან მეტოქეს ფეხით ბურთი თავზეც გადაუგდო და ლელო დადო. გარდასახვა გაუფუჭდა, თორემ ჩემპიონებთან ტაიმს ფრედ ჩავამთავრებდით.

მეორე ტაიმში ქართველებმა შეტევა კი განაგრძეს, მაგრამ ბიძინა სამხარაძემ ბურთი უკან დააბრუნა, გიორგი შკინინმა და ვიქტორ კოლელიშვილმა ვერ დაიჭირეს, დელასაუმ ოვალი მოიხელთა და ჩათვლის მოედნამდე ირბინა... მეტოქემ მერეც იხეირა, სალელოვედ გაწეული ალექსანდრე თოდუა კი ბოლო მცველმა შებოჭა.

მსოფლიოს ჩემპიონებთან კარგი თამაშის მერე ქართველებისგან გულშემატკივარი, ალბათ, უკეთეს თამაშს ელოდა, მაგრამ ალანიას გაწვრთნილებმა საფრანგეთთან 33:0, აშშ-სთან კი 33:5 წააგეს. ამერიკელებს ლელო კაპიტანმა შკინინმა დაუდო.

ჩვენებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს და მხოლოდ 15 ქულის დაგროვება შეძლეს. ფიალისთვის, ანუ მე-17 ადგილისთვის ბრძოლაში კი ზიმბაბვეს დაუპირისპირდნენ და 10:28 წააგეს, რაც ჩემპიონატზე ბრძოლის შეწყვეტას ნიშნავდა.

ზიმბაბვემ ტაიმი 14:5 მოგვიგო. ლელოთი გიორგი შკინინი გამოირჩა. მეორე ტაიმში ალექსანდრე თოდუას ლელოს პრესტიჟისა უფრო ეთქმოდა.

გათამამებულმა ზიმბაბვემ ნახევარფინალში ურუგვაი დაამარცხა და ფინალში ირლანდიაც არ დაინდო. ზიმბაბველები ფიალას დაეპატრონენ.

სინი არავის დაუთმო შოტლანდიამ. სქოთებმა საფრანგეთს 21:19 მოუგეს, ნახევარფინალში პორტუგალიას გადაურბინეს 29:7 და ფინალში ავსტრალიას 21:17 აჯობეს.

საჩემპიონო გზაზე კი უელსმა ახალი ზელანდია და სამოა გაიარა და ფინალში არგენტინას დაუდგა, რომელმაც თავის მხრივ სამხრეთ აფრიკა და კენია მოინელა.

ჩემპიონობის ფავორიტად მიჩნეული ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია და მოქმედი ჩემპიონი ფიჯი ფინალს მიღმა დარჩნენ.

ჩემპიონი კი უელსი გახდა. უელსელები ექვს ერზე ხომ ყოჩაღობენ ბოლო წლებში და აქაც ყველას აჯობეს. უელსმა ლელოთი გახსნა ანგარიში, თუმც მეტოქემ ლელო-გარდასახვა მიაყოლა და თითქოს ტაიმიც უნდა მოეგო, მაგრამ ბრიტანელებმა იძალეს — 12:7.

მეორე ტაიმში არგენტინამ გაათანაბრა და თამაში ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ ტომასმა ერთი წუთით ადრე ოქროს ლელო დადო.

**ოთარ მხეიძე**

| | | |
|---|---|---|
| **ფიალა. 1/4 ფინალი** | | |
| ზიმბაბვე | 28:10 | საქართველო |
| იაპონია | 12:19 | ურუგვაი |
| ირლანდია | 24:5 | არაბეთი |
| ჰონკონგი | 14:7 | იტალია |
| **სინი. 1/4 ფინალი** | | |
| ტონგა | 24:7 | ტუნისი |
| აშშ | 14:24 | ავსტრალია |
| საფრანგეთი | 19:21 | შოტლანდია |
| პორტუგალია | 12:5 | კანადა |
| **თასი. 1/4 ფინალი** | | |
| ახალი ზელანდია | 14:15 | უელსი |
| ინგლისი | 26:31 | სამოა |
| სამხრეთ აფრიკა | 12:14 | არგენტინა |
| კენია | 26:7 | ფიჯი |
| **ფიალა. ნახევარფინალი** | | |
| ზიმბაბვე | 24:7 | ურუგვაი |
| ირლანდია | 22:15 | ჰონკონგი |
| **სინი. ნახევარფინალი** | | |
| ტონგა | 19:22 | ავსტრალია |
| შოტლანდია | 29:7 | პორტუგალია |
| **თასის ნახევარფინალი** | | |
| უელსი | 19:12 | სამოა |
| არგენტინა | 12:0 | კენია |
| **ფიალა. ფინალი** | | |
| ზიმბაბვე | 17:14 | ირლანდია |
| **სინი. ფინალი** | | |
| ავსტრალია | 17:21 | შოტლანდია |
| **თასი. ფინალი** | | |
| უელსი | 19:12 | არგენტინა |

# სასწაული, რომელიც არ უნდა მოხდეს!

ერთა თასზე საქართველოს მეტოქე, მოგეხსენებათ, რუსეთის ნაკრებიცაა. შეგახსენებთ, რუსებს ნასვლით მატჩს უკრაინაში ვეთამაშებით 22 მარტს.

ქვემოთ რუსების კაპიტნის, ვლადისლავ კორშუნოვის შეფასებებს გაგაცნობთ პორტუგალიასთან და რუმინეთთან უკვე ჩატარებულ მატჩებს რომ ეხება და კაპიტანი ქართველებთან მოახლოვებულ თამაშზეც ლაპარაკობს...

**პორტუგალიასთან** (18:14) დიდი მონდომებით ვითამაშეთ. პირველ ტაიმში არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. ამათვე დროს, ვალდებულები ვიყავით, შესვენების წინ ფლანგიდან პორტუგალიელებისთვის ერთხი ლელოც გაგვეტანა.

ინტერნეტში დაიწერა, რუსებს მეორე ტაიმში ფიზიკური მომზადება არ ეყოთო. მწვრთნელმა ნერუშმაც გვითხრა, რომ დაღლილობა დაგვეტყო, თუმცა, მე ასე არ მგონია.

უბრალოდ შეცდომებს მოვუხშირეთ და პორტუგალიელებმა ჩვენს ზონაში გამოგვიჭირეს.

დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში ხან ბურთი გვივარდებოდა, ხან კიდევ წინ პასს ვაკეთებდით. მასპინძლებმა ჩვენი შეცდომები კარგად გამოიყენეს და ორი ლელო გაგვიტანეს. ჩვენ უფრო ძალისმიერად ვუტევდით, მათ კი ტექნიკურად გვაჯობეს.

რაც პორტუგალიაში ჩვენს თამაშში მომეწონა, ის იყო, რომ მწვრთნელის დავალებები შეძლებისდაგვარად კარგად შევასრულეთ.

თანამედროვე რაგბიში ლელოს გატანა აუცილებელი აღარ არის. თუკი კარგი დამრტყმელი გყავს, ხოლო მეტოქე ხშირად ჯარიმდება, იმდენ ქულას დააგროვებ, გამარჯვებისთვის საკმარისი რომ იქნება.

პორტუგალიასთან ჯარიმების მიღების შანსი მინიმუმამდე დავიყვანეთ. თამაშგარეში ყოფნისთვის არც ერთხელ დავჯარიმებულვართ და მსაჯი მხოლოდ ბურთის ჩახურვისთვის გვსჯიდა. ჩვენი მოგება, მეტწილად, ამ ფაქტმა განაპირობა.

რუმინეთთან მატჩიც (29:18) ჩვენთვის კარგად აეწყო. საუკეთესოდ ვიყავით მომზადებულნი და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ.

რუმინელები მარცხმა ისე გაანაწყენა, რომ ზოგი მათგანი ბანკეტზეც კი არ გამოჩენილა.

ჩვენ სამადლობელი სიტყვაც არ გვქონდა დასრულებული, რომ მათაც, ვინც მოვიდა, სუფრა დატოვეს.

ვფიქრობ, მარცხის იმით ახსნა, რომ რუმინელებს ლეგიონერები არ ჰყავდათ, სწორი არ იქნება. სათამაშოდ ისეთი განწყობით გავედით, სულ უძლიერესი შემადგენლობაც რომ შეეკრიბათ, მაინც ვერ გვაჯობებდნენ.

ისე, რუმინელთა სამატჩო განაცხადი რომ ვნახე, სულ სამი-ოთხი მოთამაშე თუ აკლდათ. ისინი, ვინც საფრანგეთში თამაშობენ. სხვათა შორის, მათმა ახალგაზრდა მორაგბეებმა ძალიან კარგად ითამაშეს.

პორტუგალიის მსგავსად, რუმინელებთანაც მეორე ტაიმში მთლად კარგად ვერ ვითამაშეთ. ამჯერად, ნაღდად არასაკმარისი ფიზიკური მომზადების ბრალი იყო. იმის მაგივარდა, რომ ისევ შეგვეტია, ანგარიშის შენარჩუნებაზე ვფიქრობდით და კინაღამ დავისაჯეთ კიდეც რუმინელებმა კონტრშეტევაზე საკმაო ქულები მოაგროვეს.

ახლაც ვერ გამიგია, პრობლემა რაშია. იქნებ, ყველაფერი არაორგანიზებულობის ბრალია. მოგება განსაკუთრებულად არც აღგვინიშნავს. მეორე ტაიმში სუსტად თამაშმა გული დაგვწყვიტა. 25-ქულიანი უპირატესობა არ უნდა შეგვემცირებინა.

საქართველოსთან მატჩისთვის მზადებას 13-14 მარტს დავიწყებთ. შეიძლება, თურქეთშიც წავიდეთ ან ტუაფსეში გავემგზავროთ.

მართალი გითხრათ, ქართველების ბოლო თამაშები არ მინახავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ მათთან ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ.

ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. თუკი საქართველოს ნაკრების დამარცხებას შევძლებთ, ეს ნამდვილი სასწაული იქნება. არადა, გამარჯვება ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. ჩვენი გუნდი ჩინებულ ფორმაშია და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გონიერთა მწვრთნელი უყვარს

*ეს მასალა ამოღებულია რომის ოლიმპიადაზე კლასიკურ ცხენოსნობაში აშშ-ის ნაკრები გუნდის კონკურისტთა მწვრთნელის — ბერტალან დე ნემეტის წიგნიდან და ახალგაზრდა ცხენის მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს ეხება.*

*ცხენოსნობა, საერთოდ, უაღრესად „მნიგნობნული" დარგია და მისი ცალკეული დარგის ცოდნა ჯერ კიდევ ძველი მცირეაზიური სამყაროს თიხის ფირფიტებზეა აღბეჭდილი.*

*როგორც „სარბიელის" ცხენოსნობის მიმომხილველმა, მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ ამ რუბრიკის საცხენოსნო ნაწილის მრჩევლობაზე დაგვთანხმდა გამოჩენილი ვეტერანი სპორტსმენი, მხედრული თერაპიის აღიარებული სპეციალისტი, რაიტთერაპიის მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი წვერავა, ვინც ყოველთვის ჭაბუკური და მხედრული სიხალისით ემსახურება საქართველოში ცხენოსნობის ტრადიციების შენარჩუნებასა და გაგრძელებას.*

*ნოდარ მზრალიძე*



# ცხენის ვარჯიში კორდაზე

**კორდით** მუშაობა ცხენის მომზადების მხოლოდ უმთავრესი მეთოდია. ბევრ მხედარს კორდაზე ვარჯიში მსუბუქი დატვირთვის ნაირსახეობად, ანდა შეჯდომამდე ფიცხი ბედაურის დასაწყნარებელ ხერხად მიაჩნია. არადა, თუ კორდაზე სწორად ამუშავებენ, ეს ვარჯიში ძალზე სასარგებლოა, სწორედ როგორც ცხენის საფუძვლიანი მომზადების საშუალება. ზემოხსენებულ მიდგომას, ალბათ, ისიც უწყობს ხელს, რომ ერთი შეხედვით კორდაზე მუშაობა ერთობ იოლ საქმედ ჩანს; მაგრამ სულაც არაა ასე.

ცხენოსნობასთან დაახლოებულმა ხალხმა კარგად უუწყით, რა დიდი დრო სჭირდება ცხენზე სწორი ჯდომის გამომუშავებასა და მართვის საშუალებათა ჯეროვნად გამოყენების დაუფლებას. კორდაზე სავარჯიშოდ ცხენის გამოყვანის მოხალისეს ასეთივე ბეჯითი სწავლა მართებს. ეს ხელოვნებაა!.. და მისი სრულყოფილად დაუფლება ხანგრძლივი პროცესია.

ყველა ცხენს, მოგეხსენებათ, მომადლებული აქვს თავდაცვის ინსტინქტი და, საერთოდ, სალი გონება; ამიტომაც ისინი თვითონვე გამოასწორებენ ხოლმე მხედრის შეცდომას და ადვილად აღწევენ თავს მძიმე ვითარებას. კორდაზე მუშაობისას კი ასე არ ხდება. აქ გამოუცდელი კაცი ხშირად ფიზიკურ ზიანსაც მიაყენებს ცხენს და ბუნებრივ ინსტინქტებსა და ნერვული სისტემის ცხოველქმედებასაც ურღვევს. ამის შედეგად პირუტყვს დიდი ხნით ეკარდება კაცის ნდობაცა და საკუთარი თავის წრმენაც.

კორდაზე მუშაობის პრინციპები თითქმის იგივეა, რასაც ამხედრებული ცხენოსანი იცავს. ეს პროცესი სწორედაც რომ გარჯაა და არა უბრალოდ ცხენის სირბილი მწვრთნელის გარშემო. სავარჯიშო მოედანზე მწვრთნელის პოზიცია (დგომა) და გრძელი შოლტის ჭერა აქეზებს ცხენის წინ მოძრაობას, ხოლო კორდის მეშვეობით მისი ხელი ისე მიმართავს და აკონტროლებს, როგორც ამხედრებული კაცის ხელში ნაჭერი სადავე. მწვრთნელი იმ წრის ცენტრში უნდა იდგეს, რომელზეც ცხენი მოძრაობს. იდეალურია, როცა მწვრთნელი ერთ წერტილში იმყოფება და მარჯვენა ჩექმის ქუსლზე ტრიალდება.

მაგრამ ცხენი, სანამ მომზადების საკმარის დონეს მიაღწევდეს, თუკი ახალგაზრდა პირუტყვთან გვაქვს საქმე, მწვრთნელის პოზიცია უფრო მოძრავი უნდა იყოს. იგი მუდმივად ცხენის ოდნავ უკან უნდა იდგეს. კაცის ასეთი დგომა ცხენს აგრძნობინებს, რომ მის წინ თავისუფალი სივრცეა, „კარი ღიაა"! და ეს აქეზებს, რომ წინ იმოძრაოს, თუ მწვრთნელი უახლოვდება პირუტყვის მხრის ხაზს, ანდა სულაც ნელ-ნელა ამ ხაზის წინაც აღმოჩნდება, ცხენი სიჩქარეს უკლებს, რადგანაც „კარი მოუხურეს!" თუ მწვრთნელი კორდას დაიმოკლებს და ცხენს უახლოვდება, იგი ამით წინ აღუდგება პირუტყვის სურვილს, წრე შეამოკლოს და შუისკენ წამოვიდეს. ძალზე იშვიათია ისეთი მდგომარეობა, რომ დასაშვები იყოს ცხენზე თუნდაც ოდნავ წინ დგომა მწვრთნელისა.

უმჯობესია, რომ ახალგაზრდა ცხენი კორდაზე არასოდეს ვამუშაოთ ღია სივრცეში. სამუშაო მოედნის კუთხე ანდა კორდაზე სამუშაო საგანგებო წრე ყველაზე შესაფერისი ადგილია. თვითონ ეს წრე კი, რაც შეიძლება, ფართო უნდა იყოს. ახალგაზრდა ცხენმა უნდა ისწავლოს გაგონება მწვრთნელის ხმაზე და არ შეაშფოთოს, შეაშინოს შოლტის დანახვამ. კარგა ხანი მხოლოდ ნაბიჯითა და ჩორთით უნდა ვატაროთ. კორდაზე დაოთხება (კენტერი) ძალზე მძიმე ვარჯიშია ახალგაზრდა ცხენისთვის, იგი კარგავს წონასწორობას და რიტმს, „აჯვარედინებს" ფეხებს, მოძრაობა ერღვევა და სხეულის სიმძიმე წინა ფეხებზე გადააქვს.

სანამ ლაგმის ან საკორდე საცხვირის (კაპცუნი, კავესინი) რგოლს შეაბამდეს, აკრეფილი დაგორგლილი მწვრთნელს კორდა გარეთა ხელში უჭირავს. საკორდე საცხვირე ასეული წლების წინათაა მოგონილი. ახალგაზრდა ცხენი სწორედ ამ საცხვირით უნდა ვამუშაოთ, რადგანაც იგი პირს არ დაუზიანებს (უფროსი ასაკის ცხენების მუშაობა ჩვეულებრივი, ლაგმიანი აღვირითაც შეიძლება, ხოლო სადავეები ისე უნდა დავუმაგროთ, რომ ძირს არ ჩამოეშვას). მწვრთნელის კორდის მეშვეობით მუდმივი მსუბუქი კონტაქტი უნდა ჰქონდეს ცხენის პირთან. იგი ორივე მიმართულებით უნდა ვამუშაოთ და ალურები (სვლის სახეობანი) და მოძრაობის სისწრაფე შევუცვალოთ ხოლმე. მან უნდა შეისწავლოს სხვადასხვა სვლაზე გადასვლა სიგნალებით, აგრეთვე — შეჩერება და ადგილზე მშვიდად დგომა.

მას შემდეგ, რაც კორდა მიებნევა ლაგამს ან საცხვირეს, მწვრთნელი კორდის ბოლოზე გამოკვანძულ ყულფში მაჯას გაუყრის (მარცხენას — თუ ცხენი მარცხნივ მოძრაობს და — პირიქით, მარჯვნივ მოძრაობისას), ხოლო შეგორგლილი კორდა იმავე ხელში უკავია, რათა შეეძლოს მისი დაგრძელება ან დამოკლება. არასოდეს არ უნდა დაგვემართოს, რომ კორდის რაღაც ნაწილი მიწაზე ეთრეოდეს.

როგორც ვთქვით, კორდა იმავე როლს ასრულებს, რასაც მხედრის ხელში ნაჭერი სადავე. შიდა ბარკლისაკენ მიმართული შოლტი კი ცხენის მოძრაობას მიჰყვება და მისი სვლის იმპულსსა და რიტმს წარმართავს. აუცილებლობის დროს შოლტის საწკეპი რიტმულად მოძრაობს ზემო-ქვემოთ ბარკლის დონეზე და ცხენს წინ ისე აგზავნის, როგორც მხედრის წვივები (მათი შიდა მხარე — შენკელები). ცხენის მიმართ მწვრთნელის დგომა, მუდმივი მსუბუქი კონტაქტი პირთან, შოლტის ხმარებით აქტიურობისაკენ მოწოდება — ეს ყველაფერი კოორდინირებული უნდა იყოს და ერთდროულად მოქმედებდეს.

ეს მუშაობა ასევე მშვენივრად ამზადებს გახედვის მთავარი ელემენტების ასათვისებლად: ცხენი სწავლობს წრეზე მშვიდად, უშიშრად სიარულს ნაბიჯითა და ჩორთით, აგრეთვე გაჩერებასა და უძრავად დგომას. მის წონასწორობს არ არღვევს მხედრის სიმძიმე. ეჩვევა მოდუნებასაც და ამავე დროს უვითარდება კუნთები.

მოსამზადებელი მუშაობის დროს ახალგაზრდა ცხენს აღვირზე უნდა ჩამოეცვას კარგად მორგებული საცხვირე, რომელიც მჭიდროდ დაედება ცხვირის ძვალს. უნაგირზე გადაეჭირება (რახან შეკაზმვასაც ვაჩვევთ, თორემ უბელი ცხენზე უფრო გავრცელებულია) რგოლებიანი გურტი (გარსაკრი). ამ მოსართავს დაემაგრება გვერდით საბმურები (შპრუნტი), რომლებიც მეორე ბოლოებით ლაგმის რგოლებს მიებმება. ამ თასმების სიკეთე ისაა, რომ მათ ტრენინგის დასაწყისშივე „ჩარჩოში" ჰყავთ მოქცეული ცხენი. ეს თასმები ახალგაზრდა ცხენზე ზომიერად უნდა დაიჭიმოს, არც ძირს ჩამოეკიდოს, პირთან კონტაქტი არ უნდა წყდებოდეს. თუ ცხენმა გაქცევა მოიწადინა და შპრუნტი არ უკეთია, მწვრთნელს ისღა დარჩენია, თავისკენ მოიზიდოს მისი თავი და კისერი; ამ დროს გარეთა მხარს ოდნავადაც ვერ აკონტროლებს, იქმნება სიტუაცია, როდესაც წინა და უკანა ფეხები ჯვარედინდებიან, ერთმანეთს ეხლებიან და შეიძლება სასწავლო გამოყვანილმა ხამმა პირუტყვმა თავი დაიზიანოს.

ძალზე სასარგებლოა, ცხენი კორდაზე ხტომებს ჩორთით მივაჩვიოთ. აუცილებლად დაბალი დაბრკოლებებით უნდა დავიწყოთ. მათ გვერდით უნდა მივუდგათ ლატნები, რათა ცხენი სწორად მიემართო და გვერდის ავლა ავიცილოთ. პირთან მსუბუქი კონტაქტი უნდა გვქონდეს, ხელით ვგრძნობდეთ პირის მოძრაობას და არ ჩამოერჩეთ რიტმს. ცხენმა თვითონ უნდა შეარჩიოს არეკნის წერტილი და მიწაზე დაშვებისას უმალვე ჩორთით გააგრძელოს მოძრაობა. თუ ეს მუშაობა სწორად წარიმართება, ცხენი ეჩვევა მართებულად სხეულის მოდუნებას და თვდაჯერებულ ხტომას, დაბრკოლებებთან მშვიდად, დაუფეთებლად მისვლას.

კორდის გამოყენების სხვა მნიშვნელოვანი უბანია ცხენის სწავლება და გაწვრთნა, შეიძლება მწვრთნელის ხმამ და შოლმა ისე გააუმჯობესოს ცხენის წონასწორობა და მოუწესრიგოს მოძრაობის რიტმი, რომ ტემპი შენელდეს, ხოლო ნაბიჯის სიგრძე გაიზარდოს. ასევე შეიძლება ვასწავლოთ გადასვლა ერთი ალურიდან მეორეზე. თუ საკმაოდ მომზადებულ ცხენს უფრო პატარა წრეზე გადავიყვანთ და იმავე იმპულსს შევუნარჩუნებთ, ეს ავტომატურად გაუძლიერებს შეკრების და ტანის გვერდულად მოხრის ხარისხს. მაგრამ ეს ვარჯიში მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში უნდა შესრულდეს და ცხენი მაშინვე დიდ წრეზე გადავიყვანოთ.

სანამ ახალგაზრდა ცხენი კორდაზე სალთად (უმხედროდ) მუშაობს, მუდმივად უნდა გამოვიყენოთ გვერდითა თასმები. მაგრამ თუ გაფუჭებული ძველი ცხენის გამოსწორება გვინდა, განსაკუთრებით კი მხედრის ხელების მოქმედებაზე პასუხის გაცემას მივაჩვიოთ, უფრო შედეგიანი იქნება სრიალა შპრუნტის (იგივე სრიალა სადავეების) გამოყენება. მაგრამ ამ ხერხს ძალზე გამოცდილი მწვრთნელი სჭირდება. ამ მუშაობისათვის სრიალა შპრუნტის თასმებს უზანგის თასმების ქვეშ გაატარებენ და უნაგირის წინა ტახტის უკან გაკვანძავენ. აქ იგივე პნიციპი მოქმედებს, რაც ცხენზე მჯდომი მხედრის მიერ სრიალა სადავეების ხმარების დროს. განსხვავება ისაა, რომ სადავის ბოლოები მხედარს არ უპყრია ხელთ. ასე იქმნება სამკუთხედი — მოსართავიდან ლაგმის რგოლამდე და შემდეგ უნაგირის ტახტის უკან შეკრულ კვანძამდე (შეიძლება გურტის რგოლებიც გამოვიყენოთ, როგორც ზევით იყო აღწერილი). თუ ცხენს თავი წინ არ მიაქვს და კისერს მაღლა არ სწევს, მაშინ ცხენს ლაგამი პირზე არ აწვება; თუკი ცდილობს თავი წინ წასწიოს, ანდა სადავეს წინ ეზიდება, შპრუნტი ამის გაკეთებას არ აწებებს. ყბაზე დაწოლა მანამდე გრძელდება, სანამ ცხენი არ შეწყვეტს კისრის წაგრძელებას, კუნთებს არ მოადუნებს და თავს ბუნებრივ მდგომარეობაში არ გაიჩერებს. ადრე თუ გვიან იგი გაიცნობიერებს, რომ პატივი უნდა სცეს ლაგმის ყბაზე დაწოლას. კორდაზე მუშაობით ცხენის ტანი გამუდმებულად, ავტომატურად, მოიქნება (გვერდულად „მოილუნება") ორივე მხარეს, ხოლო წინ უწყვეტელ გაგზავნას კარგი იმპულსის გამომუშავება მოჰყვება. ცხენი თავადვე ეძებს სადავესთან კონტაქტს თავისა და კისრის სწორი დაჭერით და ამრიგად დამოუკიდებლად იწყებს „სადავეში" გამართულად სვლას. ამ ხერხის გამოყენების უპირატესობა ნათელია: ცხენი ყველა ალურით ერთსა და იმავე წრეზე მოძრაობს, იცავს მუდმივ რიტმს, მისი მოძრაობა თანაბარზომიერია, ყურადღება მიპყრობილი აქვს მწვრთნელისაკენ. შპრუნტთან კონტაქტი — მსუბუქი, ელასტიკური და ვიბრაციული — ცხენს ჩააგონებს, რომ მისთვის უფრო მარჯვეა, ლაგამი (და მასთან ერთად სადავე) არ მობღუჯოს და არ ებრძოლოს მას. როცა ცხენის კისერი ბუნებრივადაა მორკალული და ცხვირი წარმოსახვითი შვეული ხაზის წინ ოდნავაა წაყოფილი, მწვრთნელს შეუძლია ორი თითით დაამყაროს მასთან კონტაქტი და შოლტით მშვიდად მიჰყვეს უკანა ფეხების გადაადგილებას და თითქმის არ ჩაერიოს პირუტყვის მოძრაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰონდასგან ბრაუნილა დარჩა






*რამდენიმე დღის წინ „ჰონდას“ გადარჩენის შესახებ დარხეული ხმები სრული სიმართლე აღმოჩნდა, თუმცა რაც გადარჩა, მას უკვე აღარაფერი აქვს საერთო იაპონურ ავტოკონცერნ „ჰონდასთან“*

ხელმძღვანელმა როს ბრაუნმა სხვა გზას და მყიდველს რომ ვერ მიაგნო, გუნდი თავად გამოისყიდა იაპონელი პატრონებისგან და ასე გადაარჩინა. ეს კაცი მთელი ცხოვრება ფორმულაში ტრიალებს — შეუძლია იამაყოს, რომ მის ხელქვეით დაფრთიანდა მიხაელ შუმახერი. ბრაუნი ხელმძღვანელობდა 1994 და 95 წლებში გაჩემპიონებული შუმის „ბენეტონს“, შემდეგ კი ასევე მისი უფროსი გახლდათ „ფერარიში“, სადაც გერმანელმა სუპერპილოტმა კიდევ ხუთი ტიტული მოიგო.

„ჰონდაში“ მუშაობისას ბრაუნს არასდროს ჰქონია ძველი გაქანება, პირიქით, ის ჯერ მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძვის, მაგრამ ახლა საჯინიბო მისია და ეს გამოცდილი მმართველი ალბათ შეძლებს მის ფეხზე დაყენებას.

ახალ გუნდს „ბრაუნ გრან პრი“, უფრო მოკლედ კი „ბრაუნ ჯიპი“ ერქმევა და მისი პილოტები კვლავაც იქნებიან ჯენსონ ბატონი და რუბენს ბარიკელო. ორივე ძალზე გამოცდილი მრბოლია, ჯამში 423 დიდი პრიზი მოუვლიათ და პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაერთვებიან ახალი მანქანის დარეგულირებაშიო, ამბობს ბრაუნი. ისე კი ახალი მანქანა უკვე აწყობილიცაა და პირველად ასფალტს გუშინწინ „სილვერსტოუნის“ ტრასაზე შეეხო.

მნიშვნელოვანია, რომ 2009 წლის სეზონში „ბრაუნს“ მერსედესის ძრავა ექნება და მეტი პერსპექტივაც გაუჩნდება. „ჰონდა“ ჰონდასავე ძრავით მონაწილეობდა რბოლებში და სამ წელიწადში ოთხი პოდიუმი ერგო, აქედან სამი 2006 წელს ბატონმა დაიკავა — ერთი პირველი და ორი მესამე ადგილი. 2008 წლის სეზონი კი მთლიანად ჩავარდა — ბარიკელომ ერთი მესამე ადგილი „იშოვა“, ბატონს კი საუკეთესო შედეგად ესპანეთში მეექვსე ადგილი ჩაეთვალა. გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთან ერთად დიდწილად უხეირო შედეგებმაც ათქმევინა იაპონურ ავტოკონცერნს ფორმულა ერთში მილიონების ყრაზე უარი.

რაც შეეხება ბრუნო სენას, დადიოდა ხმები, რომ ლეგენდარული აირტონ სენას დიშვილი შეუწყვილდებოდა ჯენსონ ბატონს და საამისოდ თითქოს ყველაფერი მზად იყო იმ მანქანის გარდა, რომელშიც სენა უნდა ჩამჯდარიყო. ლეგენდის ახლობელს ძალიან ბევრი პროტეჟეც გამოუჩნდა. მაგრამ ბოლოს ეს 25 წლის ჯელი რომელიღაც ნაკლებმნიშვნელოვანი კლასის ავტოშეჯიბრში გაუშვეს, ბატონის გვერდით კი ფორმულა ერთის უგამოცდილესი და რეკორდსმენი პილოტი, რუბინიო დაბრუნდა.

რამდენიმე დღის წინ როს ბრაუნმა მოკლე ინტერვიუ გასცა, სადაც განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მაგრამ იქიდანაც ჩანს, რომ მისი გუნდი სრულ მწყობრშია და 29 მარტს მელბურნში შეავსებს ფორმულა ერთის რიგებს

**— მოგვიყევით გუნდზე, რომელსაც ახლა „ბრაუნ ჯიპი“ ქვია. როგორ იქნება ის ორგანიზებული?**

— როდესაც „ჰონდამ“ ფორმულა ერთის დატოვება გადაწყვიტა, ბევრი ფიქრი მოგვიხდა, როგორ შეგვენარჩუნებინა ჩვენი ძალიან შეკრული გუნდი და უზრუნველგვეყო მისი მონაწილეობა მსოფლიოს ჩემპიონატში, მაქსიმალურად როგორ გამოგვეყენებინა ის უნიკალური ბაზა, რომელიც ბერკლიში ფუნქციის გარეშე რჩებოდა. და მე უბრალოდ თავადვე გამოვისყიდე გუნდი ძველი მფლობელებისგან. ახლა მთავარი მფლობელი მე ვარ, მაგრამ მარტო არ ვარ, მის მართვაში დამეხმარებიან სხვა მენეჯერებიც

**— გუნდმა ნერვიული თვეები გადაიტანა, სულით ხომ არ დაცემულხართ?**

— ბერკლიში მყოფთათვის ეს მძიმე მოლოდინის პერიოდი იყო, მაგრამ სიამაყით ვიტყვი, რომ ახალ ბოლიდზე მუშაობა ერთი დღითაც არ შეგვიჩერებია. ამ მხრივ ჩვენ დიდი პრობლემა არ შეგვექმნია, თუ არ ჩავთვლით ტექნიკურ ნიუანსებს. მაგალითად, თავდაპირველად შასი გათვლილი იყო სხვა ძრავაზე და გადაცემათა კოლოფზე, შემდეგ კი მის ახალ აგრეგატებზე მორგება მოგვიხდა. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და ყველანი მოუთმენლად ველით მის პირველ ტესტებს.

**— რას იტყვით „მერსედეს-ბენცთან“ თანამშრომლობაზე?**

— ძალიან გაგვიმართლა და „მერსედეს-ბენცი“ ძრავების მოწოდებაზე დაგვითანხმეთ. მადლიერებით ვართ გამსწვალული ამ კონცერნის მიმართ. ენახოთ, როგორ მოვახერხებთ მისი ძრავის **FO108W** და ჩვენი შასის BGP-001 შეწყობას.

**— მრბოლთა წყვილი უცვლელი დატოვეთ...**

— ჯენსონ ბატონი და რუბენს ბარიკელო ძალიან გამოცდილი პილოტები არიან. როგორც კი მანქანა ტესტებზე გამოვა, ისინი იმთავითვე აქტიურად ჩაერთვებიან მის რეგულირებაში და მათ გამოცდილებას ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია. ამასთან ისინი ოთხი წელია ერთად არიან, კარგად იცნობენ ერთმანეთს, ჩვენს გუნდს, იციან ჩვენი მიდგომა. ახალ სეზონს ორივე საბრძოლო განწყობით იწყებს და მანქანის მოდერნიზებაში მონაწილეობა სურს. ჩვენ ერთი სული გვაქვს, მათი აზრი მოვისმინოთ ახალ მანქანაზე.

**— ტესტებს რა ინტენსივობით გაივლით? ასეთი გვიანი სტარტით დიდ უპირატესობას აძლევთ მეტოქეებს...**

— „სილვერსტოუნზე“ უბრალოდ გავაგორეთ მანქანა. ნამდვილი ტესტები 9-12 მარტს ბარსელონაში გველის, შემდეგ კი 15-17 მარტს ხერესში კიდევ ერთი სერია გვექნება. სხვა გუნდებს ცოტა ჩამოვრჩით და მაქსიმალურად გვჭირდება კონცენტრაცია. მართალი გითხრათ, ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო, 29 მარტს მელბურნის დიდი პრიზის გათამაშებისას სტარტზე ორი მანქანა გვყოლოდა და ეს პროგრამა-მინიმუმი შევასრულეთ. თავიდან შესაძლოა გამძლეობასთან დაკავშირებით სირთულეები შეგვხვდეს, მაგრამ სეზონის მსვლელობისას ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება, თუ სწორად დავსვამ აქცენტებს.

**— მელბურნში რა შედეგს ელით?**

— სეზონის პირველ რბოლაში პრაქტიკულად შეუძლებელია კონკრეტული პროგნოზირება. არც კი ვეცდები რაიმე შედეგის დაგეგმვას. მაგრამ მე ერთი ვიცი: მელბურნში სიამაყის გრძნობით დავბრუნდებით, რაკი მთავარ გამოცდას მანამდე ვაბარებთ.

**— რას იტყვით ახალ ბოლიდზე?**

— BGP-001 ახლა იწყებს თავის გზას და უკვე ყველას ძალიან მოგვწონს. ბოლიდის ძირითადი ფერები იქნება შავი და თეთრი ღია სალათისფერი კანტებით. ის ძალიან განსხვავებულია სხვა ბოლიდებისგან.

## რუბენს ბარიკელო: მე კიდევ გამოვალ ტრასაზე



**ყველაზე** გამოცდილი პილოტი რუბენს ბარიკელო კვლავაც რჩება ფორმულა ერთში, რასაც თავად ერთგვარი ნიშნისმოგებით აღნიშნავს.

„შარშან ამოიწურა „ჰონდასთან“ კონტრაქტი და მას მერე ძალიან ბევრი ჭორი მოვისმინე საკუთარ თავზე. ამბობდნენ, რომ ჩემი საქმე გათავებულია, ახალგაზრდა ბრუნო სენა ჩემზე პერსპექტიულია და ის სამი წლით ჩასვეს ჩემს ყოფილ მანქანაში. ამ ყველაფერს მე ოთხთვიანი დუმილით ვპასუხობდი, მაგრამ ამ ხალხის გასაგონად ვიტყვი, რომ წუთითაც არ დამიშვია, რომ კარიერას ასე დავასრულებდი. მე კიდევ გამოვალ ტრასაზე.“

ბარიკელო ამჟამად 36 წლისაა და მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო წლები ზურგსუკან აქვს, მაინც ყოჩაღად გამოიყურება. შარშან მან ჯაგლაგი „ჰონდათი“ ერთხელ მესამე ადგილი დაიკავა და სეზონი 11 ქულით დაასრულა, რაც ერთიორად მეტია 8 წლით უმცროსი თანაგუნდელის ჯენსონ ბატონის მონაგარზე.

## მენსელი ჰემილტონს: ჩემზე 20 პროცენტით უმნიშვნელო ხარ



**ბრიტანეთის** ყველა დროის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა მრბოლმა ნაიჯელ მენსელმა გაზეთ „სანისთვის“ მიცემულ მოკლე ინტერვიუში მოქმედ ჩემპიონ ლუის ჰემილტონს წამოაძახა, შენი 2008 წლის ჩემპიონობა ჩემს 1992 წლისაზე 20 პროცენტით ნაკლებად მნიშვნელოვანიაო?

რა ლოგიკით დააპროცენტა მენსელმა თავისი და ჰემილტონის ჩემპიონობები? ექსცენტრიული ულვაშა უბრალო რიცხობრივ მაჩვენებელს ეყრდნობა, ამბობს — მე რომ ჩემპიონი გავხდი, მაშინ ფორმულას დიდ ცირკში 26 მრბოლი ვიყავით, ჰემილტონის დროს კი ფორმულა 20 თუ 18 მხოლოდ მრბოლისგან შედგებაო.

„არ მინდა, ლუისს ვაწყენინო, მაგრამ რა აზრი აქვს ჩემპიონობას, თუ მხოლოდ 17 თუ 19 მეტოქეს ებრძვი?“ — ამბობს მენსელი.

თუმცა 55 წლის ბრიტს რატომღაც არ გახსენებია ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება. მის დროს დიახაც მეტი ბოლიდი იდგა სტარტზე, მაგრამ მისი „უილიამსი“ იმდენად აღემატებოდა სხვა კონკურენტებს, რომ მენსელს ყველაზე მეტად უიოლდებოდა რბოლა. მისი კონკურენტები იყვნენ აირტონ სენა და ახალგაზრდა მიხაელ შუმახერი, მაგრამ რენოსძრავიანი „უილიამსით“ ის იმდენად სწრაფი იყო, რომ 16-ეტაპიანი ჩემპიონატის 9 დიდი პრიზი მოიგო და მე-11 ეტაპის შემდეგ გახდა ჩემპიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შაკი, როგორც მუჰამედი





შაკილ ონილმა დუეინ ვეიდი ძირს დასცა და როგორც მუჰამედ ალიმ სონი ლისტონს, ისე მოუღერა მუშტი

**4 მარტი**

კლიველენდი 91:73 მილუოკი
მაიამი 135:129 ფინიქსი
ნიუ იორკი 109:105 ატლანტა
ნიუ ჯერსი 111:115 ბოსტონი
ოკლაჰომა 98:93 ვაშინგტონი
ჩიკაგო 110:88 გოლდენ სტეიტი
დალასი 107:102 სან ანტონიო
იუტა 101:94 ჰიუსტონი
პორტლენდი 107:105 ინდიანა
კლიპერსი 95:118 მემფისი

**5 მარტი**

ნიუ ორლეანი 104:88 დალასი
დენვერი 106:90 პორტლენდი

**6 მარტი**

შარლოტი 98:91 ატლანტა
ორლანდო 105:102 ნიუ ჯერსი
ტორონტო 102:108 მაიამი
დეტროიტი 108:91 გოლდენ სტეიტი
ბოსტონი 105:94 კლივლენდი
ჩიკაგო 107:102 მილუოკი
სან ანტონიო 100:78 ვაშინგტონი
ჰიუსტონი 114:112 ფინიქსი
იუტა 97:91 დენვერი
ლეიკერსი 110:90 მინესოტა

**7 მარტი**

ატლანტა 87:83 დეტროიტი
კლივლენდი 99:89 მაიამი
ნიუ იორკი 105:114 შარლოტი
მემფისი 105:110 ფილადელფია
ნიუ ორლეანი 108:90 ოკლაჰომა
დალასი 119:103 ვაშინგტონი
მილუოკი 127:120 გოლდენ სტეიტი
პორტლენდი 95:93 მინესოტა
კლიპერსი 105:106 ინდიანა

### აღმოსავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკა | | | |
| ბოსტონი | 49 | 14 | 77,8 |
| ფილადელფია | 29 | 30 | 49,2 |
| ნიუ ჯერსი | 27 | 35 | 43,5 |
| ნიუ იორკი | 25 | 35 | 41,7 |
| ტორონტო | 23 | 40 | 36,5 |
| ცენტრალური | | | |
| კლივლენდი | 48 | 13 | 78,7 |
| დეტროიტი | 31 | 29 | 51,7 |
| ჩიკაგო | 29 | 34 | 46,0 |
| მილუოკი | 29 | 36 | 44,6 |
| ინდიანა | 27 | 37 | 42,2 |
| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | |
| ორლანდო | 45 | 16 | 73,8 |
| ატლანტა | 34 | 28 | 54,8 |
| მაიამი | 33 | 28 | 54,1 |
| შარლოტი | 27 | 35 | 43,5 |
| ვაშინგტონი | 14 | 48 | 22,6 |

### დასავლეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| სამხრეთ-დასავლეთი | | | |
| სან ანტონიო | 41 | 20 | 67,2 |
| ჰიუსტონი | 40 | 23 | 63,5 |
| ნიუ ორლეანი | 38 | 22 | 63,3 |
| დალასი | 37 | 25 | 59,7 |
| მემფისი | 16 | 44 | 26,7 |
| ჩრდილო-დასავლეთი | | | |
| დენვერი | 40 | 23 | 63,5 |
| იუტა | 39 | 23 | 62,9 |
| პორტლენდი | 38 | 23 | 62,3 |
| მინესოტა | 18 | 43 | 29,5 |
| ოკლაჰომა | 16 | 45 | 26,2 |
| წყნარი ოკეანე | | | |
| ლეიკერსი | 50 | 12 | 80,6 |
| ფინიქსი | 34 | 28 | 54,8 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 41 | 33,9 |
| კლიპერსი | 15 | 47 | 24,2 |
| საკრამენტო | 13 | 49 | 21,0 |

**გამორჩეული მატჩები**

4 მარტი. მაიამი

**მაიამი 135:129 ფინიქსი**

მაიამი: ჩალმერსი (14), ვეიდი (35 ქულა, 16 პასი), მუნი (15), ჰასლემი (10), ჯ. ონილი (6); ბისლი (28), კუკი (27), ენტონი, ჯონსი

ფინიქსი: ნეში (29 ქულა, 10 პასი), რიჩარდსონი (22), ბარნსი (19), ჰილი (13), შ. ონილი (22); ბარბოსა (9), დადლი (8), ამუნდსონი (7)

ეს ბოლო კვირებია, ბებერი შაკილ ონილი საკალათბურთო ჰედლაინებიდან არ ჩამოდის. ყოველ მის თამაშს დიდი აჟიოტაჟი ახლავს, როგორც პირველ წლებში. დევშაკი 37 წლისაც ისეთივე პოპულარულია, როგორც 20 წლისა რომ იყო და პირველ მატჩებში თანაგუდელებიც და მეტოქეებიც გაოგნებული ალტაცებით აჰყურებდნენ.

მაგრამ შაკი მაინც მწვერვალის მეორე ფერდობზეა და ნელ-ნელა, თუმც განუხრელად დაბლა მიცოცავს. საჩემპიონო გუნდი მის გარშემო ნამდვილად აღარ აშენდება. პლეი ოფში გემრიელად წათამაშებალა თუ გამოუვა, თუმც მის „ფინიქსს“ იქ მოხვედრაც სათუო გაუხდა ამარე სტუდემაიერის საბოლოოდ დამტვრევის გამო.

„ფინიქსმა“ ბოლო თამაშებში წაგებებს მოუხშირა. შაკის და ნეშის გუნდი გასულ კვირას ფლორიდაში ჩავიდა და იქაურ „ორლანდოსა“ და „მაიამის“ შეხვდა. ონილს ორივე გუნდში აქვს ნათამაშები, „მაიამის“ მაისურით 2006 წელს ჩემპიონიც გახდა და ახლა... ორივესთან წააგო.

განსაკუთრებით დაძაბული გამოვიდა მეორე ფლორიდული მატჩი. ორლანდოელ დუაიტ ჰოვადთან თანაბარი ბრძოლის შემდეგ შაკმა პირწმინდად დაჩაგრა „მაიამის“ ცენტრი, მისი მოგვარე ჯერმენი, რომელიც 6 წლით უმცროსი კია და თავის დროზე მშვენიერ ცენტრ-ფორვარდადაც ითვლებოდა, მაგრამ ტრავმებმა დიდ ონილზე მეტადაც გატანჯა.

შაკილ ონილმა 22 ქულა გააკეთა, „ფინიქსის“ გამთამაშებელმა სტივ ნეშმა კი 29 ქულა და 10 პასი გაჩარხა. საზოგადოდ, სტუმრებმა შეტევაში კი გაილაღეს და 129 ქულა გააზერზეს — მწვრთნელის შეცვლის შემდეგ, ელვინ ჯენთრის ხელში ძველ შემტევ სტილს დაუბრუნდნენ, მაგრამ ამ თამაშში ოდნავ მეტი მიიღეს საკუთარ კალათში, ვიდრე გასცეს.

„მაიამელთა“ შორის საუკეთესო სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა დუეინ ვეიდი 2006 წლის საჩემპიონო გუნდის ძრავა და ფინალის უძვირფასესი მოთამაშე. მან გარღვევებით ააწიოკა სტუმრები და ორპირი დააყენა შაკის „კუთვნილ“ სამწამიანში. ერთ ეპიზოდში გაგულისებულმა შაკმა პარკეტზე დასცა და მერე თავზეც დაადგა, როგორც მუჰამედ ალი დანოკაუტებულ სონი ლისტონს და მუშტებს უღერებდა, სანამ ონილის ყოფილი ფარქვეშა მეწყვილე უდონის ჰასლემი დევკაცს გვერდზე არ მისწევდა და ვეიდს არ წამოაყენებდა.

ვეიდი მაინც იცინოდა და სატირლად ნამდვილად არ ჰქონდა საქმე — მან 35 ქულასთან ერთად 16 პასი გააკეთა და ამით კარიერის რეკორდი გაიმეორა. მაიამელი ქომაგები ტრიბუნიდან მის სახელს სკანდირებდნენ და მვპ-ს უძახდნენ, შაკს კი უკმაყოფილო შეძახილები ესროლეს, რამაც ემოციურ დევკაცს ხასიათი გაუფუჭა. ონილი მატჩის ბოლოსწინა წუთზე მეექვსე პერსონალურის მიღების შემდეგ იძულებით გადაჯდა მაყურებლებში, მის გუნდს კი ვეიდის რაზმთან ექვსი ქულა დააკლდა.

სულ ასეა ამ სეზონში, თანაბარი მატჩების ბოლოს წაგებას დავეჩვიეთო — ჩიოდა ონილი ნამატჩევს.

ვეიდი კი ცხადია მატჩის გმირი გახდა, მისი პასებით ბლომად ქულები აგროვეს სხვა მაიამელებმაც. ახალბედა ფორვარდმა მაიკლ ბისლიმ 28 ქულა ჩააგდო და ერთგვარი მინი-რეკორდიც დაისაკუთრა — ამ სეზონში „მაიამიში“ ვეიდის გარდა ამდენი არავის მოუხვეჭია. მას ერთით ჩამორჩა დექვან კუკი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ შაკილ ონილის ბინაზე, ფინიქსში გამართულ ოლ სტარში სამქულიანების კონკურსში გაიმარჯვა. შაკის გუნდს მან 6 სამქულიანი აძგერა.

6 მარტი. ბოსტონი

**ბოსტონი 105:94 კლივლენდი**

მაიამი: პირსი (29), პოუი (20), ალენი (17)
კლივლენდი: უილიამსი (26), ჯეიმსი (20), ვარეჟაო (15)

აღმოსავლეთის ამ ორმა გუნდმა ოფიციალურად პლეი ოფში ადგილი ყველაზე ადრე გაინაღდა, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტა და ამოსუნთქვა არცერთს არ უფიქრია. „ბოსტონისთვის“ შარშან მოედნის უპირატესობა გადამწყვეტი აღმოჩნდა საჩემპიონო რბოლაში დაწლეულსაც მთელი მონდომებით მუშაობს რეგულარული ჩემპიონატის მოსაგებად.

„კლივლენდთან“ ჯახი დაძაბული კი გამოვიდა, მაგრამ მოლოდინი ბოლომდე მაინც ვერ გაამართლა. პრინციპულ მატჩში ეს მერამდენედ ჩაფლავდა ლებრონ ჯეიმსი, რომელიც წლეულს ალბათ სეზონის ბომბარდირის ტიტულსაც ასცდება და უძვირფასესობასაც. 15 სროლიდან 5 ჩაგდებით „ბოსტონს“ ვერ გატეხავს მისებრი უნივერსალიც კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონებს საუკეთესო მეფარე კევინ გარნეტი აკლდათ.

ლებრონს ისევ მეორე ოლსტარელი მო უილიამსი ჯობდა, მაგრამ გაცილებით შეწყობილად მოთამაშე მასპინძლებმა მესამე მეოთხედში მოპოვებული 10-ქულიანი უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და აღმოსავლეთში მოლოდერე მეტოქე ცხრილში ძალიან წინ არ გაუშვეს.

„ბოსტონს“ რა უშავდა, მაგრამ მის ვეტერან ახალწვეულ სტივენ მარბერის კი ნამდვილად უშავდა. თავკერძა სტივი მეოთხე თამაშს ატარებს ახალ გუნდში და ჯერაც მსუბუქად რომ ვთქვათ, ჯერათ ვერ გაიხსნა. მწვრთელი დოკ რივერსი საკმაო ხნით ათამაშებს, ძირითად გამთამაშებელ რაჯონ რონდოს ასვენებს, მაგრამ...

მარბერიმ ოთხ თამაშში საშუალოდ 14 წუთში „მოიხვეჭა“ 2,5 ქულა და 3,0 პასი.



გაცრეცილი ვარსკვლავი სტივენ მარბერი „ბოსტონში“ ჯერ ვერ გაიხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. მე-5 ტური. 4-5 მარტი

# ესპანური სამბაია

## რეალ-ბარსას მერე ყველაფერი ფორმალობად იქცა



პატარა და მუშა ტაირელ მაკინტაირი

**ესპანური** საკალათბურთო პრიმერადივიზიონი ევროპაში აშკარად უძლიერესი ლიგაა და იქაური კლუბების უპირატესობა ევროლიგაშიც გამოკვეთილია.

კენჭისყრამ ერთ ჯგუფში კი შეჰყარა ორი ისტორიული მეტოქე — „რეალი" და „ბარსელონა", თუმც იქიდან ორივემ უპრობლემოდ მოახერხა გასვლა. ხუთი ტური ჩავლილია და ორმა „მოსისხლე" გრანდმა მოლოდ ერთმანეთთან წააგეს, არადა მათ ჯგუფში ზის გოროზი „მაკაბი" და წლევანდელი ოთხთა ფინალის მასპინძელი, ბერლინის „ალბა".

„ბარსელონამ" მერვედფინალის საგზური მეხუთე ტურში გაინაღდა, როდესაც შინ დამაჯერებლად აჯობა „რეალს" და ამით ორმაგი რევანში აუღო — მადრიდში ერთი ქულით წაგება გააბათილა და ჯგუფში ლიდერის სტატუსიც ჩამოართვა მეტოქეს. თითქოს ჩემპიონობისთვის იბრძვიანო, ბარსელონელებმა პირველივე ტაიმში 10 ქულა აართვეს პრინციპულ მეტოქეს, მესამეში 16 ქულით გაექცნენ და მერელა მოეშვნენ. გამარჯვებულთა შორის გამოირჩნენ სეზონის დასაწყისში მოსკოვის ცსკა-დან გადმოყვანილი დანიელი მეფარე დევიდ ანდერსენი და ნბა-დან დაბრუნებული ძველი ბარსელონელი ხუან კარლოს ნავარო.

ამ შეხვედრის ასე დასრულებით ჯგუფში ჩასარჩენად გაიწირა ტიტულოვანი „მაკაბი", რომელმაც „ალბას" მეორედ და უსარგებლოდ მოუგო. რაც შეეხება ბერლინურ კლუბს, „ალბას" იმთავითვე არ ჰქონდა ოთხთა ფინალში გასვლის იმედი, ამ ურთულეს ჯგუფში კი ისეთი პირი უჩანს, რომ დამამშვიდებელი ერთი მოგებაც არ შეხვდება — შემდეგ შეხვედრას შინ ატარებს „ბარსელონასთან" და ჯგუფში პირველობის მოსურნე ესპანელები ბერლინელებს ოცნებად ქცეულ გამარჯვებას ალბათ არც ამ ჯერზე აღირსებენ.

კიდევ ერთი ესპანური გუნდის, „ტაუ კერამიკას" ჯგუფიდან გასვლა ეჭვსაც არ იწვევდა, ვიტორიელებმა „ალბასავით" სუსტი პოლონური „პროკომი" მისსავე დარბაზში დაამარცხეს. ამ ჯგუფში მეორე გამსვლელი ადგილისთვის მთავარი შეხლა ბერძნულ „ოლიმპიაკოსსა" და იტალიურ „მილანოს" შორის გაიმართა. მილანელებმა პირეოსულ სიგიჟეში შეძლეს ბრძოლის ბოლო წუთებამდე მიყვანა, მაგრამ ორი ამერიკელის — მაიკლ ჰოლის (27 ქულა) და დევიდ ჰოკინსის (21) მძლავრი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა ათასობით ქომაგის ღრიანცელიდან გამარჯვებით გამოსასვლელად. „ოლიმპიაკოსს" 27 ქულა შეაწია ხორვატმა ნიკოლა ვუიჩიჩმა, ბერძენმა მეფარემ იოანის ბურუსისმა კი 20 ქულას 14 მოხსნაც დაურთო.

„ოლიმპიაკოსთან" ერთად ევროპული კალათბურთის საუკეთესო რვეულს უწია მეორე ბერძნულმა გრანდმა „პანათინაიკოსმა", ვინაც ბელგრადში პარტიზანთან კი დამარცხდა და ამ ჯგუფში პირველად გასინჯა მარცხის სიმწარე, მაგრამ პირველობა შეინარჩუნა და მძლეველთან ერთად დაიბევა ორი გამსვლელი ადგილი. ამ გამარჯვების წყალობით „პარტიზანმა" საბოლოოდ ჩამიტოვა ჯგუფურ ეტაპს ვერგაცდენილი ერთადერთი ესპანური კლუბი „უნიკახა", რომელმაც აუტსაიდერ „ლოტომატიკას" მეორედაც ძლია, მაგრამ მარტო ორი გამარჯვებით შორს ხომ ვერ წავიდოდა...

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ უკანასკნელმა მეექვსე ტურმა აზრი დაკარგა. ოთხი ჯგუფიდან რვავე გამსვლელი ცნობილია და ერთი კვირის შემდეგ რვა თამაში ფორმალობადღა იქცა. გუნდები მხოლოდ უკეთესი განთესვისთვის იბრძოლებენ.

მეოთხედფინალში სამი გუნდით იქნება წარმოდგენილი ესპანეთი, ორი გუნდი ეყოლება საბერძნეთს, ხოლო რუსეთს, სერბეთს და იტალიას თითო-თითო. იტალიელებს 16 რჩეულში სამი წარმომადგენელი ჰყავდათ, მაგრამ მათგან მხოლოდ „მონტეპასკის" ეყო მისი დაძლევის ძალა. სიენელებმა ამ ტურში გამოკვეთეს თავიანთი ახლო მომავალი, როდესაც შინ გადამწყვეტ ჯახში იოლად დაამარცხეს უშუალო კონკურენტი, ხორვატული „ციბონა". ყველა უშეღავათო რკენას ელოდა, მაგრამ ხორვატებს შავი დღე აყარა იტალიელთა ამერიკელმა გამთამაშებელმა ტაირელ მაკინტაირმა, რომელიც მხოლოდ 175 სანტიმეტრს აიზომება და ეს ბუნებრივი „ნაკლი" ხელს არ უწყობს ნბა-ში თამაშში, მაგრამ 5 მარტს არც ხელი შეუშალა ევრომეტოქის დარბევაში. მაკინტაირს მთელი ხორვატული გუნდი დასდევდა, მათმა მწვრთნელმა ერთი პირობა ხუთეულში ოთხი უკანახაზელიც დააყენა, მაგრამ ამერიკელმა მაინც ბლომად ყარა, თავის გუნდს პირველი ტაიმი 46:32 მოაგებინა და თავად მატჩი 29 ქულით დაასრულა.

**ვანო კობიაშვილი**

### E ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 84:81 მილანო

პროკომი 72:92 ტაუ კერამიკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ კერამიკა | 5 | 4 | 1 | +90 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 4 | 1 | +42 | 9 |
| მილანო | 5 | 2 | 3 | -50 | 7 |
| პროკომი | 5 | 0 | 5 | -82 | 5 |

### F ჯგუფი

ბარსელონა 90:79 რალი

ალბა 70:76 მაკაბი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | +63 | 9 |
| რეალი | 5 | 4 | 1 | +17 | 9 |
| მაკაბი | 5 | 2 | 3 | -6 | 7 |
| ალბა | 5 | 0 | 0 | -74 | 5 |

### G ჯგუფი

უნიკახა 99:64 ლოტომატიკა

პარტიზანი 63 56 პანათინაიკოსი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინიაკოსი | 5 | 4 | 1 | +67 | 9 |
| პარტიზანი | 5 | 4 | 1 | +2 | 9 |
| უნიკახა | 5 | 2 | 3 | +31 | 7 |
| ლოტომატიკა | 5 | 0 | 5 | -100 | 5 |

### H ჯგუფი

ცსკა 77:60 ულქერი

მონტეპასკი 86:70 ციბონა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 1 | +67 | 9 |
| მონტეპასკი | 5 | 3 | 2 | +11 | 8 |
| ციბონა | 5 | 2 | 3 | -23 | 7 |
| ულქერი | 5 | 1 | 4 | -55 | 6 |

# ნუ ეთამაშებით შაკილ ონილს, გაილანძღებით!

**შაკილ ონილი** მორიგ ვერბალურ კინკლაობაში გაეხვა. ტანად ზორბა კი გახლავთ, მაგრამ ბუნების საწინააღმდეგოდ მაინც ბავშვივით მოუსვენარია, ცანცარა და ხშირად დედაკაცივით აწჩხლია. ყველამ იცის, რომ მისი გამოწვევა ძალიან იოლია, დაშოშმინება კი ძალიან ძნელი.

ამ რამდენიმე დღის წინ ის და მისი ყოფილი მწვრთნელი სტენ ვან განდი დაუსწრებლად, ასე ვთქვათ, ტელეხიდით შეკამათდნენ.

სამშაბათს, 3 მარტს შაკის „ფინიქსი" ორლანდოში ჩავიდა, სადაც ვეტერანი კალათბურთელი 17 წლის წინ იწყებდა კარიერას. მას „ორლანდოს" ლიდერ დუაიტ ჰოვარდთან მოუხდა შეჭიდება, რომელიც მისი ტახტის მემკვიდრედ ითვლება და სადღეისოდ ნბა-ს საუკეთესო ცენტრია. ტიტანთა ჭიდილი ასე თუ ისე თანაბარი გამოვიდა — ჰოვარდმა 21 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა, ონილმა კი 19 ქულა და 11 მოხსნა შეაგროვა.

მაგრამ მფრინავმა ჰოვარდმა ვეტერან ოპონენტს ერთ ეპიზოდში თავზე გადაატენა ბურთი, თანაც „ორლანდომ" 111:99 იძალა. გამარჯვებულთა მწვრთნელ სტენ ვან განდის როგორ არ მოეხსენება ონილის ფხუკიანი ხასიათის ამბავი, 2004-05 წლებში „მაიამიში" მისი მწვრთნელი იყო, მაგრამ ნამატჩევს მაინც არ მოერიდა მის მსუბუქად გაკენწვლას. პრესაში ნათქვამში ისე გამოუვიდა — მეთოდები დაგიძველდა, ჩემო შაკილოო და იქვე ზედმეტად მგრძნობიარეც უწოდა.

შაკი აბა რისი შაკი იქნებოდა, ეს რომ შეერჩინა. მან მაშინვე უწოდა ვან განდის „მეტიჩარა" და „პანიკის ოსტატი". მართალია, მოგვიანებით ვან განდიმ სახალხოდ მოუბოდიშა, უსამართლოდ გავანაწყენე კაციო, მაგრამ შაკმა მაინც არ დაუთმო და ბოლო სიტყვა თავისთვის დაიტოვა.

„ნუ მეთამაშებით. სერიოზულად ვიძახი ყველას გასაგონად. მან არასწორად შეარჩია ჩემი მისამართით ნათქვამი სიტყვები და პასუხიც მიიღო. რომ ამბობს, ველარ თამაშობო, არაფერი შეცდომა არ დამიშვია. კი მისმა გუნდა მოიგო, მაგრამ ეს თამაში მე არ წამიგია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ერთ რამეს მოვითხოვ ყველასგან - სათანადო პატივისცემას. კიდევ ერთხელ გავიმეორებ — ნუ მეთამაშებით!"

სტენ ვან განდის და შაკილ ონილს „მაიამიდანვე" არ აეწყოთ ურთიერთობა. შაკი 2004 წელს „ლეიკერსიდან" ამ გუნდში რომ გადაბარგდა, ერთი სრული სეზონის თავზე მწვრთნელთან სიტყვა-პასუხი უკვე გამრუდებული ჰქონდა. „მაიამიმ" პლეი ოფში, აღმოსავლეთის ფინალში ჩემპიონ „დეტროიტთან" რომ წააგო, შაკმა ვან განდისკენ გაიშვირა ხელი, არასაკმარისად დიდი ხნით მათამაშებდაო.

2005-06 სეზონის დაწყებიდან ერთი თვის თავზე ვან განდი გადადგა. „მაიამი" მისმა ძველმა თავკაცმა და პრეზიდენტმა პატ რაილიმ ჩაიბარა და იმავ წელს აჩემპიონა კიდეც. ორი წლის შემდეგ კი შაკი „ფინიქსში" გაცვალეს.

**ირაკლი ფირაშვილი**



„ორლანდოს" ძველი და ახალი ბურჯები — შაკილ ონილი და დუაიტ ჰოვარდი

## ზე-14 2009. მე-4 ტური. 6-7 მარტი


იუან სმიტი

# ჯვაროსნებს ჯვარი დაუსვეს

**ჩიფსი 31:13 ფორსი**
**ვარათაზი 15:11 რედზი**
**ჰარიკეინზი 29:12 ჩიტაზი**
**ბლუზი 31:35 შარქსი**
**ჰაილენდერსი 6:0 კრუზეიდერსი**
**ბულზი 15:10 სტორმერზი**

მეოთხე ტურის შემდეგ ზე-14-ში სამი უძლეველი გუნდიღა დარჩა, რომელთაგან ორი სამხრეთაფრიკულია და ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ საყოველთაო წარუმატებლობის წლები წარსულს ჩაბარდა. პრეტორიის „ბულზი“ და დურბანის „შარქსი“ დაუმარცხებლად მიიწევენ. სხვათა შორის ეს ის გუნდებია, რომლებმაც 2007 წლის ფინალში გაალწიეს და პირველად აქუქეს სამხრეთულ სუპერსაკლუბო ლიგას აფრიკელი ჩემპიონი.

დურბანელი „ზვიგენებს“ ახალზელანდიურ ოკლენდში სტუმრობა ხუმრობა არ ეგონათ და თავიდანვე უსიროუზულესად განეწყვნენ. განსაკუთრებით იყოჩაღა სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანმა ჯონ სმიტმა, რომელიც ამპლუით ჰუკერი კი გახლავთ, მაგრამ მეორე ტაიმში თავშებორკილ ბურჯად (3 ნომერი) ითამაშა და მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ლელოც დაუდო ახალზელანდიელებს, რომელთაც იმ დღეს საკმარისზე მეტად უბარდებოდათ ბურთი ხელიდან დ ავერ იყენებდნენ თავიანთ მომაკვდინებელ იარაღს — უსწრაფეს კონტრშეტევას. ერთი ასეთი შეცდომა ახალი ზელანდიის ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მელელოვემ ჯო როკოკოკომაც დაუშვა, რაც მის გუნდს ძვირად დაუჯდა.

სმიტის ლელოს შემდეგ, „შარქსი“ 35:21 დაწინაურდა და საქმეც მოითავა. ახალზელანდიელებმა ისღა შეძლეს, რომ დასრულებამდე ორი წუთით ადრე საჯარიმო გაიტანეს, მერე აფრიკელთა მასირებულ შეტევას გაუძლეს და როკოკოკომ ბოლო შეტევაში ლელოც გაიტანა, მაგრამ ამან მხოლოდ ერთი ბონუს ქულა მოუტანა ოკლენდელებს მცირე სხვაობით წაგებისთვის. აფრიკელებმა კი ახალი ზელანდიის საქმიანი დედაქალაქიდან სრულად დაკმაყოფილებულები წამოვიდნენ — გამარჯვების წილ ოთხ ქულასთან ერთად ოთხი ლელოსთვის პრემიალური ქულაც ჩაიწერეს.

ამაზე უკეთაც შეგვიძლია თამაში, მაგრამ დღეს მართლა განსაკუთრებით კარგად გამოვიყურებოდითო — ამაყობდა ერთ-ერთი „ზვიგენი“ იოჰან მიულერი.

აფრიკულ დერბიში მოიპოვა მეოთხე გამარჯვება 2004 ჩვენმა სტუმარმა „ბულზმა“, თუმც მხოლოდ ორი ლელო გაუტანა „სტორმერზს“ და ბონუსი აღარ ერგო.

აფრიკული გუნდებივით ყოჩაღობს ავსტრალიური „ვარათაზი“, რომელსაც ავსტრალიურ დერბიში ბრისბეინის „რედზთან“ დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა. სიდნეის გუნდს გამარჯვება მოუტანა ტომანა ტაჰუმ, რომელმაც საშინელი კონტაქტის შემდეგ ბურთი აacალა ერთ-ერთ მეტოქეს, 40 მეტრი ირბინა და სიდნეის გუნდს მორიგი გამარჯვება მოუპოვა.

ლიდერთა სამეულს უტრიალებს ახალზელანდიური „ჰარიკეინზი“, რომელმაც ველინგტონში დამაჯერებლად დაამარცხა ღრმა აუტსაიდერი „ჩიტაზი“. ახალი ზელანდიის ნაკრების გარემარბმა ჰოსეა გირმა ორ ტაიმში თითო ლელო შეუტანა აფრიკელთა უსუსტეს გუნდს. „ჩიტაზმა“ მოისაკლისა სამხრეთ აფრიკის ვარსკვლავი მესამეხაზელი იუან სმიტი, რომელსაც წინა ტურში ავსტრალიურ ბრისბეინში „რედზთან“ თამაშისას სიცხისგან გული შეუღონდა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. ავსტრალიაში ხომ ცხელი ზაფხულის ხვატი ჯერ არ განელებულა და თამაშის დროს ტემპერატურა 32 გრადუსი იყო, რაც ოკეანისპირა, ტენიან ქალაქში მეტისმეტად ბევრია მოედანზე მთესი სისწრაფით მორბენალი და მზის გულზე ერთმანეთთან მოჭიდავე მორაგბეებისთვის.

კიდევ ერთი მარცხი იწვნია მოქმედმა ჩემპიონმა „კრუზეიდერსმა“, რომელსაც ჩემპიონობისა აღარაფერი ეტყობა და ამდენი მარცხით აქედანვე ეთიშება საპლეიოფო ოთხეულისთვის ბრძოლას. მეზობელ „ჰაილენდერზთან“ მისი სტუმრობა ყველაზე ნაკლებად გავდა ზე-14-ის გემრიელ სარაგბო სანახაობას. ამ „სვარკასავით“ თამაშში ლელო არ გასულა — „ჰაილენდერსმა“ ორი საჯარიმო ჯაუტანა აბჯარაყრილ „ჯვაროსნებს“ და თამაშიც მხოლოდ 6:0 ანგარიშით დასრულდა.

**ვანო ქობიაშვილი**


ჯონ სმიტი

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბულზი (პრეტორია, სამხრეთ აფრიკა) | 4 | 4 | 0 | 0 | +57 | 2 | 18 |
| ვარათაზი (სიდნეი, ავსტრალია) | 4 | 4 | 0 | 0 | +30 | 2 | 18 |
| შარქსი (დურბანი, სამხრეთ აფრიკა) | 4 | 4 | 0 | 0 | +31 | 1 | 17 |
| ჰარიკეინზი (ველინგტონი, ახალი ზელანდია) | 4 | 3 | 0 | 1 | +24 | 2 | 14 |
| ბლუზი (ოკლენდი, ახალი ზელანდია) | 4 | 2 | 0 | 2 | -25 | 3 | 11 |
| ფორსი (პერთი, ავსტრალია) | 4 | 2 | 0 | 2 | -9 | 2 | 10 |
| ბრამბიზი (კანბერა, ავსტრალია) | 3 | 2 | 0 | 1 | -5 | 1 | 9 |
| ჩიფსი (ჰამილტონი, ახალი ზელანდია) | 4 | 1 | 0 | 3 | +1 | 4 | 8 |
| კრუზეიდერსი (კრაისტჩერჩი, ახალი ზელანდია) | 4 | 1 | 0 | 3 | -8 | 4 | 8 |
| რედზი (ბრისბეინი, ავსტრალია) | 4 | 1 | 0 | 3 | -1 | 3 | 7 |
| სტორმერზი (კეიპტაუნი, სამხრეთ აფრიკა) | 4 | 1 | 0 | 3 | -12 | 3 | 7 |
| ჰაილენდერსი (ოთაგო, ახალი ზელანდია) | 4 | 1 | 0 | 3 | -19 | 3 | 7 |
| ლაიონზი (იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა) | 3 | 1 | 0 | 2 | -16 | 2 | 6 |
| ჩიტაზი (ბლუმფონტეინი, სამხრეთ აფრიკა) | 4 | 0 | 0 | 4 | -48 | 2 | 2 |



# შუმახერი ჰაერში და თამაშგარეთ



**კიდევ** ერთი ველომრბოლი ჩავარდა დოპინგის ხმარებაზე — გერმანელ შტეფან შუმახერს 2008 წლის ტურ დე ფრანსზე აღებულ ანალიზში სექტემბერში აღმოუჩინეს სპორტული კანონებით აკრძალულილი ნივთიერება კერა, ხოლო ამ იანვარს განმეორებით ტესტში ბრალეულობა საბოლოოდ დაუმტკიცეს და ორი წლით აუკრძალეს ოფიციალურ ტურნირებში გამოსვლა. დისკვალიფიკაციის ვადის ათვლა ამა წლის 22 იანვრიდან დაიწყო.

შუმახერმა ბევრი იბორგა, დაიფიცა — არავითარი დოპინგი არ მიმიღიაო, მერე კი ანტისადოპინგო სააგენტოს ბრალი დასდო, ისე მომცეს დისკვალიფიკაცია, პირადად არავის დამლაპარაკებიაო.

„ერთი რამ ნათელია, არასდროს მიმიღია აკრძალილი ნივთიერება, დასამალი არაფერი მაქვს, ყველამ იცის, რომ კარგი ველომრბოლი ვარ და დოპინგი არ მჭირდება. აუცილებლად გავასაჩივრებ დოპინგ-ტესტის შედეგს და ხელახლა ტესტირებას მოვითხოვ...“

მოკლედ შუმახერიც იგივე სიმღერას მღერის, რასაც ტესტებზე ჩავარდნილი სხვა ნებისმიერი მრბოლი, ველოსპორტში კი, მოგეხსენებათ, ყველაზე ხშირია ამგვარი გამოვლინებები და წელი ისე არ გავა, ათამდე ცნობილი სპორტსმენი არ გაებას ექიმთა მოლეკულურ ქსელში.

შუმახერი კარგ ინდივიდუალისტად ითვლება და შარშანდელ ტურ დე ფრანსზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო — მოიგო ორივე ინდივიდუალური რბოლა და ორი დღე იყო საერთო ჩათვლის ლიდერი, თუმც საბოლოოდ მხოლოდ 25-ადგილს დასჯერდა, ჩემპიონ კარლოს სასტრესთან 37-წუთიანი ჩამორჩენით.

ტურის შემდეგ შუმახერს ახალი კონტრაქტი გაუფორმა ბელგიურმა გუნდმა „ქუიქ სტეპმა“, მაგრამ დოპინგის ხმარება რომ შეატყო, უკან წაიღო წინადადება და გერმანელი მრბოლი ჯერ ჰაერში დარჩა, შემდეგ კი საერთოდ თამაშგარეთ.

# არმსტრონგმა კალენდარი გადატვირთა



**დაბრუნებაც** ასეთი უნდა! ლენს არმსტრონგი არასდროს ითვლებოდა ყველა იმ ტურნირის ფავორიტად, რომელშიც მონაწილეობდა. მასზე ტყუილად როდი ამბობდნენ, მარტო ტურ დე ფრანსზე ხარჯავს ძალას, სხვა ტურნირებში კი ან თავს არ იკლავს, ან საერთოდ არ გამოდისო.

მაგრამ დაბრუნდა თანამედროვეობის საუკეთესო მრბოლი დიდ გზაზე და მაშინვე ისეთი ძალით აამუშავა სამი წელი ნაუქმევი ფეხები, რომ უახლოესი მეგობრებიც გაკვირვებულები შესცქერიან.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ არმსტრონგი გამოვა წლის პირველ დიდ ველოტურზე „ჯირო დიტალიაზე“, რომელიც 9-31 მაისს გაიმართება. მანამდე კი ამერიკელი წვრილმან ტურნირებს ირჩევს და ახლახანს თავის ისედაც გადატვირთულ კალენდარში კიდევ ორი ტურნირი ჩაამატა. 21 მარტს ის ჯერ მილან-სან რემოს რბოლაში მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი შეუსვენებლად გადაფრინდება ესპანეთში და 23 მარტს ჩაერთვება ხუთდღიან რბოლაში, რომელსაც კასტილია-ლეონის ტური ეწოდება და პროფილით საკმაოდ მრავალფეროვანი და რთული შეჯიბრია. ხუთი დღის განმავლობაში არმსტრონგი გაივლის ინდივიდუალური რბოლის, ორი სამთო და ორიც ჩვეულებრივი ეტაპის წნეხში და ალბათ იქ საბოლოოდ შეაფასებს საკუთარ შესაძლებლობებს ჯიროს წინ. შემდეგ კი ამერიკაში დაბრუნდება და ინდივიდუალური პროგრამით გააგრძელებს ვარჯიშს.

**ვანო ქობიაშვილი**

## HAPPY BIRTHDAY

www.wikipedia.org

**9 მარტი**

1943 ბობი ფიშერი (აშშ, ჭადრაკი)
1952 ბილ ბიმონტი (ინგლისი, რაგბი)
1968 იური ჯორკაეფი (საფრანგეთი, ფეხბურთი)
1969 მაჰმუდ აბდულ-რაუფი (აშშ, კალათბურთი)
1970 მარტინ ჯონსონი (ინგლისი, რაგბი)
1975 როი მაკაი (ჰოლანდია, ფეხბურთი)
1975 ხუან ვერონი (არგენტინა, ფეხბურთი)
1978 ლუკას ნილი (ავსტრალია, ფეხბურთი)

**10 მარტი**

1936 ზეპ ბლატერი (შვეიცარია, ფეხბურთი)
1981 სამუელ ეტოო (კამერუნი, ფეხბურთი)
1982 ტიმო გლოკი (გერმანია, ავტორბოლა)
1985 ლასანა დიარა (საფრანგეთი, ფეხბურთი)
1988 ივან რაკიტიჩი (ხორვატია,, ფეხბურთი)

**11 მარტი**

1953 ლასლო ბოლონი (რუმინეთი, ფეხბურთი)
1971 მარტინ რუჩინსკი (ჩეხეთი, ჰოკეი)
1978 დიდიე დროგბა (კოტ დივუარი, ფეხბურთი)
1979 ელტონ ბრენდი (აშშ, კალათბურთი)

**12 მარტი**

1923 ჰაილმარ ანდერსენი (ნორვეგია, ციგურაობა)
1949 ფერგიუს სლატერი (ირლანდია, რაგბი)
1950 ვილი დუგანი (ირლანდია, რაგბი)
1971 აიზია რაიდერი (აშშ, კალათბურთი)
1925 ლუისონ ბობე (საფრანგეთი, ველორბოლა)
1950 ხავიერ კლემენტე (ესპანეთი, ფეხბურთი)
1963 ჟოაკიმ კრუზი (ბრაზილია, მძლეოსნობა)
1967 ხულიო ვალდესი (პანამა, ფეხბურთი)
1971 აიზია რაიდერი (აშშ, კალათბურთი)

**13 მარტი**

1955 ბრუნო კონტი (იტალია, ფეხბურთი)
1967 ანდრეს ესკობარი (კოლუმბია, ფეხბურთი)
1973 ედგარ დავიდსი (ჰოლანდია, ფეხბურტი)
1974 ტომას ენკვისტი (შვედეთი, ჩოგბურთი)
1978 ვამპეტა (ბრაზილია, ფეხბურთი)
1983 კეიტლინ სანდენო (აშშ, ცურვა)

**14 მარტი**

1944 ვაცლავ ნედომანსკი (ჩეხეთი, ჰოკეი)
1969 ლარი ჯონსონი (აშშ, კალათბურთი)
1976 ფილ ვიკერი (ინგლისი, რაგბი)
1977 ჯერემი პოლი (ავსტრალია, რაგბი)
1978 პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (ჰოლანდია, ცურვა)
1979 ნიკოლა ანელკა (საფრანგეტი, ფეხბურთი)

**15 მარტი**

1897 ჯეკი სჰოლცი (აშშ, მძლეოსნობა)
1961 ტერი კამინგსი (აშშ, კალათბურტი)
1971 ნაკა დროცკე (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)
1974 პერსი მონტგომერი (სამხრეთ აფრიკა, რაგბი)
1975 ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, ჭადრაკი)




ჰოლანდიელი კაცთევზა
პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი
14 მარტს 31 წლის ხდება

# რეიხს რიხი მოაკლდა, რაიხი არიხინდა




კატრინ ცეტელი

**მთის თხილამურობის** სეზონის დასრულებამდე ორიოდ კვირაღა რჩება, მთელს ზამთარზე გაშლილი მსოფლიოს თასი ბოლო ეტაპებს ითვლის. დარჩენილია მხოლოდ შვედეთში, არეში გასამართი ოთხი ეტაპი. ქალთა შორის მსოფლიოს თასის მფლობელი ჯერ ოფიციალურად არ გამოვლენილა, მაგრამ ეჭვიც არავის ეპარება, რომ ვეებერთელა ბროლს გლობუსი ძველ მფლობელს დარჩება.

2007-08 სეზონის საუკეთესო ქალ ლინდსი ვონს ეს სეზონიც არანაკლებ მძლავრი გამოუვიდა. მოიგო შვიდი ეტაპი, ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატზეც იპირველა და ქულათა იმხელა მარაგი შეიქმნა, რომ მისი დამწევი ქალიშვილი არავინ დარჩა. 24 წლის ამერიკელის უახლოესი მეგობარი, გერმანელი მარია რეიხი 300 ქულაზე მეტით ჩამორჩება. მან არეში ოთხივე ეტაპი უნდა მოიგოს, ვონს კი ოთხჯერვე ისე უნდა მოეცაროს ხელი, რომ მესამე ადგილიც არ შეხვდეს. მოვლენების მხოლოდ ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში, შეიცვლება საერთო ჩათვლის ლიდერი. რაც ძალზე არარეალურია და თავად რეიხიც არ მისდევს თეორიულ შანსს. უნდა შევეგუო, რომ ისევ მეორე ვიქნები და მეგობარს კიდევ ერთხელ მივულოცო ჩემპიონობაო — მშვიდად ამბობს.

ვონს კარგი შანსი ჰქონდა, რეიხისთვის 7 მარტს გერმანულ ოფტერშვანგში წაერთმია თეორიული შანსი და ოფიციალურად გამხდარიყო სეზონის დედოფალი. ამისთვის მას რაიხზე წინ უნდა დაესრულებინა სლალომში შეჯიბრი. რიგიანადაც მიდიოდა, მაგრამ სულ ბოლოს ცენტრიდანულმა ძალამ დროშა გამოატოვებინა და ტრასის გარეთ დარჩენილს ქულაც არ შეხვდა.

იგივე შეემთხვა საერთო ჩათვლის კიდევ ერთ ლიდერთაგანს, ავსტრიელ კატრინ ცეტელს. რეიხი კი თუმცა სლალომის სპეციალისტად ითვლება, მაგრამ სამეულში ვერ მოხვდა.

ეტაპს მოიგო ფრანგმა გოგონამ სანდრა ობერმა, ვისთვისაც ეს პირველი დიდი გამარჯვება იყო ცხოვრებაში. ფრანგული ალპდუეზის მკვიდრი ობერი წლეულს რიგიან ფორმაში იყო, ვალ დიზერის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სლალომში საუკეთესო სამეულში ხვდებოდა, რომ არ მოცურებულიყო. ამ გამარჯვებით ბავშვურად ხარობდა — გაკვირვებული და ამჩატებული ვარ, სეზონის უკეთ დასრულებაზე ვერც ვიოცნებებდიო.

ისე კი, ფრანგ ქალებს 2002 წლის შემდეგ არ მოუგიათ სლალომი...

7 მარტს მოცურებულმა ავსტრიელმა კატრინ ცეტელმა ოფტერშვანგიდან ბოლმა მაინც არ წაიყოლა, რაკი ერთი დღით ადრე გიგანტურ სლალომში შეჯიბრი მოიგო და სეზონურ აქტივში ბლომად ქულები შეიმატა. ის კვლავ მეოთხეა, მაგრამ ოდნავღა ჩამორჩება შვედ ანია პერსონს და თუ არეში მასზე უკეთ გამოვიდა, სეზონის საუკეთესო მოთხილამურეთა სამეულში დაასრულებს ზამთარს.



აქსლ ლუნდ სვინდალი

კაცთა საერთო ჩათვლაში სულ სხვაგვარადაა საქმე. კაცებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი. სეზონის დასაწყისში გვარიანად დაწინაურებული, მერე კი დამტვრეული ხორვატი ივიცა კოსტელიჩი დღესხვალ დაკარგავს ლიდერობას. ავსტრიელი ბენიამინ რაიხი ქულებით გაუთანაბრდა და მალე გადაასწრებს. მაგრამ რაიხს ბრძოლას გამოთიშულ კოსტელიჩზე მეტად ადარდებს ნორვეგიელი აქსლ ლუნდ სვინდალი, რომელმაც მესამე ადგილი დაათმობინა ჟან-ბაპტის გრანჟს და ამაზე ნაღდად არ შეჩერდება.

ამ უქმეებზე სვინდალი მშობლიურ ნორვეგიაში გახლდათ, სადაც კიტფიელში სწრაფდაშვებაში მესამე ადგილზე გასვლა მოახერხა.

პირველობა კი მოულოდნელად მოიპოვა კანადელმა მანუელ ოსბორნ-პარადიზმა, ვინაც დისციპლინის ავსტრიელ ოსტატს მიხაელ ვალჰოფერს 0,31 წამით გაასწრო. ცხოვრებაში არაერთხელ ვმდგარვარ პოდიუმზე, მაგრამ მისი წვერიდან პირველად გადმოვიხედეო, ამბობდა ოსბორნ-პარადიზი — „მომავალ წელს ჩვენი ვანკუვერი ზამთრის ოლიმპიადას მასპინძლობს და ყველა კანადელს განსაკუთრებით გვიძაფრდება წარმატებისკენ სწრაფვა."

**ვანო ძოზიაშვილი**

### მსოფლიოს თასი

| კაცები — საერთო ჩათვლა | | ქალები — საერთო ჩათვლა | |
|---|---|---|---|
| 1 ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 837 ქულა | 1 ლინდსი ვონი (აშშ) | 1588 ქულა |
| 2 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 837 | 2 მარია რეიხი (გერმანია) | 1219 |
| 3 აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 829 | 3 ანია პერსონი (შვედეთი) | 990 |
| 4 ჟან-ბაპტის გრანჟი (საფრანგეთი) | 777 | 4 კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 985 |
| 5 დიდიე კუშე (შვეიცარია) | 763 | 5 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 802 |
| 6 კარლო იანკა (შვეიცარია) | 659 | 6 ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 720 |
| 7 დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 658 | 7 ტინა მაცე (სლოვენია) | 712 |
| 8 მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 451 | 8 ელისაბეტ გეორგლი (ავსტრია) | 665 |
| 9 კლაუს კროელი (ავსტრია) | 537 | 9 ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) | 590 |
| 10 ბოდე მილერი (აშშ) | 517 | 10 ნადია ფანჩინი (იტალია) | 584 |

# ბოდეს წუწუნიც მობეზრდა

**ბოდე მილერი** დანებდა. საკუთარ თავზე შეყვარებული ეს იანკი აქამდე დიდი მონდომებით სრიალებდა, ხოლო ყოველ წარუმატებლობას აბრალებდა ზედმეტ თოვლს, არასაკმარის თოვლს, სიცივეს, ყინვას, თხილამურების სამაგრს, თოვლის ქვეშ დაფლულ კენჭს, მოკლედ ყველაფერს საკუთარი თავის გარდა.

წლეულს კი უბრალოდ დანებდა. შეიძლება მოყირჭდა ამდენი გამარჯვება, თანაც ასაკმაც მოუკაკუნა — 31 წლისაა. მოკლედ, ამბობს — დარჩენილ ეტაპებზე აღარ გამოვალო.

„სეზონი ჩვეულებრივ კარგ ფორმაში დავიწყე. არც მზადებისას შემხვდა პრობლემა, ფიზიკურადაც და მენტალურადაც მხნედ ვიყავი, მაგრამ ის შედეგები ვერ მივიღე, რომელიც ვიმსახურებდი. ამასთან აღმოვაჩინე, რომ ცხოვრებაში სხვა რამეების კეთებაც შეიძლება და მათგანაც მიიღებს კაცი სიამოვნებას" — ასე მსჯელობს მილერი.

31 წლის იანკი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში მხოლოდ მეათეა, არადა შარშან პირველი იყო, ისევე, როგორც 2005 წელს. ამას გარდა მილერს მოგებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატების ხუთი ოქრო. ეგა, რომ ოლიმპიადებზე არ უმართლებდა და აი, მაშინ მოიდებდა ხოლმე ათას მიზეზს. მხოლოდ 2002 წელს სოლტ ლეიკ სიტიში მოიპოვა წყვილი ვერცხლი, 2006-ში ტურინში მეხუთე ადგილს ვერ გასცდა და თავისი მრავლისმომცველი კარიერის ამ ნაპრალს შევსებას არც მომავალ წელს ვანკუვერში აპირებს. ამბობს, ოლიმპიადას ალბათ გამოვტოვებ, თუმცა საბოლოო წასვლაზე ჯერ არ ვფიქრობო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უეფა. ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 10 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 1 | იუვენტუსი-ჩელსი | 2.50 | 3.00 | 3.00 | 1.36 | 1.36 | 1.50 |
| 23:45 | 2 | იუვენტუსი-ჩელსი 0:1 | 5.10 | 4.00 | 1.50 | | | |
| 23:45 | 3 | ლივერპული-რეალი | 2.30 | 3.00 | 3.30 | 1.30 | 1.35 | 1.57 |
| 23:45 | 4 | ლივერპული-რეალი 0:1 | 4.55 | 3.80 | 1.60 | | | |
| 23:45 | 5 | ბაიერნი-სპორტინგი | 1.65 | 3.70 | 5.30 | 1.14 | 1.25 | 2.17 |
| 23:45 | 6 | ბაიერნი-სპორტინგი 0:1 | 2.60 | 3.50 | 2.25 | | | |
| 23:45 | 7 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 2.60 | 3.20 | 2.80 | 1.43 | 1.34 | 1.49 |
| 23:45 | 8 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი 0:1 | 5.60 | 4.30 | 1.45 | | | |
| | | 11 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 9 | რომა-არსენალი | 2.25 | 3.10 | 3.40 | 1.30 | 1.35 | 1.62 |
| 23:45 | 10 | რომა-არსენალი 0:1 | 4.60 | 4.10 | 1.55 | | | |
| 23:45 | 11 | პორტუ-ატლეტიკო | 2.10 | 3.20 | 3.70 | 1.26 | 1.33 | 1.71 |
| 23:45 | 12 | პორტუ-ატლეტიკო 0:1 | 3.75 | 3.70 | 1.75 | | | |
| 23:45 | 13 | მანჩესტერი-ინტერი | 1.80 | 3.40 | 4.80 | 1.17 | 1.30 | 1.99 |
| 23:45 | 14 | მანჩესტერი-ინტერი 0:1 | 3.10 | 3.30 | 2.10 | | | |
| 23:45 | 15 | ბარსელონა-ლიონი | 1.40 | 4.10 | 9.00 | 1.04 | 1.21 | 2.81 |
| 23:45 | 16 | ბარსელონა-ლიონი 0:1 | 2.20 | 3.40 | 2.80 | | | |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 12 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 17 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.60 | 3.70 | 5.90 | 1.11 | 1.25 | 2.27 |
| 21:00 | 19 | ცსკა-შახტარი | 1.90 | 3.25 | 4.20 | 1.19 | 1.30 | 1.83 |
| 21:00 | 21 | უდინეზე-ზენიტი | 2.45 | 3.20 | 2.90 | 1.38 | 1.32 | 1.52 |
| 21:00 | 23 | პსჟ-ბრაგა | 1.80 | 3.40 | 4.80 | 1.17 | 1.30 | 1.99 |
| 21:00 | 25 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 1.85 | 3.30 | 4.50 | 1.18 | 1.31 | 1.90 |
| 21:00 | 27 | სიტი-ოლბორგი | 1.50 | 3.80 | 7.00 | 1.07 | 1.23 | 2.46 |
| 21:00 | 29 | მარსელი-აიაქსი | 1.80 | 3.30 | 4.65 | 1.16 | 1.29 | 1.93 |
| 21:00 | 31 | ჰამბურგი-გალათასარაი | 1.85 | 3.30 | 4.60 | 1.18 | 1.31 | 1.92 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:10 | 351 | ვილი-ლოზანა | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 530 | ანჟე-ლანსი | 2.70 | 2.80 | 2.80 | 1.37 | 1.37 | 1.39 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 676 | სლავია-ბანიკი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 704 | ორჰუსი-ვეილე | 2.00 | 3.40 | 3.70 | 1.25 | 1.29 | 1.77 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 795 | აველინო-მანტოვა | 2.60 | 2.75 | 2.85 | 1.33 | 1.35 | 1.39 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 9 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 796 | სეტუბალი-ნასიონალი | 3.20 | 3.10 | 2.30 | 1.57 | 1.33 | 1.32 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I ტაიმის შედეგი | | | | | | |
| 10269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10530 | ანჟე-ლანსი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10704 | ორჰუსი-ვეილე | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10795 | აველინო-მანტოვა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10796 | სეტუბალი-ნასიონალი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10001 | იუვენტუსი-ჩელსი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10003 | ლივერპული-რეალი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10005 | ბაიერნი-სპორტინგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10009 | რომა-არსენალი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10011 | პორტუ-ატლეტიკო | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10013 | მანჩესტერი-ინტერი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10015 | ბარსელონა-ლიონი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10019 | ცსკა-შახტარი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10021 | უდინეზე-ზენიტი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10023 | პსჟ-ბრაგა | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10025 | დინამო კ-მეტალისტი ხარკოვი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10027 | სიტი-ოლბორგი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10029 | მარსელი-აიაქსი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| | II ტაიმის შედეგი | | | | | | |
| 19269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 19530 | ანჟე-ლანსი | 3.00 | 2.20 | 2.75 | 1.26 | 1.43 | 1.22 |
| 19704 | ორჰუსი-ვეილე | 2.35 | 2.45 | 3.40 | 1.19 | 1.38 | 1.42 |
| 19795 | აველინო-მანტოვა | 2.90 | 2.40 | 2.65 | 1.31 | 1.38 | 1.25 |
| 19796 | სეტუბალი-ნასიონალი | 3.25 | 2.65 | 2.20 | 1.45 | 1.31 | 1.20 |
| 19001 | იუვენტუსი-ჩელსი | 2.70 | 2.40 | 2.90 | 1.27 | 1.39 | 1.31 |
| 19003 | ლივერპული-რეალი | 2.40 | 2.50 | 3.00 | 1.22 | 1.33 | 1.36 |
| 19005 | ბაიერნი-სპორტინგი | 2.00 | 2.70 | 4.20 | 1.14 | 1.35 | 1.64 |
| 19007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 2.90 | 2.40 | 2.65 | 1.31 | 1.38 | 1.25 |
| 19009 | რომა-არსენალი | 2.65 | 2.30 | 3.30 | 1.23 | 1.46 | 1.35 |
| 19011 | პორტუ-ატლეტიკო | 2.35 | 2.50 | 3.50 | 1.21 | 1.40 | 1.45 |
| 19013 | მანჩესტერი-ინტერი | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| 19015 | ბარსელონა-ლიონი | 1.75 | 2.40 | 6.50 | 1.01 | 1.37 | 1.75 |
| 19017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.95 | 2.50 | 5.30 | 1.09 | 1.42 | 1.69 |
| 19019 | ცსკა-შახტარი | 2.30 | 2.50 | 3.70 | 1.19 | 1.41 | 1.49 |
| 19021 | უდინეზე-ზენიტი | 2.55 | 2.30 | 2.90 | 1.20 | 1.35 | 1.28 |
| 19023 | პსჟ-ბრაგა | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| 19025 | დინამო კ-მეტალისტი ხარკოვი | 2.25 | 2.30 | 4.20 | 1.13 | 1.46 | 1.48 |
| 19027 | სიტი-ოლბორგი | 1.85 | 2.50 | 5.20 | 1.06 | 1.36 | 1.68 |
| 19029 | მარსელი-აიაქსი | 2.25 | 2.80 | 3.10 | 1.24 | 1.30 | 1.47 |
| 19031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 2.25 | 2.30 | 4.20 | 1.13 | 1.46 | 1.48 |

### გასვლა 1/4 ფინალში

| | | | |
|---|---|---|---|
| 18001 | იუვენტუსი-ჩელსი | 3.10 | 1.35 |
| 18003 | ლივერპული-რეალი | 1.25 | 3.50 |
| 18007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 1.80 | 1.90 |
| 18009 | რომა-არსენალი | 2.90 | 1.40 |
| 18011 | პორტუ-ატლეტიკო | 1.35 | 3.00 |
| 18013 | მანჩესტერი-ინტერი | 1.45 | 2.65 |
| 18015 | ბარსელონა-ლიონი | 1.15 | 5.00 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## ფრეს გარეშე(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.55 | 2.20 |
| 16530 | ანჟე-ლანსი | 1.80 | 1.80 |
| 16704 | ორჰუსი-ვეილე | 1.40 | 2.55 |
| 16795 | აველინო-მანტოვა | 1.82 | 1.82 |
| 16796 | სეტუბალი-ნასიონალი | 2.20 | 1.50 |
| 16001 | იუვენტუსი-ჩელსი | 1.80 | 1.85 |
| 16003 | ლივერპული-რეალი | 1.62 | 2.05 |
| 16005 | ბაიერნი-სპორტინგი | 1.23 | 3.60 |
| 16007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 1.82 | 1.82 |
| 16009 | რომა-არსენალი | 1.58 | 2.10 |
| 16011 | პორტუ-ატლეტიკო | 1.50 | 2.30 |
| 16013 | მანჩესტერი-ინტერი | 1.30 | 3.00 |
| 16015 | ბარსელონა-ლიონი | 1.11 | 5.70 |
| 16017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.22 | 3.40 |
| 16019 | ცსკა-შახტარი | 1.34 | 2.80 |
| 16021 | უდინეზე-ზენიტი | 1.75 | 1.85 |
| 16023 | პსჟ-ბრაგა | 1.30 | 3.00 |
| 16025 | დინამო კ-მეტალისტი ხ. | 1.32 | 3.00 |
| 16027 | სიტი-ოლბორგი | 1.14 | 4.70 |
| 16029 | მარსელი-აიაქსი | 1.30 | 3.00 |
| 16031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 1.32 | 3.00 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17530 | ანჟე-ლანსი | 1.85 | 1.95 |
| 17704 | ორჰუსი-ვეილე | 1.85 | 1.95 |
| 17795 | აველინო-მანტოვა | 1.85 | 1.95 |
| 17796 | სეტუბალი-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17001 | იუვენტუსი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ლივერპული-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბაიერნი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | რომა-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | პორტუ-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17013 | მანჩესტერი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ბარსელონა-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ცსკა-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | უდინეზე-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | პსჟ-ბრაგა | 1.85 | 1.95 |
| 17025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 1.85 | 1.95 |
| 17027 | სიტი-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | მარსელი-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 1.85 | 1.95 |

## პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.30 | 1.70 |
| 23530 | ანჟე-ლანსი | 1.47 | 1.47 |
| 23704 | ორჰუსი-ვეილე | 1.20 | 1.80 |
| 23795 | აველინო-მანტოვა | 1.50 | 1.47 |
| 23796 | სეტუბალი-ნასიონალი | 1.70 | 1.27 |
| 23001 | იუვენტუსი-ჩელსი | 1.42 | 1.50 |
| 23003 | ლივერპული-რეალი | 1.33 | 1.63 |
| 23005 | ბაიერნი-სპორტინგი | 1.09 | 2.78 |
| 23007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 1.50 | 1.47 |
| 23009 | რომა-არსენალი | 1.32 | 1.65 |
| 23011 | პორტუ-ატლეტიკო | 1.25 | 1.80 |
| 23013 | მანჩესტერი-ინტერი | 1.13 | 2.35 |
| 23015 | ბარსელონა-ლიონი | 1.00 | 3.65 |
| 23017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.08 | 2.85 |
| 23019 | ცსკა-შახტარი | 1.15 | 2.15 |
| 23021 | უდინეზე-ზენიტი | 1.40 | 1.55 |
| 23023 | პსჟ-ბრაგა | 1.13 | 2.35 |
| 23025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 1.14 | 2.25 |
| 23027 | სიტი-ოლბორგი | 1.03 | 3.00 |
| 23029 | მარსელი-აიაქსი | 1.13 | 2.35 |
| 23031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 1.14 | 2.25 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.50 | 2.10 |
| 13530 | ანჟე-ლანსი | 1.60 | 2.00 |
| 13704 | ორჰუსი-ვეილე | 1.50 | 2.10 |
| 13795 | აველინო-მანტოვა | 1.70 | 1.90 |
| 13796 | სეტუბალი-ნასიონალი | 1.80 | 1.80 |
| 13001 | იუვენტუსი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13003 | ლივერპული-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | ბაიერნი-სპორტინგი | 1.90 | 1.70 |
| 13007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | რომა-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | პორტუ-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13013 | მანჩესტერი-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ბარსელონა-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ცსკა-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13021 | უდინეზე-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13023 | პსჟ-ბრაგა | 1.70 | 1.90 |
| 13025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 1.70 | 1.90 |
| 13027 | სიტი-ოლბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13029 | მარსელი-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 1.80 | 2.00 |
| 14530 | ანჟე-ლანსი | 1.90 | 1.90 |
| 14704 | ორჰუსი-ვეილე | 1.70 | 2.20 |
| 14795 | აველინო-მანტოვა | 1.90 | 1.90 |
| 14796 | სეტუბალი-ნასიონალი | 2.00 | 1.80 |
| 14001 | იუვენტუსი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 14003 | ლივერპული-რეალი | 1.80 | 2.00 |
| 14005 | ბაიერნი-სპორტინგი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 1.90 | 1.90 |
| 14009 | რომა-არსენალი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | პორტუ-ატლეტიკო | 1.75 | 2.10 |
| 14013 | მანჩესტერი-ინტერი | 1.65 | 2.30 |
| 14015 | ბარსელონა-ლიონი | 1.20 | 2.60 |
| 14017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 1.30 | 2.50 |
| 14019 | ცსკა-შახტარი | 1.70 | 2.20 |
| 14021 | უდინეზე-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 14023 | პსჟ-ბრაგა | 1.65 | 2.30 |
| 14025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 1.65 | 2.30 |
| 14027 | სიტი-ოლბორგი | 1.30 | 2.50 |
| 14029 | მარსელი-აიაქსი | 1.65 | 2.30 |
| 14031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 1.65 | 2.30 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირ. დრო)

| | | | < | > | 5და> |
|---|---|---|---|---|---|
| 12269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12530 | ანჟე-ლანსი | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12704 | ორჰუსი-ვეილე | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12795 | აველინო-მანტოვა | 2,5 | 1.60 | 2.00 | 6.00 |
| 12796 | სეტუბალი-ნასიონალი | 2,5 | 1.50 | 2.10 | 7.25 |
| 12001 | იუვენტუსი-ჩელსი | 2,5 | 1.50 | 2.40 | 7.25 |
| 12003 | ლივერპული-რეალი | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12005 | ბაიერნი-სპორტინგი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 2,5 | 1.60 | 2.20 | 6.00 |
| 12009 | რომა-არსენალი | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12011 | პორტუ-ატლეტიკო | 2,5 | 1.70 | 2.00 | 5.25 |
| 12013 | მანჩესტერი-ინტერი | 2,5 | 1.50 | 2.30 | 7.25 |
| 12015 | ბარსელონა-ლიონი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 2,5 | 2.00 | 1.60 | 5.00 |
| 12019 | ცსკა-შახტარი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12021 | უდინეზე-ზენიტი | 2,5 | 1.70 | 2.00 | 5.25 |
| 12023 | პსჟ-ბრაგა | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 2,5 | 1.60 | 2.10 | 6.00 |
| 12027 | სიტი-ოლბორგი | 2,5 | 1.90 | 1.70 | 5.00 |
| 12029 | მარსელი-აიაქსი | 2,5 | 1.70 | 1.90 | 5.25 |
| 12031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 2,5 | 1.70 | 2.00 | 5.25 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15530 | ანჟე-ლანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15704 | ორჰუსი-ვეილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15795 | აველინო-მანტოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15796 | სეტუბალი-ნასიონალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15001 | იუვენტუსი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ლივერპული-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბაიერნი-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | რომა-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | პორტუ-ატლეტიკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | მანჩესტერი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ბარსელონა-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ცსკა-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | უდინეზე-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | პსჟ-ბრაგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | სიტი-ოლბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | მარსელი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11269 | დუისბურგი-ნიურნბერგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11530 | ანჟე-ლანსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11704 | ორჰუსი-ვეილე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11795 | აველინო-მანტოვა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11796 | ხეტუბალი-ნახიონალი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11001 | იუვენტუსი-ჩელსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11003 | ლივერპული-რეალი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11005 | ბაიერნი-სპორტინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11007 | პანათინაიკოსი-ვილიარეალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11009 | რომა-არსენალი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11011 | პორტუ-ატლეტიკო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11013 | მანჩესტერი-ინტერი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11015 | ბარსელონა-ლიონი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11017 | ვერდერი-სტ.ეტიენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11019 | ცსკა-შახტარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11021 | უდინეზე-ზენიტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11023 | პსჟ-ბრაგა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11025 | დინამო კ-მეტალისტი ხ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11027 | სიტი-ოლბორგი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11029 | მარსელი-აიაქსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11031 | ჰამბურგი-გალათასარაი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# GUINNESS WORLD RECORDS



1963-დან 1972 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა ზედიზედ 63 მატჩი მოიგო. მოგებათა სერია მიუნხენის ოლიმპიადის სკანდალურ ფინალში შეწყდა საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 50:51.

ამის მერე ამერიკელებმა ისევ მოიგეს 37 თამაში და ეს სერიაც საბჭოთა კალათბურთელებთან შეუწყდათ 1988 წელს.



მსოფლიოში ყველაზე წარმომადგენლობითი მარათონული გარბენი იყო ბოსტონის მარათონი 1996 წლის 15 აპრილს.

გარბენში 36 705 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.



ყინულის ჰოკეიში ყველაზე დიდი ანგარიში ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებთა მატჩისას დაფიქსირდა. 58:0 — ამ ანგარიშით მოიგეს ავსტრალიელებმა.

# ანეკდოტები

ყველაზე წიგნიერი ნაკრები ქართველებს გვყავს. აბა, ბრაზილიელები რას შეგვედრებიან. მაგათ ოღონდ ბურთი ათამაშე...

☺ ☺ ☺

— ყოველთვის მეგონა, რომ საქართველოში ფეხბურთის საქმე ცუდადაა. მაგრამ ახლახან ხელბურთის ჩემპიონატს ვუყურე და მივხვდი: ფეხბურთში საქმე ძალიან კარგად გვაქვს.

☺ ☺ ☺

მეცნიერებმა აღმოაჩინეს: ფეხბურთს ქართველები უხსოვარი დროიდან თამაშობენ. თუმცა ის ძალიან მოსაწყენი თამაში იყო, სანამ ინგლისელებმა ბურთი არ მოიგონეს.

☺ ☺ ☺

—ბრაზილიაში მხოლოდ ფეხბურთელები და მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ცხოვრობენ.

— ჩემი ცოლი ბრაზილიელია!

— მართლა, რომელ გუნდში თამაშობს?

☺ ☺ ☺

„სიონის“ და „ოლიმპის“ ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა ნახიდურის რესტორანში დამთავრდა ანგარიშით 1675 ლარი.

☺ ☺ ☺

—გინდათ მოგიყვეთ ანეკდოტი ჩუქჩაზე, ებრაელზე ან ფეხბურთზე?

— მიდი, პირდაპირ აბრამოვიჩზე მოგვიყევი.

# სახალისო ფოტო



# სპორტი და ისტორია

## ბელა გუტმანის წყევლა

ბელა გუტმანი ყველაზე ტიტულოვანი თუ არა, ერთ-ერთი უტიტულოვანესი ფეხბურთის მწვრთნელი ნამდვილად გახლავთ მსოფლიოში. სამწვრთნელო კარიერის გარდა კი სახელი იმითაც გაითქვა, რომ ლისაბონის „ბენფიკას“ მისი წყევლა დღემდე მოჰყვება...

უნგრელი ებრაელი გუტმანი 1900 წელს დაიბადა. მშობლები ცეკვის მასწავლებლები ჰყავდა. მისი პირველი პროფესიული კლუბი ბუდაპეშტის მტკ იყო, 24 წლისა კი უნგრეთის ნაკრებშიც მიიწვიეს, სადაც 6 მატჩი გამართა და ერთი გოლი გაიტანა.

მერე ამერიკაში წავიდა სათამაშოდ.

მწვრთნელობა 32 წლიდან დაიწყო და საინტერესო ამბებიც აქედან იწყება.

ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდებოდა. 32 წლიან სამწვრთნელო კარიერაში 21 კლუბი და ერთიც ნაკრები გამოიცვალა (ავსტრია). მიზეზი კი სულაც არ იყო ის, რომ შედეგები არ ჰქონდა. როგორც მოგახსენეთ, მსოფლიოს ერთ-ერთი უტიტულოვანესი მწვრთნელი გახლდათ.

ჩამოვთვალოთ:

ორჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონი, ორივეჯერ „უიპეშტი“ აპირველა. ამავე გუნდში მოიგო მიტროპას თასი. ბრაზილიაში „სან პაულუ“ პაულისტას ჩემპიონი გახადა. ევროპაში დაბრუნებული სამჯერ ზედიზედ პორტუგალიის ჩემპიონი გახდა — ერთხელ „პორტუში“ მუშაობისას“ და ორჯერაც — „ბენფიკაში“. ამ ქვეყნის თასიც მოაგებინა „ბენფიკას“. რაც მთავარია, ორჯერ ჩემპიონთა თასიც აქვს მოგებული იმავ „ბენფიკაში“.

ბოლოს „პენიაროლს“ მოაგებინა ურუგვაის ჩემპიონატი.

ამის გარდა მუშაობდა „მილანში“. მისი აღმოჩენილია ეუსებიო და ბრაზილიელთა თავის დროზე რევოლუციური 4-2-4 სისტემაც მის მოგონილია.

მოკლედ, დიდი მწვთრნელი იყო, მაგრამ ხასიათით ვერავის ეწყობოდა და ამიტომაც უშვებდნენ კლუბების მეპატრონეები წარამარა.

„მილანიდან“ გაშვებისას დაიჩივლა, ვერ გამიგია, რას მერჩიდნენ, არც ბოროტმოქმედი ვარ და არც ჰომოსექსუალისტიო.

ცნობილი ადამიანების ცხოვრება, როგორც წესი, გადაშლილი წიგნივითაა, ბელა გუტმანი კი ამაშიც სხვანაირი იყო. არავინ იცის, რას აკეთებდა ის 1939-დან 1945 წლამდე. ეს ის პერიოდია, ფაშისტები ებრაელებს საკონცენტრაციო ბანაკებში რომ ისტუმრებდნენ და როგორც ამბობენ, გუტმანმა ბრაზილიაში გაქცევით უშველა თავსო. ეგებ ბრაზილიაშიც იყო, მაგრამ რას აკეთებდა, აბსოლუტურად უცნობია. ზოგი იმასაც ამბობს, იმ ბურუსით მოცულ წლებში ეშმაკს მიჰყიდა სული და ამის წყალობით გახდა დიდი მწვრთნელიო. თუმცა ამას, აბა, ვინ დაამტკიცებს...

მიჰყიდა თუ არა, ფაქტია: 1966 წელს ჯამაგირის გაზრდა რომ მოითხოვა და უარი მიიღო, „ბენფიკადან“ წავიდა და დაწყევლა, მომდევნო ასი წელი „ბენფიკა“ ჩემპიონთა თასს ვერ მოიგებსო. არადა, იმ დროს ლისაბონური კლუბი ერთ-ერთი უძლიერესი იყო ევროპაში.

და რა მოხდა? იმ წყევლის მერე „ბენფიკა“ ექვსჯერ გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში და ექვსჯერვე წააგო!

ბოლო ფინალი, რომელშიც „ბენფიკა“ გავიდა (1990) და რომელშიც პორტუგალიელები „მილანს“ შეხვდნენ, ვენაში ჩატარდა — ქალაქში, რომლის ებრაელთა სასაფლაოზეც ბელა გუტმანია დაკრძალული. ფინალის წინ, ეუსებიო გუტმანის საფლავზე მივიდა და ლოცვით სცადა წყევლის მოხსნა!

ჩანს, ბელა გუტმანის სულმა ეუსებიოს ვედრება არ მიიღო: ის ფინალი „მილანმა“ ფრანკ რაიკარდის გოლით მოიგო.

**კოტე კეკელია**



ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# ისინი დარჩებიან რვანი
## მშვიდი ბაიერნი და შვიდიც ბრძოლა

10 და 11 მარტს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩები გაიმართება. ერთადერთი „ბაიერნია" ცალი ფეხით რომ მეოთხედფინალშია, დანარჩენ წყვილებში კი მეტნაკლებად თანაბრობაა

### ბაიერნი — სპორტინგი
### პირველი მატჩი 5:0

პირველ მატჩში 0:5 წაგების შემდეგ „სპორტინგი" მიუნხენში ლაფის ჩამოსარეცხად თუ იბრძოლებს, თორემ ხუთბურთიანი ჩამორჩენის ამოქაჩვა...

ტრავმირებული ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი და ტიმ ბოროვსკი „სპორტინგთან" ვერ ითამაშებენ.

ლისაბონელები შვიდჯერ ესტუმრნენ გერმანიას და ექვსჯერ წააგეს. ერთადერთი ფრე 2006-ში, ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნთან" გაახერხეს — 0:0.

| ბაიერნის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | სპორტინგის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 5:1 | ჰანოვერი | პორტუ | 0:0 |
| 1:2 | კიოლნი | ბელენენსეში | 2:1 |
| 3:1 | დორტმუნდი | ტროფენსე | 0:0 |
| 2:1 | ჰოფენჰაიმი | ნასიონალი | 1:1 |
| 3:0 | სტიაუა ჩლ | რიუ ავე | 1:0 პთ |
| 4:1 | კოტბუსი | სეტუბალი | 2:0 |
| 3:1 | არმინია | ბაზელი | 1:0 ჩლ |
| 4:1 | ვოლფსბურგი | ამადორა | 3:1 |
| 3:0 | ფიორენტინა ჩლ | ნავალი | 1:0 |
| 3:3 | ბოხუმი | რიუ ავე | 0:1 |

*ჩლ-ჩემპიონთა ლიგა; პლ-პორტუგალიის თასი*

### პანათინაიკოსი — ვილიარეალი
### პირველი მატჩი 1:1

1996 წლის შემდეგ პირველად მეოთხედფინალში გასასვლელად „პანათინაიკოსს" შინ უგოლო ფრეც ეყოფა.

ბერძნულ კლუბს შინ ესპანელებთან რვა მატჩიდან ერთიც არ წაუგია — სამი მოგება და ხუთი ფრე, მაგრამ პრიმერდივიზონელებთან ორმატჩიან დუელებში სამიდან სამჯერ დამარცხდა.

| პანათინაიკოსის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ვილიარეალის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 3:0 | ლარისა | ბეტისი | 2:2 |
| 2:3 | პანსერაიკოსი სთ | რასინგი | 1:1 |
| 2:1 | პანიონიოსი | დეპორტივო | 0:3 |
| 3:0 | პაოკი | ვალენსია | 3:3 |
| 4:0 | არისი | რეალი | 0:1 |
| 0:0 | აეკი | სევილია | 0:1 |
| 3:0 | პანსერაიკოსი | სელტიკი | 0:2 ჩლ |
| 1:0 | ანორთოსისი ჩლ | უელვა | 2:1 |
| 1:1 | ასტერასი | მალაგა | 2:2 |
| 3:0 | ფილისი | ოლბორგი | 2:2 ჩლ |

*სთ-საბერძნეთის თასი*

### იუვენტუსი — ჩელსი
### პირველი მატჩი 0:1

„იუვე" ტურინში ჩემპიონთა ლიგის მატჩში 2004 წლის 9 მარტის შემდეგ არ დამარცხებულა. მაშინ „დეპორტივოსთან" 0:1 წააგო.

ამის მერე „იუვენტუსმა" „დელე ალპიზე" 13 შეხვედრიდან ათში იმარჯვა, სამი ფრედ დაასრულა და სამ გოლზე მეტი არ გაუშვა.

„ჩელსის" იტალიაში ხუთი სტუმრობიდან მხოლოდ ერთხელ, 2003 წელს „ლაციოსთან" მოუგია.

| იუვენტუსის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ჩელსის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 1:0 | ნაპოლი | ქოვენთრი | 2:0 ათ |
| 1:1 | სამპდორია | პორტსმუთი | 1:0 |
| 0:0 | ნაპოლი ით | ასტონ ვილა | 1:0 |
| 2:3 | კალიარი | უორფორდი | 3:1 ათ |
| 1:0 | ფიორენტინა | ლივერპული | 0:2 |
| 3:0 | კატანია | საუთენდი | 4:1 ათ |
| 1:0 | სიენა | მანჩესტერი | 0:3 |
| 4:2 | მილანი | ფულემი | 2:2 |
| 0:0 | ბატე ჩლ | ევერტონი | 0:0 |
| 4:0 | რეჯინა | ბოლტონი | 2:0 |

*ით-იტალიის თასი; ათ-ასოცოაციის თასი*



კამბიასოს „ინტერიც" და რონალდუს „მანჩესტერიც" მეოთხედფინალისკენ იყურებიან

### ლივერპული — რეალი
### პირველი მატჩი 1:0

„ლივერპულს" ესპანურ კლუბებთან „ენფილდზე" 12 მატჩიდან მხოლოდ ორი მოუგია.

პლეი ოფებში საშინაო თამაშის წაგების შემდეგ „რეალმა" ხუთიდან მხოლოდ ერთხელ შეძლო მომდევნო ეტაპზე გასვლა.

| ლივერპულის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | რეალის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 2:0 | სანდერლენდი | ესპანიოლი | 2:0 |
| 1:1 | სიტი | სპორტინგი | 4:0 |
| 2:0 | ჩელსი | ნუმანსია | 2:0 |
| 1:1 | ევერტონი ათ | მალიორკა | 3:0 |
| 1:1 | ევერტონი | ბარსელონა | 0:2 |
| 3:0 | ბოლტონი | ხეტაფე | 1:3 |
| 2:2 | ჰალი | ბატე | 1:0 ჩლ |
| 0:0 | ვესტჰემი | ვალიადოლიდი | 0:1 |
| 1:0 | მარსელი ჩლ | ალმერია | 1:1 |
| 0:0 | ფულემი | რეალ უნიონი | 2:3 ეთ |

*ათ-ასოციაციის თასი; ეთ-ესპანეთის თასი*

### რომა — არსენალი
### პირველი მატჩი 0:1

„რომამ" 12-ჯერ უმასპინძლა ინგლისურ კლუბებს. ექვსი მოიგო, სამჯერ დაუზავდა და ამდენივე წააგო.

„არსენალს" 11-ჯერ უთამაშია იტალიაში. ოთხში იმარჯვა, ოთხი ფრე გაახერხა და სამჯერ დამარცხდა.

| რომას ბოლო ათი საშინაო მატჩი | | არსენალის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 1:1 | უდინეზე | ვესტ ბრომვიჩი | 3:1 |
| 1:0 | სიენა | ტოტენჰემი | 0:0 |
| 3:0 | ჯენოა | ევერტონი | 1:1 |
| 2:1 | პალერმო | კარდიფი | 0:0 ათ |
| 2:0 | სამპდორია | ჰალი | 3:1 |
| 2:2 | მილანი | ასტონ ვილა | 2:2 |
| 2:0 | ბოლონია ით | მიდლსბრო | 1:1 |
| 3:2 | კალიარი | პორტუ | 0:2 ჩლ |
| 2:0 | ბორდო ჩლ | ბარნლი | 0:2 ლთ |
| 1:0 | ფიორენტინა | ჩელსი | 2:1 |

*ით-იტალიის თასი; ათ-ასოციაციის თასი; ლთ-ლიგის თასი*

### მანჩესტერი — ინტერი
### პირველი მატჩი 0:0

„მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 20 მატჩია, არ დამარცხებულა.

იტალიურ კლუბებთან 15 საშინაო შეხვედრაში „მანჩესტერმა" 11 მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ამდენივე წააგო.

„ინტერის" მონაგარი ინგლისში ასეთია — სამი მოგება, ერთი ფრე და ექვსი მარცხი.

| მანჩესტერის ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ინტერის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 2:1 | ბლექბერნი | ჯენოა | 2:0 |
| 3:0 | ფულემი | სამპდორია | 0:3 ით |
| 1:0 | ევერტონი | ბოლონია | 2:1 |
| 2:1 | ტოტენჰემი ათ | ლეჩე | 3:0 |
| 4:2 | დერბი ლთ | კატანია | 2:0 |
| 1:0 | უიგანი | ატალანტა | 1:3 |
| 3:0 | ჩელსი | სიენა | 2:1 |
| 1:0 | მიდლსბრო | ვერდერი | 1:2 ჩლ |
| 2:2 | ოლბორგი ჩლ | ლაციო | 3:0 |
| 1:0 | სანდერლენდი | პალერმო | 2:0 |

*ათ-ასოციაციის თასი; ლთ-ლიგის თასი; ით-იტალიის თასი*

### ბარსელონა — ლიონი
### პირველი მატჩი 1:0

„ბარსელონა" ფრანგებს პლეი ოფებში სამჯერ შეხვედრია და მომდევნო ეტაპზე ერთხელაც ვერ გასულა, მაგრამ „კამპ ნოუზე" „ლიონი" აქამდე ორჯერ დაუმარცხებია.

„ლიონს" ექვსჯერ უთამაშია ესპანეთში. ერთი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და სამი წააგო.

| ბარსელონას ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ლიონის ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 2:0 | ბილბაო | ლილი | 2:0 |
| 1:2 | ესპანიოლი | ლილი | 2:3 სთ |
| 3:1 | სპორტინგი | ნანსი | 2:0 |
| 2:0 | მალიორკა ეთ | ნიცა | 3:1 |
| 3:2 | ესპანიოლი ეთ | კონკარნო | 6:0 სთ |
| 4:1 | ნუმანსია | გრენობლი | 2:0 |
| 5:0 | დეპორტივო | კაენი | 1:0 |
| 2:1 | ატლეტიკო ეთ | ნანტი | 1:2 |
| 3:1 | მალიორკა | ფიორენტინა | 2:1 ჩლ |
| 2:0 | რეალი | პსჟ | 0:1 |

*ეთ-ესპანეთის თასი; სთ-საფრანგეთის თასი*

### პორტუ — ატლეტიკო
### პირველი მატჩი 2:2

ბოლო ორ სეზონში „პორტუ" ორჯერ გავარდა მერვედფინალიდან, ისე კი, იმ ორ შემთხვევაში, როცა პლეი ოფში პირველი მატჩი სტუმრად ფრე ითამაშა, ორჯერვე მომდევნო ეტაპზე გავიდა.

ესპანელებთან ცამეტ საშინაო შეხვედრაში „პორტუმ" ხუთი მატჩი მოიგო, ექვსი წააგო და ორჯერ მეტოქეს დაუზავდა.

| პორტუს ბოლო ათი საშინაო მატჩი | | ატლეტიკოს ბოლო ათი გასვლითი მატჩი | |
|---|---|---|---|
| 0:0 | სპორტინგი | რეალი | 1:1 |
| 3:1 | რიუ ავე | სევილია | 0:1 |
| 1:1 | ბენფიკა | უელვა | 3:0 |
| 1:0 | ლეიშოეში პთ | მალაგა | 1:1 |
| 1:0 | აკადემიკა პლთ | ალმერია | 1:1 |
| 0:0 | ტროფენსე | ბარსელონა | 1:2 ეთ |
| 2:1 | სეტუბალი ლთ | ვალენსია | 1:3 |
| 0:0 | მარიტიმუ | ესპანიოლი | 3:2 |
| 2:0 | არსენალი ჩლ | მარსელი | 0:0 ჩლ |
| 2:1 | აკადემიკა | ხიხონი | 2:5 |

*პთ-პორტუგალიის თასი; პლთ-პორტუგალიის ლიგის თასი; ეთ-ესპანეთის თასი*

# სკუდეტოს გეოგრაფია

## ლომბარდია: ყველაზე საფეხბურთო რეგიონი

საქართველოში ასეა: ჩემპიონი ყველაზე მეტჯერ თბილისის გუნდები გამხდარან, მეორე ადგილზე იმერეთია, მესამეზე — ქვემო ქართლი. სხვა რეგიონებს არათუ ჩემპიონი, უმაღლეს ლიგაში საერთოდ არ ჰყოლიათ გუნდი.

ქვემოთ იმას შეიტყობთ, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ იტალიაში. ხოლო მომდევნო „სარბიელში" გერმანული ბუნდესლიგის გეოგრაფიას მიმოვიხილავთ.

და ერთიც: ჩამონათვალში მიმდინარე სეზონი გათვალისწინებული არ არის




**აბრუცო**
**მოსახლეობა: 1 300 000**
სერია A: პესკარა (5 სეზონი)
სერია B: აკილა, დი სანგრო

**ბაზილიკატა**
**მოსახლეობა: 600 000**
სერია A: არავინ
სერია B: პოტენცა, მატერა

**კალაბრია**
**მოსახლეობა: 2 100 000**
სერია A: რეჯინა (8 სეზონი), კატანცარო (7 სეზონი)
სერია B: კოზენცა, კროტონე

**კამპანია**
**მოსახლეობა: 5 700 000**
სერია A: ნაპოლი (62 სეზონი, 2 სკუდეტო), აველინო (10 სეზონი), სალერნიტანა (2 სეზონი)
სერია B: კავეზე, ჩეზერტანა, ნოჩერინა, სკაფატეზე, სტაბია, სორენტო, სავოია

**ემილია-რომანია**
**მოსახლეობა: 3 900 000**
სერია A: ბოლონია (62 სეზონი, 5 სკუდეტო), პარმა (18 სეზონი), სპალ (16 სეზონი), მოდენა (13 სეზონი), ჩეზენა (10 სეზონი), პიაჩენცა (8 სეზონი), რეჯანა (3 სეზონი)
სერია B: რავენა, რიმინი, ფორლი, მოლინელა, ჩენტეზე, პანიგალე

**ფრიული-ვენეცია ჯულია**
**მოსახლეობა: 1 200 000**
სერია A: უდინეზე (35 სეზონი), ტრიესტინა (26 სეზონი)
სერია B: მონფალკონე, პრო გორიცია, ფიუმანა, გრიონ პოლა

*ფიუმანა და გრიონ პოლა იტალიური ქალაქების გუნდები იყო და ჩემპიონატში მეორე მსოფლიო ომამდე თამაშობდნენ. ომის მერე ეს ქალაქები იუგოსლავიის, მერე კი ხორვატიის შემადგენლობაში მოხვდნენ. პოლას დღეს პულა ჰქვია, ხოლო ფიუმანას — რიეკა*

**ლაციო**
**მოსახლეობა: 5 200 000**
სერია A: რომა (75 სეზონი, 3 სკუდეტო), ლაციო (65 სეზონი, 2 სკუდეტო)
სერია B: ფროზინონე, რიეტი, მატერი, ტრასტევერე

**ლიგურია**
**მოსახლეობა: 1 700 000**
სერია A: სამპდორია (60 სეზონი, 1 სკუდეტო), ჯენოა (41 სეზონი), ანდრეა დორია

*ანდრეა დორია 1945-1946 წლებში სამპდორიას გამოეყო და მერე ისევ შეუერთდა*

სერია B: სპეცია, სანრემეზე, სავონა, სესტრეზე

**ლომბარდია**
**მოსახლეობა: 8 900 000**
სერია A: ინტერი (76 სეზონი, 13 სკუდეტო), მილანი (74 სეზონი, 14 სკუდეტო), ატალანტა (48 სეზონი), ბრეშა (22 სეზონი), კომო (13 სეზონი), პრო პატრია (12 სეზონი), კრემონეზე (7 სეზონი), მანტოვა (7 სეზონი), ვარეზე (7 სეზონი), ლეკო (3 სეზონი), ლენიანო (3 სეზონი)
სერია B: მონცა, ფანფულია, ვიგევანო, სერენიო, პრო სესტო, ალბინოლეფე, პავია, გალარეტეზე, პერგოკრემა, მაგანტა, სუცარა, ვოგერეწე, ვიტა ნოვა, ალცანო

**მარკე**
**მოსახლეობა: 1 400 000**
სერია A: ასკოლი (16 სეზონი), ანკონა (2 სეზონი)
სერია B: სამბენედეტეზე, მაკერატეზე, ფერმანა

**მოლიზე**
**მოსახლეობა: 300 000**
სერია A: არავინ
სერია B: კამპობასო

**პიემონტე**
**მოსახლეობა: 4 300 000**
სერია A: იუვენტუსი (75 სეზონი, 25 სკუდეტო), ტორინო (67 სეზონი, 5 სკუდეტო), ალესანდრია (13 სეზონი), ნოვარა (11 სეზონი), პრო ველჩელი (6 სეზონი), კასალე (4 სეზონი)

*იუვენტუსს კალჩოპოლის სკანდალის მერე 2 სკუდეტო ჩამოერთვა*

სერია B: დერტონა, ბილიეზე, კუნეო

**პულია**
**მოსახლეობა: 4 100 000**
სერია A: ბარი (28 სეზონი), ლეჩე (12 სეზონი), ფოჯა (11 სეზონი)
სერია B: ტარანტო, ბრინდიზი, ფიდელის ანდრია, ბარლეტა, ტრანი, არსენალე

**სარდინია**
**მოსახლეობა: 1 700 000**
სერია A: კალიარი (29 სეზონი, 1 სკუდეტო)
სერია B: არავინ

**სიცილია**
**მოსახლეობა: 5 000 000**
სერია A: პალერმო (21 სეზონი), კატანია (11 სეზონი), მესინა (5 სეზონი)
სერია B: სირუკაზა, ლიკატა, აკირეალე

**ტოსკანა**
**მოსახლეობა: 3 500 000**
სერია A: ფიორენტინა (70 სეზონი, 2 სკუდეტო), ლივორნო (16 სეზონი), ემპოლი (9 სეზონი), ლუჩეზე (8 სეზონი), პიზა (7 სეზონი), სიენა (5 სეზონი), პისტოიეზე (1 სეზონი)
სერია B: არეცო, პრატო, ვიარეჯო, პიომბინო, კარარეზე, გროსეტო, მასეზე

**ტრენტინო-ალტო ადიჯე**
**მოსახლეობა: 900 000**
სერია A: არავინ
სერია B: ბოლცანო, ტრენტო

**უმბრია**
**მოსახლეობა: 800 000**
სერია A: პერუჯა (13 სეზონი), ტერნანა (2 სეზონი)
სერია B: ჯუბიო

**ვალ დაოსტა**
**მოსახლეობა: 100 000**
სერია A: არავინ
სერია B: არავინ

**ვენეტო**
**მოსახლეობა: 4 400 000**
სერია A: ვიჩენცა (30 სეზონი), ვერონა (24 სეზონი, 1 სკუდეტო), პადოვა (16 სეზონი), ვენეცია (12 სეზონი), კიევო (6 სეზონი), ტრევიზო (1 სეზონი)
სერია B: მარცოტო, ჩიტადელა, მასტრე

*მასტრე ვენეციას შეუერთდა*

**ერთ სეზონში ყველაზე მეტი კლუბი სერია A-ში**

| | |
|---|---|
| ლომბარდია: | 6 (1951-52) — მილანი, ინტერი, პრო პატრია, კომო, ატალანტა, ლენიანო |
| | 6 (1966-67) — მილანი, ინტერი, მანტოვა, კომო, ატალანტა, ბრეშა |
| | 6 (1967-68) — მილანი, ინტერი, მანტოვა, ვარეზე, ატალანტა, ბრეშა |
| პიემონტე: | 5 (1930-31) — იუვენტუსი, ტორინო, პრო ვერჩელი, ალესანდრია, კასალე |
| | 5 (1931-32) — იუვენტუსი, ტორინო, პრო ვერჩელი, ალესანდრია, კასალე |
| | 5 (1932-33) — იუვენტუსი, ტორინო, პრო ვერჩელი, ალესანდრია, კასალე |
| | 5 (1933-34) — იუვენტუსი, ტორინო, პრო ვერჩელი, ალესანდრია, კასალე |
| ემილია-რომანია: | 4 (1996-97) — პარმა, ბოლონია, პიაჩენცა, რეჯანა |
| | 4 (2002-03) — პარმა, ბოლონია, პიაჩენცა, მოდენა |

ყველაზე ჩრდილოური კლუბი სერია A-ში: უდინეზე
ყველაზე სამხრეთული კლუბი სერია A-ში: კატანია
ყველაზე დასავლური კლუბი სერია A-ში: იუვენტუსი, ტორინო
ყველაზე აღმოსავლური კლუბი სერია A-ში: ლეჩე

ყველაზე მაღალი ადგილი სერია A-ში: პერუჯა (493 მ); სერია B-ში: პოტენცა (819 მ)

ყველაზე პატარა ქალაქი, რომელსაც სერია A-ში გუნდი ჰყოლია: კასალე (40 000); სერია B-ში: დი სანგრო (5 000)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრანკიდან ფარიკაობამდე რა გვარია შენი სტადიონი?





ჯუზეპე მეაცა

იტალიის სტადიონების ისტორია მდიდარი და მრავალფეროვანია. ზოგიერთს მოძველებულად და უკვე უსარგებლოდაც კი მიიჩნევენ მატჩების გასამართად, მაგრამ თითქმის ყოველი მათგანი არქიტექტურის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს.

თითოეული სტადიონი მეტად ინდივიდუალურია და უმეტესობა კონკრეტული ადამიანის სახელს ატარებს. ვინ არიან ისინი და რატომ დაარქვეს მათი სახელები სტადიონებს? სწორედ ამ თემაზეა ეს წერილი, მაგრამ თავიდანვე გამოვრიცხოთ ის არენები, რომლებიც ამ თუ იმ პიროვნების სახელი არ ატარებენ.

16 სტადიონიდან, რომელებზეც სერია A-ს საამსეზონო მატჩები იმართება, ორს „ოლიმპიკო" ჰქვია — ერთი რომშია, („რომა" და „ლაციო" თამაშობენ) მეორე კი — ტურინში („იუვენტუსი" და „ტორინო").

კიდევ ორი წმინდანის სახელს ატარებს: „სან პაოლო" ნეაპოლში და „სანტ ელია" კალიარიში.

„უდინეზეს" სტადიონი „ფრიული" იმ პროვინციის სეხნიაა, რომელშიც მდებარეობს ქალაქი უდინე.

„ლეჩეს" არენა „ვია დელ მარეა" ანუ ქუჩა ზღვასთან, ხოლო ბერგამოს „ატალანტა" „ატლეტე აძური დი იტალიაზე" თამაშობ. აქ ალბათ გასაგებია, იტალიელ ათლეტებზეა საუბარი.

დარჩა ცხრა „ადამიანური" სტადიონი, ოღონდ კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ მხოლოდ სერია A-ს კლუბებს ვეხებით, თორემ ქვედა სერიებში არაერთი გუნდია, რომელთა არენებს პიროვნებების სახლები ჰქვიათ...

## არტემიო ფრანკი

დავიწყოთ არტემიო ფრანკით — უდიდესი საფეხბურთო მოღვაწით, რომელიც არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭით გამოირჩეოდა.

მუშაობდა „ფიორენტინაში", მერე კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ფიფას ვიცე-პრეზიდენტი იყო. 1973 წლიდან უეფას პრეზიდენტი გახლდათ მანამდე, სანამ მისი სიცოცხლე 1983-ში ტრაგიკულად, ავტოკატასტროფით დასრულდებოდა.

არტემიო ფრანკის სახელს ატარებენ „ფიორენტინას" და „სიენას" სტადიონები.

## ჯუზეპე მეაცა

მილანის სტადიონს დიდი ხნის განმავლობაში „სან სირო" ეწოდებოდა, მაგრამ 1979 წელს ლეგენდარული ჯუზეპე მეაცას გარდაცვალების შემდეგ სტადიონს მეაცას სახელი დაარქვეს.

მეტსახელად „მოცეკვავემ" კარიერის მეტი ნაწილი „ინტერში" გაატარა, თუმც „მილანის" მაისურითაც გაუგორებია ბურთი, „იუვენტუსშიც" უთამაშია და „ატალანტაშიც".

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1934, 1938) ჯუზეპე მეაცა იტალიაში 1983 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

„მილანის" ზოგიერთ გულშემატკივარს დიდად არ ეპიტნავება, რომ ყოფილი ინტერელის სახელით მოიხსენიოს სტადიონი და ძველებურად „სან სირო" ურჩევნია.

## პრეზიდენტები

არაერთ სტადიონს ჰქვია კლუბის პრეზიდენტის სახელი, რადგან მათ ამ კლუბების შექმნა-განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით.

რენატო დალ არა, რომლის სახელობისაცაა „ბოლონიას" არენა, გუნდს 30 წლის განმავლობაში პრეზიდენტობდა — 1934-1964.

„ბოლონიამ" სწორედ იმ წლებში მოიგო სკუდეტო ხუთჯერ. მათგან მეხუთე, 1964-ში, დალ არას გარდაცვალებიდან ოთხ დღეში.

პირველი ადგილისთვის მატჩში „ბოლონია" ელენიო ერერას „ინტერს" შეხვდა და 2:0 მოუგო.

ანჯელო მასიმინო „კატანიას" პრეზიდენტი იყო 1969 -1994 წლებში და ამ ხნის განმავლობაში პატარა სიცილიურმა კლუბმა ორჯერ მოახერხა სერია A-ში გადასვლა.

მასიმინოს გარდაცვალების შემდეგ „კატანიას" სტადიონი პრეზიდენტის სახელობისა გახდა.

ერესტე გრანილო ცნობილი იტალიელი პოლიტიკოსი იყო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და იმავდროულად „რეჯინას" პატრონობდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კალაბრიული კლუბი 60-იანი წლების შუაში სერია B-ში აღზევდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში „პალერმოს" პრეზიდენტი გახლდათ რენცო ბარბერა და ის პერიოდი სიცილიური გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ბარაქიანია. მიუხედავად იმისა, რომ სერია A-ში არ იყვნენ, ორჯერ მოახერხეს იტალიის თასის ფინალში გასვლა და ამიტომაც ჰქვია „პალერმოს" სტადიონს რენცო ბარბერას სახელი.

## მეომარი

გენუის „ლუიჯი ფერარისზე" „სამპდორია" და „ჯენოა" თამაშობენ, მაგრამ სტადიონის სახელი მხოლოდ ერთ გუნდს უკავშირდება.



არტემიო ფრანკი

„ჯენოას" ფეხბურთელი (1909-13) ლუიჯი ფერარისი მოხალისედ წავიდა პირველ მსოფლიო ომში და 1915 წლის 23 აგვისტოს 27 წლისა დაიღუპა.

სამპდორიას ფანებმა სტადიონს სათავისო სახელი მოუგონეს — „მარასი" (კვარტალი გენიუს ჩრდილო აღმოსავლეთში, სადაც სტადიონი მდებარეობს).

ვერონაში „კიევოს" არენა მარკ-ანტონიო ბენტეგოდის სახელობისაა. ბენტეგოდი მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა და სპორტის პროპაგანდას ეწეოდა. განსაკუთრებით ტნანვარჯიშის, ფარიკაობის, ცურვის და წყალბურთის ქომაგი ყოფილა.

**ბაჭა ხუციშვილი**

# შენ რაღას წუწუნებ?!



**„იუვენტუსის"** ყოფილმა გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ ჟოზე მოურინიუს ნათქვამზე იცინა.

„რომა" — „ინტერის" (3:3) მატჩის შემდეგ, რომელშიც სტუმარმა ბალოტელიმ თაღლითობით მოპოვებული პენალტი გაიტანა, მედიამ „ინტერს" და მსაჯს შეუტია.

გაბრაზებულმა მოურინიომ მედიაზე თქვა: „პრესა საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციას ცდილობს, რაც ინტელექტუალური პროსტიტუცია. ეგებ, ეს საინტერესო საქმეც იყოს, მაგრამ ფეხბურთის სამყაროში ვცხოვრობ და პატიოსნება მირჩევნია".

ეს რომ ლუჩანო მოჯიმ გაიგო ტელეინტერვიუში განაცხადა: „მოურინიუს სიამოვნებით ავიყვანდი ადვოკატად! ყველაზე მეტად სწორედ ის ამტკიცებს, რომ ფეხბურთის სამყაროში არაფერიც არ შეცვლილა. მსაჯების უსაყვარლესი „ინტერიც" კი პოულობს საბაბს საიმისოდ, რომ რაღაცაზე იწუწუნოს!"





# პანინური იტალია

**საკოლექციო** სტიკერების მწარმოებელმა ფირმამ PANINI იტალიაში გამოკითხვა ჩაატარა სერია A-ს ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის გამოსავლენად. გამოკითხეს 200 ათასზე მეტი რესპოდენტი და ხმათა უმეტესობა „იუვენტუსის" კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ მიიღო.

მას კვალში ჩაუდგნენ ჯანლუიჯი ბუფონი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ეზეკიელ ლავეცი და კაკა.

PANINI-მ სიმბოლური ნაკრებიც შეადგინა: ბუფონი, კიელინი (იუვენტუსი), მაიკონი (ინტერი), გამბერინი (ფიორენტინა), დონი (ატლანტა); კაკა (მილანი), ჰამშიკი (ნაპოლი), ნედვედი (იუვენტუსი); ლავეცი (ნაპოლი), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), დელ პიერო (იუვენტუსი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფულის თვლა

მოსკოვის ცსკა-მ 2009 წლის ბიუჯეტი გამოაქვეყნა. ფულის თვლა, თუნდაც სხვისი იყოს, საინტერესო საქმიანობაა და ჩვენც დავითვალოთ...

**შემოსავალი: 49 976 000 დოლარი**

სატელევიზიო და კომერციული უფლებების გაყიდვა: 25 991 000 დოლარი
სპონსორები და რეკლამა: 8 305 000 დოლარი
ტრანსფერები: 12 586 000 დოლარი
კომერციული საქმიანობა: 3 094 000 დოლარი

**დანახარჯი: 61 348 000 დოლარი**

ხელფასი და პრემიები: 45 434 000 დოლარი
გადასახადები: 3 827 000 დოლარი
შეჯიბრებში სამონაწილეო ხარჯები: 3 941 000 დოლარი
საშწვრთნელო პროცესი: 4 134 000 დოლარი
ბავშვთა სკოლის დანახარჯი: 2 342 000 დოლარი
ადმინისტრირება: 1 650 000 დოლარი

**ბიუჯეტის დეფიციტი: 11 372 000 დოლარი**

*ტოტალიზატორი*

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

| კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ |
|---|---|---|---|---|

(მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო რუბრიკას სპონსორი აღარ ჰყავს)

— სადმე ტრუბაზე უგონოდ გადაკიდებულს თუ მნახავ წაგებული ბილეთით ხელში, იცოდე რო, „შალკეს" ბრალია!

— ისევ გაზპრომზე დადექი?

— აბა, არ დავმდგარიყავი? ვისთან ტო! „მაინცთან"? „შალკეშ" „მაინცთან" რატო უნდა წააგოს, ტო! უკვე მესამედ გამექცა გაზპრომი იქსდვიდან, აზრზე ხარ? „შალკე" ჩემპიონატში გაგუდულია და მეთქი, თასზე გაქაჩავს. „მაინცთან" იქსდვა დაუწერე და არ იყომარეს ამ მეგაზეებმა?

— რა თასი, ძმაო, ტრუბით საცემი ხარ რა! გაზპრომში რო ფინანსური კრიზისია, არ იცი? ვის რა ტრუბად უნდა გერმანიის თასი, თვითონ „შალკეს" ტრენერს „მაინცის" ერთიანი ეწერა ბილეთში და შენ პროწივზე დაუდექი?

— არა, ნუ, პროსტაამც, ეგ ხო წავაგე და მოურინიუმაც რო გამიჩალიჩა? ტრი ნოლ რა პონტში წააგო „ინტერმა" „სამპდორიასთან" აზრზე არა ვარ, ტო! შენ გჯერა, რო „ინტერმა" ალალად გაუშვა სამი გოლი?

— რა ალალად, ძმაო. მანდ ყველაფერი წინასწარ არი დაწერილი. „ინტერი" ჩემპიონი ხდება, თასზე კიდე სხვა უნდა გაატაროს. ეგეთი რამეები როგორ გეშლება, იგროკი კაცი ხარ, ამდენი ხნის ნაკუშარმა ეგ ვერ მოწვი? ინგლისში იყო მაურინიუ პატიოსანი კაცი, თორე იტალიაში გააფუჭეს. მორატი რო ეტყვის, ესა და ეს თამაში მისაცემიაო, მორჩა!

— აბა. რაღა დავწერო, ტო! შაბათს „ფულემის" ლაბავოი ერთიანი მეწერა „მანჩესტერთან", ამათაც თავი გაიგიჟეს. თუ გინდა, ბილეთი გადამახიე თავზე, მარა არ მესმის, რა პონტში მოუგო „მანჩესტერმა" „ფულემს".

— აბა, არ უნდა მოეგო?

— რად უნდოდა ტო! არაფერში არ სჭირდებოდა.

— როგორ არ სჭირდებოდა, ხო არ უბერავ? ბილეთსაც გადაგახევ და პროგრამასაც თავის ტაიმბოლებიანად!

— ეეე– ლოგიკურად ვიბაასოთ, ტო! „მანჩესტერს" „ინტერთან" ჯახი ხო ელის?

— მერე?

— ხოდა, უნდა დაესვენა და წაეგო. რაკი არ წააგო, ზნაჩიტ გატეხა. გაიგე?

— შენ რაღაც უკუღმა რო ბაზრობ, ვერ ხვდები? ფუტბოლი თუ იცი, მაშინ ლოგიკურად მითხარი, „პანათინაიკოსმა" „ვილიარეალს" უნდა მოუგოს?

— ცოტა უფრო მოკლე გუნდები მკითხე, ტო!

— „რომა" ერთიანში არ იკვეთება „არსენალთან"?

— მე ეგ თამაში მაგარი ტაიმბოლი მგონია.

— რატო?

— გუშინ ორტაიმიანი სიზმარი ვნახე და იმიტო. ჯერ ვენგერი გამეჩითა, მერე კიდე მელოტმა თავმა გაილევა და მგონი, სპალეტი იყო.

**კუში კოშმარია**

ჩემი წაგებული ბილეთი:

ფინეთი. ჰოკეი

| | წყვილი | შედეგი | |
|---|---|---|---|
| 001 | კოოკოო-ტუტო | 2 და მეტი კუთხური | 2:3 |
| 002 | ჰოკკი-ვანტაა | 0,5 და ნაკლები გოლი | 1:0 |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რატომ გატეხა „მანჩესტერმა" „ფულემთან"

# 114140 *



ჰორსტ ეკელი

# შეცვლაზე შესულთა გოლების ისტორია

**1953 წლის** ოქტომბერში გფრ-ს ნაკრების ფეხბურთელი ჰორსტ ეკელი ზაარლანდის (მხარე გერმანიაში) ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში შეცვლაზე შევიდა. ეს იყო ისტორიული ამბავი, რადგან ჰეკელი პირველი მოთამაშე შეიქნა, ვინც შეცვლაზე შეუშვეს.

1973 წელს გერმანიის თასის ფინალში, „გლადბახსა" და „კიოლნს" შორის, მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე გიუნტერ ნეტცერი შევიდა მოედანზე; მიუხედავად იმისა, რომ დღეების წინ გარდაცვლილ დედას გლოვობდა და მისი გოლით „გლადბახმა" თასი მოიგო.

გავიდა კიდევ 20 წელზე მეტი, და კიდევ ერთმა, შეცვლაზე შესულმა გერმანელმა შექმნა ისტორია. ევრო 96-ის ფინალში ჩეხეთი გერმანიას 1:0-ს უგებდა. მოედანზე ოლივერ ბირჰოფი გამოჩნდა და რამდენიმე წუთში გმირად იქცა. ჯერ გაათანაბრა, მერე კი ოქროს გოლი შეაგდო.

ერთი წლის შემდეგ, მაისში, უკვე ლარს რიკენის დრო დადგა. ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსთან" შეცვლაზე შესულმა 16 წამში მესამე გოლი გაუტანა ტურინელებს და 3:1 გახადა.

რიკენამდე კი პატრიკ კლუივერტი იყო, ვინც „მილანთან", ისევ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მეორე ტაიმში შეუშვეს და მისი გოლით „აიაქსმა" თასი მოიგო.

2006-ის ფინალში („ბარსელონა" — „არსენალი") ჰენრიკ ლარსონს არ გაუტანა, მაგრამ მისი პასებით ჯერ სამუელ ეტოომ გაათანაბრა — 1:1, ბოლოს კი ჟულიან ბელეტიმ გამარჯვებისა გაიტანა.

მაგრამ სრულიად განსაკუთრებული ამბავია 1999 წელს „მანჩესტერი" — „ბაიერნის" ფინალი. „ბაიერნი" 1:0-ის იგებდა, ალექს ფერგიუსონმა კი ტედი შერინგემი და ოლე გუნარ სოლსკიაერი შეუშვა, რომლებმაც წამატებულ წუთებზე თითო-თითო გოლი მიითვალეს.

სოლსკიარმა 11 სეზონი გაატარა „მანჩესტერში" და ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცა, რომ შეცვლაზე შესულს ყველაზე უკეთ ეხერხება გატანა.

1996-ში „ბლექბერნთან" დუბლი შეასრულა, სულ კი 126 მანჩესტერული გოლიდან უმეტესობა სწორედ მეორე ტაიმში შესულს გაუტანა. 1999-ის თებერვალში „ნოტინგემთან" ლიგის თასის შეხვედრაში ათ წუთში ოთხი გაიტანა.

„ძალიანაც მომწონს ჩემი როლი — ამბობდა ნორვეგიელი — ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელობას სათადარიგოობა მირჩევნია."

სოლსკიაერი ბავშვობაში „ლივერპულს" ქომაგობდა და სწორედ „ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელი დევიდ ფეირკლაფი იყო გამორჩეული სოლსკიაერის „ხელობაში". ფეირკლაფმა პირველივე ლივერპულულ სეზონში 14 გოლი შეცვლაზე შესულმა გაიფორმა. 1977-ში „სენტ ეტიენთან" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ფეირკლაფის გოლმა გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა და იმ წელს „ლივერპულმა" თასი მოიგო:

„ჩემს დროს სათადარიგო ფეხბურთელი სუსტ ფეხბურთელად ითვლებოდა. ეს ახლაა, რომ მწვრთნელები კარგ მოთამაშეებს ზოგჯერ საგანგებოდ „ინახავენ".

კამერუნელი როჟე მილა 38 წლის იყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე (1990) ორჯერ შეცვლაზე შესულმა თითო-თითო გოლი რომ შეაგდო და „ლომები" მეოთხედფინალში გაიყვანა.

პარაგვაელმა ნელსონ კუევასმა კი 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე სლოვენიასთან ითამაშა. მისი შესვლიდან ოთხ წუთში პარაგვაიმ გაათანაბრა — 1:1, მერე კი თვითონ ორი შეაგდო და რაკი მისია შეასრულა, მწვრთნელმა შეცვლაზე შეყვანილი, უკანვე გაიყვანა.

**რომან თურქია**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბექჰემი გრძელდება

**დევიდ ბექჰემი** „მილანში“ სეზონის ბოლომდე დარჩება და მერე შეიძლება „ლოს ანჯელეს გალაქსიში“ დაბრუნდეს. ჯერ უცნობია, რას მოიფიქრებენ ბექჰემი და „მილანი“ ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. გამორიცხული არაა, ინგლისელი კვლავ იტალიაში დარჩეს.

„დიდი მადლობა ორივე კლუბს იმისთვის, რომ მორიგდნენ და მე ევროპაში ვრჩები — თქვა ბექჰემმა — კარგი იქნება, თუ „მილანს“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში დავეხმარები, მერე კი „გალაქსის“ მეიჯორ ლიგის მოგებაში“.

დევიდ ბექჰემი სერია A-ში ბოლო მატჩს 31 მაისს ითამაშებს, კონტრაქტი კი 30 ივნისს დაუმთავრდება.

„ეს კონტრაქტი საშუალებას მაძლევს, წლის განმავლობაში აქ ვიყო და ამერიკაშიც გავაგრძელო კარიერა. იქ მე კიდევ ბევრი საქმე დამრჩა დაუმთავრებელი. ჩემი ოჯახი ლოს ანჯელესს უკვე მიეჩვია და ამერიკაში დარჩება“.

33 წლის ნახევარმცველი „მილანმა“ სამი თვით იქირავა იანვარში. კარლო ანჩელოტიმ ძირითად შემადგენლობაში დააყენა და ფაბიო კაპელომაც ნაკრებში უხმო. ბექჰემმა 108-ე სანაკრებო მატჩი ესპანეთთან თებერვალში ითამაშა და ბობი მურის შედეგს გაუტოლდა.

„მილანთან“ პირველი კონტრაქტის თანახმად, ინგლისელი ამერიკაში დღეს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ თვითონ მოითხოვა „მილანში“ დარჩენა და კლუბის შეფებიც დათანხმდნენ.

იტალიური მედიის ცნობით, „მილანმა“ „გალაქსის“ 6 მილიონ 320 ათასი დოლარი გადაუხადა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# აბდულა ლივერპულიდან




ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი

**ტომ ჰიკსი** და ჯორჯ ჯილეტი „ლივერპულის“ გაყიდვას აპირებენ, სავარაუდო მყიდველი კი საინვესტიციო ჯგუფია ქუვეითიდან.

არაბი ინვესტორები ადრეც ცდილობდნენ კლუბის შეძენას, მაგრამ ახლა გარიგება უფრო რეალური ჩანს. გაირკვა, რომ მხარეები მოლაპარაკებას მალე დაამთავრებენ.

გასული კვირის დასაწყისში გარიგება ჩაშლის პირას იყო, რადგან ჰიკსმა და ჯილეტმა ფასი უსაშველოდ გაზარდეს, თუმც ეს პრობლემაც რამდენიმე დღეში მოგვარდა.

უკვე რამდენიმე კვირაში მოლაპარაკება დამთავრდება და ამერიკელი ბიზნესმენებისგან „ლივერპული“ არაბების ხელში გადაინაცვლებს.

საინვესტიციო ჯგუფის პრესმდივანმა აბდულა ალ-საგესმა თქვა: „ჩვენ სერიოზულ გარიგებაზე მივდივართ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. მეტიც — „ლივერპულისთვის“ ახალი სტადიონის აშენებას ვაპირებთ“.

ტომ ჰიკსმა და ჯორჯ ჯილეტმა „ლივერპულში“ 2007 წელს 174 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVII ტური

გრენობლი — კაენი 2:1; ლორიანი — პსჟ 0:1; მარსელი — ვალანსიენი 0:0; ნანსი — ლე მანი 2:2; ნიცა — მონაკო 0:0; ტულუზი — ბორდო 3:0; ლილი — ლიონი 2:0; ლე ავრი — სოშო 2:1; რენი — ოსერი 2:0; სენტ ეტიენი — ნანტი წუხელ გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 27 | 15 | 8 | 4 | 36:19 | 53 |
| პსჟ | 27 | 16 | 4 | 7 | 39:25 | 52 |
| მარსელი | 27 | 13 | 10 | 4 | 40:25 | 49 |
| ტულუზი | 27 | 13 | 10 | 4 | 31:17 | 49 |
| ბორდო | 27 | 13 | 8 | 6 | 42:28 | 47 |
| რენი | 27 | 11 | 13 | 3 | 30:17 | 46 |
| ლილი | 27 | 12 | 10 | 5 | 38:28 | 46 |
| ნიცა | 27 | 11 | 7 | 9 | 30:27 | 40 |
| გრენობლი | 27 | 7 | 11 | 9 | 17:24 | 32 |
| ლორიანი | 27 | 7 | 10 | 10 | 30:31 | 31 |
| ლე მანი | 27 | 8 | 7 | 12 | 31:37 | 31 |
| ოსერი | 27 | 8 | 7 | 12 | 21:27 | 31 |
| მონაკო | 27 | 7 | 9 | 11 | 30:33 | 30 |
| ნანსი | 27 | 7 | 9 | 11 | 26:35 | 30 |
| ვალანსიენი | 27 | 6 | 11 | 10 | 23:27 | 29 |
| ნანტი | 26 | 7 | 8 | 11 | 24:35 | 29 |
| კაენი | 27 | 5 | 11 | 11 | 30:35 | 26 |
| სოშო | 27 | 5 | 11 | 11 | 28:35 | 26 |
| სენტ ეტიენი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:38 | 26 |
| ლე ავრი | 27 | 5 | 3 | 19 | 21:48 | 18 |

### II დივიზიონი. XXVI ტური

ბულონი — ბრესტი 0:1; გენგამი — ვანი 1:1; რეიმსი — ბასტია 2:0; ტური — ტრუა 4:3; მეცი — დიჟონი 2:0; მონპელიე — შატორუ 3:0; სტრასბური — კლერმონი 2:0; აიაჩო — ნიმი 2:1; ამიენი — სედანი 0:0; ანჟერი — ლანსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 25 | 16 | 3 | 6 | 35:24 | 51 |
| მეცი | 26 | 13 | 7 | 6 | 36:24 | 46 |
| მონპელიე | 26 | 12 | 8 | 6 | 47:25 | 44 |
| სტრასბური | 26 | 11 | 10 | 5 | 39:30 | 43 |
| ანჟერი | 25 | 11 | 9 | 5 | 35:23 | 42 |
| ბულონი | 26 | 11 | 6 | 9 | 30:28 | 39 |
| ვანი | 26 | 10 | 7 | 9 | 21:25 | 37 |
| ტურსი | 26 | 10 | 6 | 10 | 36:37 | 36 |
| სედანი | 26 | 9 | 9 | 8 | 27:28 | 36 |
| გენგამი | 26 | 8 | 11 | 7 | 29:24 | 35 |
| ბრესტი | 26 | 10 | 4 | 12 | 30:31 | 34 |
| ბასტია | 26 | 9 | 6 | 11 | 27:33 | 33 |
| ამიენი | 26 | 7 | 11 | 8 | 25:24 | 32 |
| დიჟონი | 26 | 8 | 8 | 10 | 28:35 | 32 |
| ტრუა | 26 | 8 | 7 | 11 | 29:32 | 31 |
| კლერმონი | 26 | 7 | 9 | 10 | 30:37 | 30 |
| აიაჩო | 26 | 7 | 8 | 11 | 35:43 | 29 |
| რეიმსი | 26 | 5 | 9 | 12 | 32:42 | 24 |
| შატორუ | 26 | 5 | 9 | 12 | 23:33 | 24 |
| ნიმი | 26 | 4 | 9 | 13 | 21:37 | 21 |

### III ლიგა

გენიონი — ისტრი 0:1; ნიორი — კანი 0:0; არლე — ბუვე 0:0; კალე — კრუა დე სავოი 1:1; კარნო — ლავალი 1:0; კრეტეი — შერბური 0:0; ლეწენტი — ბაიონი 1:0; ეური — ლუანი 3:1; სეტე — პარიზი 0:2; როდეზი — ლიბურნი 2:0

## სერბეთი

### სუპერლიგა

კუკარიჩკი — ჰაიდუკი 2:1; ცრვენა ზვეზდა — ნაპრედაკი 4:0; იავორი — პარტიზანი 0:1; იაგოდინა — ბანატი 2:0; რადი — ბორაცი 0:2; ვოივოდინა — ბელგრადი 1:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

ერდრი — ლივინგსტონი 4:4; პარტიკი — კლაიდი 0:1; ქუინი — მორტონი 1:1; სტ. ჯონსტონი — როსი 0:0

### II დივიზიონი

ალოა — სტირლინგი 2:3; არბროთი — ბრეჩინი 0:0; ეარი — სტრანრარი 5:0; ისტ ფაიფი — რაითი 0:1; პიტერჰედი — ქუინზ პარკი 1:1

### III დივიზიონი

ანანი — ელგინი 6:0; ბერვიკი — ქოუდენბითი 1:0; დამბარტონი — ალბიონი 1:0; მონტროუზი — ფორფარი 1:3; სტენჰაუზმური — ისტ სტირლინგი 1:4

### ასოციაციის თასი

სტ. მირენი — სელტიკი 1:0; დანფერმლაინი — აბერდინი 1:1; ინვერნესი — ფოლკირკი 0:1; რეინჯერსი — ჰამილტონი 5:1

## ინგლისი

### პრემიერლიგა

**სანდერლენდი 1:1 ტოტენჰემი**

1:0 რიჩარდსონი (3), 1:1 კინი (89)

გაფრთხილება: რიჩარდსონი, მაკკარტნი, ბერდსლი (სანდერლენდი), ჩორლუკა, ვუდგეიტი (ტოტენჰემი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 27 | 20 | 5 | 2 | 48:12 | 65 |
| ჩელსი | 28 | 17 | 7 | 4 | 48:16 | 58 |
| ლივერპული | 28 | 16 | 10 | 2 | 45:20 | 58 |
| ასტონ ვილა | 28 | 15 | 7 | 6 | 42:29 | 52 |
| არსენალი | 28 | 13 | 10 | 5 | 41:26 | 49 |
| ევერტონი | 28 | 12 | 9 | 7 | 36:28 | 45 |
| ვესტ ჰემი | 28 | 11 | 6 | 11 | 34:34 | 39 |
| სიტი | 28 | 10 | 5 | 13 | 45:36 | 35 |
| უიგანი | 28 | 9 | 8 | 11 | 27:27 | 35 |
| ფულემი | 27 | 8 | 10 | 9 | 24:23 | 34 |
| ბოლტონი | 28 | 10 | 3 | 15 | 30:40 | 33 |
| ტოტენჰემი | 28 | 8 | 8 | 12 | 33:33 | 32 |
| სანდერლენდი | 28 | 8 | 8 | 12 | 28:36 | 32 |
| ჰალი | 28 | 8 | 8 | 12 | 34:50 | 32 |
| სტოკი | 28 | 7 | 8 | 13 | 27:44 | 29 |
| ნიუკასლი | 28 | 6 | 10 | 12 | 34:45 | 28 |
| პორტსმუთი | 27 | 7 | 7 | 13 | 29:44 | 28 |
| ბლეკბერნი | 27 | 6 | 9 | 12 | 30:43 | 27 |
| მიდლსბრო | 28 | 6 | 8 | 14 | 20:40 | 26 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 6 | 4 | 18 | 25:54 | 22 |

### ჩემპიონატი XXXVII ტური

დერბი — ბრისტოლი 2:1; ბირმინგემი — საუთჰემპტონი 1:0; ბლექპული — ნორვიჩი 2:0; კარდიფი — დონკასტერი 3:0; ჩარლტონი — უოტფორდი 2:3; კრ. პალასი — პრესტონი 2:1; ნოტინგემი — სუონსი 1:1; პლიმუთი — რედინგი 2:2; ქუინზ პარკი — შეფილდი 0:0; უენსდი — ვულვზი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვულვზი | 37 | 21 | 7 | 9 | 68:46 | 70 |
| ბირმინგემი | 37 | 19 | 10 | 8 | 43:31 | 67 |
| რედინგი | 35 | 18 | 9 | 8 | 62:32 | 63 |
| კარდიფი | 34 | 15 | 14 | 5 | 49:30 | 59 |
| შეფილდი | 36 | 16 | 11 | 9 | 49:33 | 59 |
| პრესტონი | 37 | 16 | 8 | 13 | 50:48 | 56 |
| ბარნლი | 36 | 15 | 10 | 11 | 50:50 | 55 |
| სუონსი | 36 | 12 | 18 | 6 | 53:40 | 54 |
| ბრისტოლი | 37 | 14 | 12 | 11 | 45:40 | 54 |
| იფსვიჩი | 36 | 13 | 11 | 12 | 50:43 | 50 |
| ქუინზ პარკი | 36 | 12 | 13 | 11 | 35:35 | 49 |
| უენსდი | 37 | 13 | 9 | 15 | 41:50 | 48 |
| კრ. პალასი | 35 | 13 | 8 | 14 | 44:41 | 47 |
| ქოვენთრი | 35 | 12 | 11 | 12 | 40:42 | 47 |
| დონკასტერი | 36 | 13 | 7 | 16 | 31:43 | 46 |
| დერბი | 35 | 12 | 9 | 14 | 45:48 | 45 |
| პლიმუთი | 37 | 11 | 10 | 16 | 36:47 | 43 |
| უოტფორდი | 35 | 12 | 6 | 17 | 52:57 | 42 |
| ბლექპული | 37 | 10 | 12 | 15 | 36:49 | 42 |
| ნოტინგემი | 37 | 10 | 11 | 16 | 40:52 | 41 |
| ბარნსლი | 34 | 11 | 6 | 17 | 33:45 | 39 |
| საუთჰემპტონი | 36 | 9 | 10 | 17 | 36:52 | 37 |
| ნორვიჩი | 37 | 9 | 9 | 19 | 46:57 | 36 |
| ჩარლტონი | 36 | 6 | 9 | 21 | 38:61 | 27 |

### I ლიგა

ბრისტოლი — ლიდსი 2:2; ქრიუ — ჰერეფორდი 2:1; ჰარტლპული — პიტერბრო 1:2; ჰადერსფილდი — მილუოლი 1:2; ლესტერი — ჩელტენჰემი 4:0; ლეიტონი — ბრაიტონი 2:1; ნორთჰემპტონი — ტრანმერი 1:1; ოლდემი — კოლჩესტერი 0:1; სკანთორპი — სტოკპორტი 2:1; საუთენდი — უოლსოლი 2:0; სუინდონი — მილტონი 1:1; იოვილი — კარლაილი 1:1

### II ლიგა

ბარი — როჩდეილი 2:1; აკრინგტონი — ჯილინგემი 0:2; ბარნეტი — ჩესტერი 3:1; ბორნმუთი — პორტ ვეილი 0:0; რედფორდი — ალდერშოტი 5:0; დაგენემი — მორეკემბი 0:2; დარლინგტონი — მაკლსფილდი 1:2; გრიმსბი — ლინკოლნი 5:1; ლუთონი — ექსეტერი 1:2; როტერჰემი — ბრენტფორდი 0:0; შრიუსბერი — ნოთსი 3:2; უიკომბი — ჩესტერფილდი 1:1

### კონფერენსლიგა

კემბრიჯი — ბარტონი 2:0; ისტბურნი — რექსემი 1:0; ფორესტ გრინი — ოქსფორდი 3:3; გრეისი — ალტრინჩემი 2:1; კეტერინგი — ჰისტონი 1:0; მანსფილდი — ლიუისი 1:0; ნორთვიჩი — სტივენეიჯი 0:1; სალისბერი — კიდერმინსტერი 0:0; ტორკი — რაშდენი 1:1; უოკინგი — ბაროუ 1:0; ქრიული — ვეიმუთი 4:2; ებსფლითი — იორკი 0:0

### ასოციაციის თასი

**ქოვენთრი 0:2 ჩელსი**

0:1 დროგბა (15), 0:2 ალექსი (72)

გაფრთხილება: ბეუზელინი (ქოვენთრი)

**ფულემი 0:4 მანჩესტერი**

0:1, 0:2 ტევესი (20, 35), 0:3 რუნი (50), 0:4 პარკი (81)

გაფრთხილება: პანტსილი, დაკური (ფულემი)

**არსენალი 3:0 ბარნლი**

1:0 ველა (25), 2:0 სილვა (51), 3:0 ებუ (81)

გაფრთხილება: მაკდონალდი (ბარნლი)

**ევერტონი 2:1 მიდლსბრო**

0:1 ვეტერი (44), 1:1 ფელაინი (50), 2:1 საა (56)

## სლოვენია

### პრვა ლიგა. XXIII ტური

ცელიე — პრიმორიე 3:0; ლიუბლიანა — დრავა 3:2; კოპერი — რუდარი 0:1; მარიბორი — ნაფტა 3:1; ნოვა გორიცა — დომჟალე 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 23 | 13 | 8 | 2 | 49:29 | 47 |
| ცელიე | 23 | 11 | 7 | 5 | 35:22 | 40 |
| ნაფტა | 23 | 10 | 7 | 6 | 28:24 | 37 |
| რუდარი | 23 | 10 | 4 | 9 | 31:25 | 34 |
| დომჟალე | 23 | 8 | 9 | 6 | 32:28 | 33 |
| ლიუბლიანა | 23 | 8 | 7 | 8 | 32:33 | 31 |
| ნოვა გორიცა | 23 | 9 | 3 | 11 | 36:40 | 30 |
| დრავა | 23 | 5 | 5 | 13 | 22:34 | 20 |
| კოპერი | 23 | 4 | 8 | 11 | 23:38 | 20 |
| პრიმორიე | 23 | 3 | 10 | 10 | 21:36 | 19 |

## მაკედონია

### პრვა ლიგა

მილანო — მაკედონია 1:0; პელისტერი — ნაპრედოკი 1:0; პობედა — სილექსი 1:2; რენოვა — ტურნოვო 1:0; ვარდარი — რობოტნიჩკი 2:1

## იაპონია

### ჯეი ლიგა

ტოკიო — ნიიგატა 1:4; იოკოჰამა — ჰიროშიმა 2:4; ნაგოია — ოიტა 3:2; ჩიბა — ოსაკა 0:3; იფატა — იამაგატა 2:6; კაშიმა — ურავა 2:0; კავასაკი — კაშივა 1:1; ომია — შიმიცუ 0:0; კიოტო — კობე 1:0

## ფინეთი

### ლიგის თასი

ვაასა — მიუპა 1:0; იარო — ჰაკა 1:1; JJK — ინტერი 1:2; ტამპერე — როვანიემი 2:0

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. XXV ტური

აუსტრია — ლინცერი 4:0; რიდი — კერნტენი 2:0; ზალცბურგი — შტურმი 2:1; მატერსბურგი — რაპიდი 0:3; კაპფენბერგი — ალტახი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 24 | 16 | 4 | 4 | 62:32 | 52 |
| რაპიდი | 24 | 13 | 6 | 5 | 57:28 | 45 |
| შტურმი | 22 | 13 | 3 | 6 | 50:27 | 42 |
| აუსტრია | 23 | 12 | 6 | 5 | 36:27 | 42 |
| კერნტენი | 23 | 10 | 6 | 7 | 35:24 | 36 |
| რიდი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:29 | 33 |
| ლინცერი | 23 | 8 | 1 | 14 | 22:44 | 25 |
| კაპფენბერგი | 24 | 7 | 3 | 14 | 31:51 | 24 |
| ალტახი | 23 | 5 | 1 | 17 | 30:67 | 16 |
| მატერსბურგი | 24 | 3 | 6 | 15 | 25:51 | 15 |

### I ლიგა

აუსტრია (მ) — გროდიგი 3:2; ლუსტენაუ — ადმირა 0:1; გრატკორნი — ზტ. პოლტენი 2:1; ვოკლაბრუკი — ზალცბურგი (მ) 4:1; ნეუშტადტი — აუსტრია (ლ) 4:2

## რუსეთი

### სუპერთასი

რუბინი — ცსკა 1:2დ.დ. (1:1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია

## სერია A. XXVII ტური

# ჯენოა და ინტერი მაისიდან მაისამდე

**ჯენოა 0:2 ინტერი**

0:1 იბრაჰიმოვიჩი (2), 0:2 ბალოტელი (61)

ჯენოა: რუბინიო, ბიავა, ფერარი, ბონჩეტი (მესტო 73), როსი, იურიჩი, ტიაგო მოტა, კრიშიტო, სკული (ოლივერა 66), მილიტო, იანკოვიჩი (პალადინო 56)

მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი

ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, ბურდისო (მუნტარი 31), მატერაცი (კორდობა 16), სანტონი, ხ. ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ფიგუ (მანსინი 71), იბრაჰიმოვიჩი, ბალოტელი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: მილიტო, იბრაჰიმოვიჩი, ტიაგო მოტა, ბიავა, ფერარი, ბალოტელი, მანსინი

მსაჯი: მორგანტი

37 000 მაყურებელი

5 კარში დარტყმა 3
11 კარისკენ დარტყმა 5
17 ჯარიმა 20
7 კუთხური 2
4 თამაშგარე 0
58 ბურთის ფლობა 42
4 გაფრთხილება 3

**ტორინო 0:1 იუვენტუსი**

0:1 კიელინი (81)

ტორინო: სერენი, დელაფიორე, ნატალი, კორინი (საუმელი 75), პიზანო, კოლომბო, ჟემაილი, ბარონე (გასბარონი 71), აბატე, როსინა (ვენტოლა 50), სტელონე

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

იუვენტუსი: ბუფონი, კიელინი, მელბერგი, მოლინარო, ძებინა (არაუდო 59), მარკიზიო, პოულსენი (სისოკო 84), ჯოვინკო (ნედვედი 68), სალიჰამიჯიჩი, იაკვინტა, ამაური

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: მარკიზიო, კორინი, პიზანო

მსაჯი: ფარინა

42 700 მაყურებელი

2 კარში დარტყმა 8
12 კარისკენ დარტყმა 8
27 ჯარიმა 24
7 კუთხური 2
5 თამაშგარე 4
57 ბურთის ფლობა 43
2 გაფრთხილება 1

**რომა 1:1 უდინეზე**

0:1 ფელიპე (55), 1:1 ვუჩინიჩი (61)

გაფრთხილება: მექსეში, პანუჩი, დე როსი, დე როსი, ვუჩინიჩი (რომა), დი ნატალე, პეპე, დაგოსტინო, სანჩესი (უდინეზე)

გაძევება: დე როსი (68)

4 კარში დარტყმა 4
12 კარისკენ დარტყმა 7
10 ჯარიმა 17
10 კუთხური 8
7 თამაშგარე 5
52 ბურთის ფლობა 48
3 გაფრთხილება 4

**მილანი 3:0 ატალანტა**

1:0, 2:0, 3:0 ინძაგი (7, 71, 74)

გაფრთხილება: ბონერა, იანკულოვსკი (მილანი), ბელინი, პელუსო (ატალანტა)

4 კარში დარტყმა 3
8 კარისკენ დარტყმა 7
18 ჯარიმა 13
1 კუთხური 7
5 თამაშარე 4
50 ბურთის ფლობა 50
2 გაფრთხილება 2

**ბოლონია 3:0 სამპდორია**

1:0, 2:0, 3:0 დი ვაიო (45, 87, 90)

გაფრთხილება: სტანკევიჩიუსი (სამპდორია)

3 კარში დარტყმა 4
6 კარისკენ დარტყმა 4
17 ჯარიმა 12
12 კუთხური 13
1 თამაშგარე 1
49 ბურთის ფლობა 51
0 გაფრთხილება 1

**კატანია 0:3 სიენა**

0:1 მაკარონე (9), 0:2 გეზალი (70), 0:3 იაროლიმი (90)

გაფრთხილება: ტალაიო, კოპოლა, გალოპა (სიენა)

2 კარში დარტყმა 7
4 კარისკენ დარტყმა 11
19 ჯარიმა 21
6 კუთხური 5
1 თამაშგარე 5
56 ბურთის ფლობა 44
0 გაფრთხილება 3

**კიევო 1:1 კალიარი**

0:1 ჯედა (28), 1:1 მაკინვა (55)

გაფრთხილება: ბენტივოლიო, იეპესი, პინცი, იტალიანო (კიევო), აგოსტინი (კალიარი)

4 კარში დარტყმა 3
5 კარისკენ დარტყმა 5
16 ჯარიმა 20
7 კუთხური 2
6 თამაშგარე 5
